

# მუსიკა

MUSIKA

1 (43)
2024

საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის ჟურნალი

Journal of Creative Union of Composers of Georgia


საქართველო
MIKAIA



მერი დავითაშვილის პორტრეტი. მერი ჩიქოვანის ფერწერა

# მუსიკა

## MUSIKA

Journal of Creative Union of Composers of Georgia

1 (43)·2024

100

მანანა კორძაია
**ოთარ თაქთაქიშვილის საიუბილეოდ (ოთარ თაქთაქიშვილი – 100)** ........ 2

ლელა მაქარაშვილი
**მერი დავითაშვილი (დაბადებიდან 100 წელი)** ........ 8

საკონცერტო ცხოვრება

ნია ბახტაძე
**ირმა გიგანის დაუვიწყარი კონცერტი თბილისში** ........ 19

სტუდენტური გვერდი

ნინო თავაძე
**იოსებ კეჭაყმაძის 85 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კონცერტი** ........ 22

კინომუსიკა

შიო აბრახამია
**სიტყვის მნიშვნელობა და მისი მუსიკალური მოდიფიკაციები ქართულ კინო- სათეატრო მუსიკაში (იოსებ კეჭაყმაძის მუსიკის მაგალითზე)** ........ 25

დიდი დანაკარგი

ლალი კაკულია
**ეტიუდი ვაჟა აზარაშვილზე** ........ 32

იუბილე

ავტორი
**ცაგაძეების საიუბილეო წელი** ........ 35

გახსენება

მანანა კორძაია
**ვლადიმერ გრიგოლაშვილი – 70** ........ 40

ქალი კომპოზიტორები

შიო აბრახამია
**„გუნდი ჩემი თავშესაფარია“ (რუსუდან ხორავა – 70)** ........ 44

ფესტივალი

ქეთევან ბაიაშვილი
**ლეჩხუმური დაკარგული სიმღერების კვალდაკვალ (ხალხური სიმღერის ფესტივალი სოფელ ქორენიშში)** ........ 46

ქართველი მუსიკოსები უცხოეთში

ანა ბეთანელი
**თამარ ბარდაველიძე-თორე. ქართული მუსიკის დესპანი უცხოეთში (პორტრეტული ჩანახატი)** ........ 52

რედაქცია
**დირიჟორი მიხეილ მენაბდე** ........ 60

ისტორიული საქართველოდან

გიორგი კრავეიშვილი
**ლაზური სიმღერის მოამაგენი – ჯემალ კაკაბაძე და ნაზი მემიშიში** ........ 65

შემოქმედებითი პორტრეტი

მაია გუბელაძე
**ნუკრი კარკაძე. ხელოვანის პორტრეტი** ........ 68

ახალი გამოცემები

მამუკა დოლიძე
**მერი დავითაშვილის სანოტო კრებულები** ........ 71

ანა სტროგანოვა
**ქეთევან ბაიაშვილის წიგნი „ძველი ქართული საბავშვო თამაშები და მუსიკალური აღზრდა დღეს“** ........ 74

**WWW** ........ 78

**Summary** ........ 80

ჟურნალი გამოიცემა
საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის სამინისტროს
ფინანსური მხარდაჭერით

რედაქტორი: მიხეილ ოძელი
თანარედაქტორები: მზია ჯაფარიძე, თამარ წულუკიძე, თამარ ბურჯანაძე
დიზაინი: ვანო კიკნაძე
ინგლისური თარგმანი: ქეთევან თუხარელი
მისამართი: დავით აღმაშენებლის 123
ტელ.: (+995 32) 295 41 64; ფაქსი.: (+995 32) 296 86 78

ISSN 1987-7773




# ოთარ თაქთაქიშვილის საიუბილეო (ოთარ თაქთაქიშვილი — 100)

ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲙᲝᲠᲫᲐᲘᲐ

ფოტო გარეგნულ პორტრეტს ინახავს, ხელოვანის მიერ შექმნილი პორტრეტი — სულს. „ლადო გუდიაშვილის პორტრეტიდან შინაგანი პოეტურობით აღბეჭდილი ახალგაზრდა შემოგვყურებს. საოცარი არტისტიზმია ხელის მოძრაობაში... ასეთი ელეგანტური, დახვეწილი ხელის მტევანი მხოლოდ მუსიკოსს შეიძლება ეკუთვნოდეს...

დიდ ქართველ კომპოზიტორს, ოთარ თაქთაქიშვილს ბოლოს მაშინ შევხვდი, როცა უკვე მძიმედ იყო ავად. მიუხედავად ამისა, ფეხზე დამხვდა და მუშაობდა, — უნდა მოვასწრო ყველა ჩანაფიქრის დამთავრებაო — მითხრა. მისი ინტერესები გიორგი ლეონიძის „მარიტას“ ირგვლივ ტრიალებდა, რომელიც ოპერის ჟანრში ჰქონდა გააზრებული, პარალელურად კი თავისებურ ლიტურგია-რექვიემზე იყო კონცენტრირებული — „მოდიოდა ნინო მთებით“. დამიკრა და წაიმღერა კიდეც რამდენიმე ფრაგმენტი. მისთვის ჩვეულ უდიდეს პროფესიონალიზმს, მელოდიზმის სახიერებას და დრამატიზმს აშკარად თან ახლდა სევდა... დიახ, ამაღლებული სევდა და არა სასოწარკვეთა, რაც ოთარ თაქთაქიშვილის პიროვნული თვისების — უდიდესი სულიერი სიძლიერის კიდევ ერთი გამოხატულება იყო. სახიდან კი არ შორდებოდა ის ღიმილი, რომელიც ასე ნუსხავდა ხოლმე ადამიანებს მასთან ურთიერთობისას.

სულ ვფიქრობ, რა სტადიაშია ეხლა ეს თხზულებები. დღევანდელი უმძიმესი პირობები არ იძლევა საშუალებას საკადრისი მივაგოთ ამ დიდი ხელოვანის ნაამა-

გარს. ვერც კომპოზიტორის სახელობის ფონდმა მოიძია სახსრები, რათა თაქთაქიშვილის საიუბილეო საღამოზე აჟღერებულიყო ფრაგმენტების სახით მაინც, საზოგადოებისთვის უცნობი ეს თხზულებები. მაგრამ, ამის დროც მოვა... ქართული პროფესიული მუსიკა არც ისე მდიდარია, რომ უგულებელჰყოს გამოჩენილი კომპოზიტორის ბოლო ნააზრევი.

დიდი შემოქმედი იყო და ასევე გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე. ერის სამსახურში განვლო მისმა დაძაბულმა ცხოვრებამ. თითქოს ნაკლებად ჰქონდა შესაძლებლობა მხოლოდ საკუთარ შემოქმედებაზე ეზრუნა. დიდ ხარკს მოითხოვდა კონსერვატორია, რომლის რექტორიც წლების მანძილზე იყო; კულტურის მინისტრის პოსტი, თითქმის ოცი წელი რომ ეჭირა კომპოზიტორს; იუნესკოსთან არსებული მსოფლიო მუსიკალური საზოგადოების პრეზიდიუმსა თუ სახელმწიფო პრემიების კომიტეტებში, საკავშირო თუ საერთაშორისო მუსიკალურ კონკურსების ჟიურიში მონაწილეობა თუ თავმჯდომარეობა.

მაგრამ რეალურად, საზოგადოებრივ ასპარეზზე ინტენსიურ მოღვაწეობას არ დაუმჩნევია კვალი მის შემოქმედებით ნაყოფიერებაზე, რომლის დიაპაზონი შეუზღუდავია ჟანრულად და მოიცავს ინსტრუმენტული და ვოკალური მუსიკის ყველა სფეროს, დიდსა თუ პატარა ფორმებს (ბალეტის გარდა). მისი ნაწარმოებები წარმატებით სრულდებოდა ჩვენი ქვეყნის გარეთ როგორც საკონცერტო ესტრადაზე, ისე ცნობილ საოპერო თეატრებში.

ოთარ თაქთაქიშილის პიროვნება საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოჩენისთანავე, როდესაც კონსერვატორიის 22 წლის სტუდენტი საქართველი ჰიმნის კონკურსში გამარჯვებული და სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გახდა.

ამიერიდან წარმატება კომპოზიტორის მუდმივი თანმდევი იყო შემოქმედებითი თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობის სარბიელზე. იმ დროს არსებული ყველა ჯილდო და წოდება ფიგურირებს მის ბიოგრაფიაში. იგი იყო მრავალი საერთაშორისო კონკურსის თუ ფესტივალის, სხვადასხვა სახის საპრემიო კომიტეტის ჟიურის თავმჯდომარე, სახელმწიფო დელეგაციების წევრი და ხშირად მისი თავკაცი. წლების განმავლობაში იყო თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი, საქართველოს კულტურის მინისტრი.



ამდენად, თუ კონსერვატორიაში მოღვაწეობა მხოლოდ მუსიკალურ სფეროზე ზრუნვა-მოვალეობებს მოიცავდა, ზოგადად ქართული კულტურის მართვა ბევრად საპასუხისმგებლო და მრავალმხრივ პრობლემებს ითვალისწინებდა. აქ უდიდესი როლი შეასრულა მისმა მრავალმხრივმა განათლებამ და ერუდიციამ. ძნელია ზუსტად იმის ჩამოთვლა, რამდენი ახალი თეატრი, სამუსიკო, სამხატვრო სასწავლებელი, ქორეოგრაფიული თუ თეატრალური სტუდია გაიხსნა მისი მხარდაჭერით, რამდენი ახალი საშემსრულებლო კოლექტივი ჩამოყალიბდა, რამდენ საინტერესო წამოწყებას დაედო სათავე... მიუხედავად ბევრი წინააღმდეგობისა, ფაქტებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდში ქართული მუსიკა, თეატრი, კინო თუ სახვითი ხელოვნება მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს არა მარტო



ოთარ თაქთაქიშვილი

ჩვენში, არამედ საერთაშორისო ასპარეზზე, რამაც ქართულ ხელოვნებას თავისი ადგილი და როლი შესძინა საერთაშორისო სივრცეში. თუმც, უნდა აღინიშნოს, რომ დროც გარკვეულწილად უწყობდა ხელს თაქთაქიშვილის წამოწყებთა განხორციელებას..



ოთარ თაქთაქიშვილი, რევაზ ლაღიძე, შოთა მილორავა

გასული საუკუნის სამოციან წლებში მთელს სსრკ-
4 ში უკვე აშკარად შეინიშნებოდა ერთგვარი პოლიტიკური „დათბობის“ ტენდენცია. მაგრამ ისიც საქმეა, იგრძნო და შენი კულტურისთვის გამოიყენო ეს პროცესი. ამას მოყვა არა ერთი ქართველი „დევნილი“ მწერალის, მხატვრისა თუ ხელოვანის შემოქმედების ფერფლიდან აღდგომა — ცისფერყანწელები, პოლიკარპე კაკაბაძე, სანდრო ახმეტელი, პეტრე ოცხელი, ევგენი მიქელაძე და კიდევ ბევრი მეცნიერის ნაშრომთა უკვდავყოფა; აკრძალული არაქართული ნაწარმოებების თარგმანები.

არაერთი უჩვეულო გამოფენის მომსწრენი გავხდით, რომელიც ვერაფრით გაიმართებოდა იმხანად მოსკოვშიც კი ოფიციალურ დონეზე! არა ერთხელ გვსმენია ჩვენთან მყოფი სტუმარი ხელოვნებათმცოდნეებისაგან რომ, რაც მოსკოვში ფარულად კეთდება აქ, საქართველოში ლეგალურად ფუნქციონირებსო. სულ მახსენდება მაშინ ახალგაზრდა მხატვრის გოგი ალექსი-მესხიშვილის უჩვეულოდ საინტერესო გამოფენის გახსნაზე რუსმა ხელოვნებათმცოდნემ, ელენა რაკიტინამ ხამაღლა რომ განაცხდა — თანამედროვე ხელოვნების ამგვარი საინტერესო გამოფენა ოფიციალურ დონეზე ჩვენში ვერ გაიმართებოდაო.

საზოგადოებრივ საქმიანობაში თაქთაქიშვილის წარმატებას ბევრად განაპირობებდა პიროვნული თვისებები, თავისებური დიპლომატიური ალღო, ღრმა ერუდიციასა და ინტელექტს რომ ეყრდნობოდა და მკვეთრად გამოარჩევდა მის ფიგურას მაშინდელი ჩინოვნიკური ბიუროკრატიის „ელიტისაგან“.

ფართო საზოგადოებაში იგი საოცარ „დემოკრატად“ მიიჩნეოდა ადამიანებთან უბრალო დამოკიდებულების გამო. ერთხელ, მოსკოვში კომპოზიტორთა კავშირის ყრილობაზე ბატონი ოთარი და მე ერთად მოვხვდით კონსერვატორიის დიდი დარბაზის გასახდელში. თანამშრომლები ისე შეეგებნენ მას, როგორც უახლოეს მეგობარს. მერე მითხრეს — რა ბედნიერებაა ასეთი კულტურის მინისტრი, როგორი დაცულები ხართ მასთან მუშაობისას, პრობლემაც კი არ გექნებათო.

მაგრამ ეს მთლად ასეც არ იყო. ოთარ თაქთაქიშვილს საკმაოდ მკაცრი და შეუპოვარი პოზიცია ეჭირა ხოლმე, როდესაც რაიმე რადიკალურად უპირისპირდებოდა მის შეხედულებებს. მას ბევრი ოპონენტი ყავდა შემოქმედებით სარბიელზე და არც თვითონ თმობდა თავის მსოფლმხედველურ პოზიციებს იოლად. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ეს დაპირისპირება ყო-



ოთარ თაქთაქიშვილი, ლიანა ისაკაძე.
მოსკოვის პ. ჩაიკოვსკის სახ. კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზი

ველთვის შემოქმედებითი პრობლემატიკის ჩარჩოებში თავსდებოდა და განსაკუთრებით გამწვავდა ე.წ. „ოტტეპელის“ პერიოდში, როდესაც ახალგაზრდა თაობა მთელი არსებით დაეწაფა მანამდე მისთვის აკრძალულ „ხილს“ — დასავლეთის თანამედროვე მხატვრულ-ესთეტიკურ აზროვნებას. შემოქმედებითი პოზიციების ამ დაპირისპირებამ საკმაოდ მტკივნეული ბრძოლის სახე მიიღო. მაგრამ მგონია, ბატონი ოთარი შინაგანად მაინც გრძნობდა, ინტელექტის დონეზე აცნობიერებდა ამ პროცესის აუცილებლობას და თავისებურად აფასებდა თავისი ოპონენტების ნიჭიერებას. ეს მაფიქრებინა ჩვენი ბოლო, ზემოხსენებული შეხვედრის დროს ქართული მუსიკის პრობლემებზე საუბრისას (უფრო კამათი რომ ეთქმოდა), გამოთქმულმა აზრმა: — „ძალიან ბევრი ბრძოლა მხვდა წილად, იქნებ ბევრი შეურაცხყოფაც, მაგრამ ერთადერთი, რაც მამშვიდებს ის არის, რომ ისინი ძალზედ ნიჭიერები არიან, ნიჭიერება კი ფასდაუდებელი განძია და მადლობა ღმერთს, რომ ამ ნიჭიერებამ თავისი გზა ჰპოვა. იქნებ ჩვენს დაპირისპირებაში კიდევ უფრო მეტი ძალა მოიკრიბა და შინაგანად უფრო გაიმყარა თავისი პოზიციები და შესაძლებლობებიო.

უნიკალური მეხსიერება ჰქონდა ბატონ ოთარს. ეს უადვილებდა, კარგად სცოდნოდა მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების ნიმუშები, ზედმიწევნით სწავლობდა იმ მუსიკასაც, რომელიც მაინცდამაინც არ მოსწონდა — იქნებ უფრო ღრმადაც, ვიდრე იმას, რაც მისი გემოვნების თუ ესთეტიკის ჭრილში თავსდებოდა.

ერთხელ ახლობლებს უთხრა: „რის გარეშე ვერ ვიცხოვრებდი? მოცარტის „რეკვიემის“, მთელი ბეთჰოვენის, მოცარტისა და შუბერტის სიმღერების, როსინის ოპერების გარეშე... თუმცა ეს სია უსასრულოდ შემიძლია გავაგრძელო“...

მისი უნიკალური მეხსიერება ვახსენეთ და ამასთან დაკავშირებით პიანისტის, ნანა დიმიტრიადის ნაამბობი ერთი ამბავი გამახსენდა, რომელიც გარდაცვალებამდე ოროიდე კვირით ადრე მოხდა: — როსინისადმი მიძღვნილ გადაცემაში მსოფლიო ვარსკვლავები მღეროდნენ ნაწყვეტებს ოპერებიდან. იყო მათ შორის ფრაგმენტები, რომლებიც ჩვენში არ შესრულებულა და ძალზე იშვიათად სრულდებოდა სხვაგანაც. მძიმე ტკივილები ბატონ ოთარს ტელევიზორის ყურების ან მოსმენის საშუალებას აღარ აძლევდა. ამიტომაც ნანა მისთვის ჩვეული ემოციურობით უამბობდა ამ მშვენიერ საღამოზე, განსაკუთრებით აღფრთოვანებით ახსენა ქალთა დუეტი, მაგრამ ვერ გაიხსენა, რომელი ოპერიდან იყო. „მოიცა, — თქვა ბა-



5



კომპოზიტორთა კავშირში

ტონმა ოთარმა, სოპრანოსა და მეცოსოპრანოს დუეტი?“, დაფიქრდა და ზუსტად დაასახელა ოპერა...

მას ზეპირად შეეძლო დაეკრა ნებისმიერი თხზულება, რომლის ნოტები ერთხელ მაინც გადაუსინჯავს. ცალკეული ხმები შეეძლო შეესრულებინა არა მარტო ბახის ფუგებიდან, თვით პალესტრინას ურთულესი თხზულებებიდანაც კი. მან იცოდა ყველა მნიშვნელოვანი ნაწარმოები აღორძინების ეპოქიდან დღემდე. ყავდა თავისი კერპები, შემოქმედებითად ითვისებდა მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების უდიდეს მონაპოვრებს, მაგრამ ჭეშმარიტ საყრდენად ეროვნულ ხელოვნებას, ქართულ ხალხურ მუსიკას მიიჩნევდა. ეს იყო მისი ესთეტიკური მრწამსის საფუძველიც და შემოქმედებითი სტიმულიც...

ქართული მუსიკალური ფოლკლორი, მუდმივად იყო თაქთაქიშვილის ყურადღების არეში და სწორედ მას მიიჩნევდა თავისი შემოქმედების ქვაკუთხედად; საქართველოს მთის, ბარის, დასავლეთისა თუ აღმოსავლეთის კუთხურმა ინტონაციურმა მრავალფეროვნებამ უამრავი საკვები და, იმავ დროს, თავსატეხი გაუჩინა კომპოზიტორს, რათა მიეგნო იმ საერთო გენისათვის, საძირკველისათვის, რომლიდანაც ეს მრავალფეროვნება აღმოცენდა. მასში ხედავდა კომპოზიტორი ქართული მუსიკალური აზროვნების, მისი მუსიკალური ენის განახლების უტყუარ შესაძლებლობებს. თქთაქიშვილის „გურული“, „სატრფიალო“ და „მეგრული სიმღერები“ ქართული ფოლკლორის პროფესიულად აჟღერების შესანიშნავი ნიმუშებია. ასეთ კომპოზიციებს კომპოზიტორი ქართული ხალხური მუსიკალური ფენომენის მსოფლიო მუსიკალური აუდიტორიისათვის გაცნობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმადაც მიიჩნევდა. ქართული მუსიკალური და საერთოდ ზოგადად მხატვრული აზრის განვითარების ძირითად გზას და საშუალებას მთლიანად ქართული ფოლკლორის სიღრმისეულ ათვისებასა და კლასიკური ასპექტით მის ლოგიკურ გარდასახვაში ხედავდა. ეს იყო მისთვის ქართული მუსიკის (და არა მარტო) განახლებისა და აღორძინების გზა. ამიტომაც, უძველეს ქართულ ხელოვნებას აღიქვამდა ერთ მთლიანობად, რომლის შემადგენელი ნაწილები — ლიტერატურა, სახვითი ხელოვნება, არქიტექტურა უშუალოდ აირეკლებოდა მუსიკალურ ჰანგში, ქართულ ხალხურ სიმღერასა თუ საგალობელში. ამიტომაც სწავლობდა ასე საფუძვლიანად უნიკალურ ქართულ გალობას, ქართველი ერის ფასდაუდებელ საგანძურს, რომლის რიტმულ-ინტონაციური თუ სტრუქტურული თვისებები თავის თხზულებებშიც შეჰქონდა, იქნებოდა ეს ოპერა, სიმღერა, ორატორია, კანტატა თუ ინსტრუმენტული დრამა.

ყოველივე ამის გააზრება მუსიკალურ კომპოზიციაში კი წარმოუდგენელია ქართული სიტყვის, ანუ ქართული მწერლობის გარეშე, რაც ასევე ბუნებრივად იქცა მისი შემოქმედების განუყოფელ ნაწილად, „ცხოვლად რომ დააჩნდა" მის ნაწარმოებებს სიტყვის მეშვეობით. შედეგად, ნიკოლოზ ბარათაშვილის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონის, კონსტანტინე გამსახურდიას, სიმონ ჩიქოვანის, გიორგი ლეონიძის საუკეთესო თხზულებები ტრანსფორმირებულ იქნა მუსიკის ენაზე მის ოპერებში, კანტატებში, ორატორიებში.

ოთარ თაქთაქიშვილის დაბადების 75 წლის აღსანიშნავ საიუბილეო საღამოზე, რომელიც კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა, ნათლად გამოჩნდა ყველა ეს მომენტი. კონცერტზე, რომელიც ქართველ მუსიკოს-შემსრულებლთა სხვადასხვა თაობის მონაწილეობით გაიმართა, მისი შემოქმედების მრავალფეროვნებამ და ინდივიდუალურმა ხელწერამ მოხიბლა მსმენელი. უკვე მსოფლიოში აღიარებულ შემსრულებელთა გვერდით სცენაზე იდგნენ მუსიკოსები, რომელთა შემოქმედება დაიწყო და ჩამოყალიბდა ოთარ თაქთაქიშვილის მოღვაწეობის პერიოდში — მარინე იაშვილი, მანანა დოიჯაშვილი, ზურაბ სოტკილავა, გივი აზმაიფარაშვილი, გივი მუნჯიშვილი, თეიმურაზ გუგუშვილი, ელდარ გეწაძე, ნუგზარ გელაშვილი და ახალგაზრდები — ხათუნა მიქაბერიძე, ფერიდე ჯინჯიხაძე, ბადრი მაისურაძე, ბესო გაბიტაშვილი, ზაზა აზმაიფარაშვილი, გია ჯაფარიძე, აგრეთვე საქართველოს ტელე-რადიო კორპორაციის სიმფონიური ორკესტრი და საქართველოს სახელმწიფო კაპელა. გაიჟღერეს საორკესტრო ნაწარმოებებმა — იუმორესკამ, პირველმა საფორტეპიანო კონცერტმა (მანანა დოიჯაშვილი), სავიოლინო კონცერტინომ (მარინე იაშვილი), თამარისა და თარაშის არიებმა ოპერიდან „მთვარის მოტაცება" (ფერიდე ჯინჯიხაძე, ელდარ გეწაძე), მინდიას არიებმა ოპერიდან „მინდია" (თეიმურაზ გუგუშვილი), ქრისტეფორეს არიამ ოპერიდან „პირველი სიყვარული" (ელდარ გეწაძე), ნაწყვეტებმა ორატორიიდან „აკაკის ჩანგი" — „აღმართ-აღმართ" (ზურაბ სოტკილავა), „ცა ფირუზ" (ბადრი მაისურაძე), „შემოღამება მთაწმინდაზე" ორატორიიდან „ნიკოლოზ ბარათაშვილი" (ბადრი მაისურაძე), „გურული სიმღერებიდან" — „ხორუმმა" (კაპელა).

კონცერტი საოცარი აღმავლობით მიდიოდა. ყოველი შემსრულებელი მაღალი კლასითა და ოსტატობის მეშვეობით ამჟღავნებდა თავის მოწიწებას ღვაწლმო-



სილი კომპოზიტორისადმი, თითოეული მათგანი ცდილობდა მაქსიმალურად მიეტანა მსმენელამდე, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობამდე ბატონი ოთარის მუსიკის ღირსებები, რადგან ახალგაზრდები, რომლებიც მრავლად იყვნენ დარბაზში, იქნებ პირველადაც ისმენდნენ კომპოზიტორის შემოქმედებას ასეთი მასშტაბით.

კონცერტის აპოთეოზად იქცა ფინალური „კუჩხი ბედინერი" კანტატიდან „მეგრული სიმღერები".

ამბობენ — ცუდი იქცევაო მიბაძვის საგნად. ცხოვრება კი ამტკიცებს, რომ კარგსაც ჰყავს თავისი თაყვანისმცემლები. საქვეყნოდ ცნობილი სამი ევროპელი ტენორის კონცერტების ტრადიციამ თავისებური სტიმული მისცა „კუჩხი ბედინერის" შესრულებას იმ საღამოს. ჩვენ მიჩვეული ვიყავით ამ ნაწყვეტის ბრწყინვალე სოტკილავასეულ ინტერპრეტაციას. ამჯერად ზურაბმა თავისი საშემსრულებლო პიკი დანარჩენ სამ ტენორსაც — ბადრი მაისურაძეს, თემურ გუგუშვილსა და ნუგზარ გელაშვილს უწილადა. „ტენორის" სოლო პარტია „ტენორების" პარტიად იქცა და იმპროვიზაციული ფორმით გაიჟღერა მსმენელის წინაშე. ტენორები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ და თავისებური ვოკალური შეჯიბრი წამოიწყეს, რომელსაც მხარი აუბა კაპელამ. მაგრამ ეს იყო შეჯიბრი კეთილშობილური, რაც ასე შეესატყვისება ქართული ხალხური სიმღერის ბუნებასა და ოთარ თაქთაქიშვილის კეთილშობილურ სახელს.

# მერი დავითაშვილი

## (დაბადებიდან 100 წელი)

ლელა მაქარაშვილი

2024 წლის 13 მარტს ფეისბუქ-გვერდზე განვათავსე ქალბატონი მერის რამდენიმე ფოტო და პატარა წერილი, რათა მისდამი პატივისცემა და მადლიერება გამომეხატა. მოგვიანებით კი ვკითხულობდი კომენტარებს:

„თაობების უსაყვარლესი კომპოზიტორი";

„უთბილესი და უსაყვარლესი";

„მადლობა უბადლო მერი დავითაშვილს მისი ადამიანობისთვის და შემოქმედებისთვის";

„დიდი კომპოზიტორი";

„მადლობა ღმერთს, რომ ეს შესანიშნავი კომპოზიტორი აჩუქა საქართველოს";

„უსაყვარლესი და უძვირფასესი დეიდა მერი" და ა.შ.

მერი დავითაშვილი — მართლაც რომ ყველასთვის საყვარელი კომპოზიტორი, არაჩვეულებრივი მუსიკის ავტორი, დიდი პოპულარობით სარგებლობდა, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ მისი შემოქმედება არ იყო სრულად შესწავლილი და ცნობილი. შარშან, 2023 წელს, როდესაც მიმდინარეობდა მუშაობა პროექტზე — „ვებ-პორტალი — ქართველი კომპოზიტორი ქალები", რომელიც მხარდაჭერილია კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ, მოგვეცა საშუალება მოგვეძიებია, შეგვესწავლა და შეგვეკრიბა კომპოზიტორის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალა, შემოქმედებითი მემკვიდრეობა, ლიტერატურა, გავცნობოდით



მერი დავითაშვილი

საოჯახო არქივს (ნოტი, სამეცნიერო ნაშრომი, ფოტო, ბიბლიოთეკა), შეგვედგინა ნაწარმოებთა ხელნაწერი და ბეჭდური ნოტების ნუსხა, შეგვექმნა რჩეულ ნაწარმოებთა სანოტო ციფრული ვერსია და კვლევის შედეგად დამუშავებული ინფორმაცია ვებ-პორტალზე გაგვეთავსებია.

ჩვენ აღფრთოვანებას იწვევს კომპოზიტორ მერი დავითაშვილის შემოქმედების და მოღვაწეობის გრანდიოზულობა, მისი პროფესიონალიზმი, სიყვარული მუსიკის, ხელოვნების, ისტორიის, გეოგრაფიის, საქართველოს ღირშესანიშნაობათა მიმართ. განსაკუთრებული ქალბატონი გამოირჩეოდა ადამიანური თვისებებით, ცოდნით, ერუდიციით და პატრიოტული სულისკვეთებით. მას ბევრი დამსახურება და ჯილდო მიუღია, თუმცა, ვერც ერთი წოდება თუ ჯილდო ისე ვერ აფასებს მის მიერ ქართული კულტურის წი-

ნაშე გაწეულ ღვაწლს, როგორც საკუთარი ხალხის მიერ სიყვარულით და სითბოთი გამოხატული აღიარება, რითაც კომპოზიტორი მერი დავითაშვილი ნამდვილად ყოველთვის დაჯილდოებული იყო, არის და იქნება. მას, ხშირად, მხოლოდ სახელით – „მერი“ ვიხსენიებთ, როგორც დიდ ადამიანებს. იგი ჭეშმარიტად სახალხო კომპოზიტორია. მერი დავითაშვილის მუსიკა პირველივე მოსმენაზე ნუსხავს პატარასა თუ დიდს და სამუდამოდ ამკვიდრებს სათნოების, სიკეთის, სიყვარულის და სიხარულის გრძნობას. საგულისხმოა მისი სიტყვები: „კომპოზიტორმა ცხადად, დამაჯერებლად, ხატოვნად უნდა უამბოს ბავშვებს მათთვის ახლობელ სამყაროზე, ფრთხილად და ფაქიზად გაიყვანოს ცხოვრების შარაგზაზე, დაანახოს კარგიც და ავიც, აზიაროს სიკეთესა და სილამაზეს, ამხილოს ყველაფერი, რაც ეღობება სიმართლეს და უპირისპირდება მშვენიერებას. ეს რთული და სერიოზული თემები ქმედით სახეებში და გასაგები ენით უნდა გადმოვცეთ“.

კომპოზიტორი საოცარი სიყვარულით და მაღალი პროფესიონალიზმით ემსახურებოდა ქართულ ეროვნულ მუსიკას, რაც განაპირობა მისმა თანდაყოლილმა კეთილშობილებამ, ამაღლებულმა სწრაფვამ მშვენიერებისკენ და სიცოცხლისადმი ჯანსაღმა დამოკიდებულებამ. როგორც თავის მოგონებებში აღნიშნავს, მერი დავითაშვილის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში დიდი როლი მიუძღოდა მამას – შალვა ივანეს ძე დავითაშვილს, რომელიც იყო საქართველოს დამსახურებული ექიმი, რენტგენოლოგი, ფიზიოთერაპევტი და დედას – მარიამ ლაზარეს ასულ ბეროზაშვილ-დავითაშვილს, განათლებით იურისტს.

1924 წლის 13 მარტს თბილისში, მთაწმინდაზე, არსენას ჩიხში მდგარ ძველებურ, თბილისურ სახლში მცხოვრებ დავითაშვილების ოჯახში დაიბადა ქალიშვილი. მას ტრადიციისამებრ მარიამი დაარქვეს (მისი წინაპარი ქალბატონების უმეტესობას მარიამი ერქვა, მათ შორის დედასაც), თუმცა ყველა მერის ეძახდა.

ხატოვნად აქვს აღწერილი თავისი ცხოვრება მერი დავითაშვილს წიგნში „მოგონებები გარდასულ დღეთა“. მკითხველს თვალწინ წარმოუდგება მისი შთაბეჭდილებებით აღსავსე ბავშვობა. იხსენებს სახლის სამხრეთით გაჭრილი ფანჯრის რაფაზე დაფენილ მზის სხივებს, ულამაზეს ხეს, წელიწადის სხვადასხვა დროს რომ სახეს იცვლიდა და ბუნების სიყვარულს აღვივებდა მასში. იხსენებს წითელი ხის სწორსიმიან როიალს, რომლის წყალობითაც მუსიკის უმდიდრეს და ულამაზეს სამყაროში აღმოჩნდა, რაშიც ასევე დიდი როლი ითამაშა მშობლების მუსიკალურობამ. ისინი უკრავდნენ კიდეც ფორტეპიანოზე და პატარა მერის ბავშვობიდანვე ჩაესმოდა მუსიკალური თემები ოპე-



რებიდან, რომანსებიდან და სიმღერებიდან. წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე მშობლებთან ერთად სპექტაკლის „აბესალომ და ეთერის“ ხილვამ და მოსმენამ. გაოცებულს ჩაესახა სურვილი მთელი ცხოვრება მიეძღვნა ხელოვნების იმ დარგისთვის, რომელიც აღაფრთოვანებს და კათარსისს განაცდევინებს ადამიანს.

6 წლის მერი თბილისის პირველ მუსიკალურ სასწავლებელში მამამ მიიყვანა. კონსერვატორიის ფოიეში „ერთი ძია“ შეხვდათ, რომელსაც სუსტი თითების გამო პატარა გოგონას მიღებაზე ჯერ უარი უთქვამს, თუმცა, უცნობი მამაკაცის მიერ ბავშვის მუსიკალური მონაცემების შემოწმების შემდეგ, მერი წარმატებით ჩაირიცხა სასწავლებელში. მოგვიანებით გაირკვა, რომ ძია, თვით ზაქარია ფალიაშვილი ყოფილა.

მიუხედავად იმისა, რომ მუსიკალური სკოლის საფორტეპიანო კლასში საკმაოდ მომთხოვნ პედაგოგ-

თან, სუსანა ელიავა-გაბუნიასთან თავისუფალი მუსიცირება ნებადართული არ იყო, მერი მაინც ახერხებდა შეექმნა საკუთარი მუსიკალური კომპოზიციები. სწავლის პერიოდში მას ხშირად უწევდა კონცერტებზე გამოსვლა. სცენასთან პირველი გაშინაურება კი სწორედ კონსერვატორიის მცირე დარბაზში მოხდა.

1934 წელს, 10 წლის მერი დავითაშვილის ოჯახი, მამის სამსახურებრივი მოვალეობის გამო, საცხოვრებლად ქალაქ ქუთაისში გადავიდა. მერისთვის ქუთაისი მეორე მშობლიური ქალაქი გახდა და მისი სიყვარულით გატარებული 7 წელი დღესასწაულად ექცა. იგი ყოველდღიურად ეზიარებოდა კოლორიტული ქუთაისის მშვენებას, თავისი მაცხოვრებლებით და მოვლენებით. აქ იგი დაუახლოვდა მომავალში ცნობილ არაერთ პიროვნებას. აქვე გაიცნო თავისი თანამეინახე, მისი ვოკალური ქმნილებების ლექსების ავტორი – პოეტი ანა კალანდაძე, რომელთან მეგობრობა და თანამშრომლობაც რამდენიმე ათეული წელი გაგრძელდა.

მერი დავითაშვილი მუსიკალურ განათლებას ქუთაისის სამუსიკო სკოლა-სასწავლებელში განაგრძობდა, პედაგოგებთან ა. ანსიმოვასა და ე. ტალვიკთან.

მეორე მსოფლიო ომის დაწყების გამო, მ. დავითაშვილს მოუწია გეგმების შეცვლა. მოსკოვში ლევ ობორინთან სასწავლებლად გამგზავრების ნაცვლად, 1941 წელს მან ჩააბარა თბილისის კონსერვატორიაში, სადაც მეცადინეობდა ჯერ პროფესორ პეტრე რიაზანოვთან, ხოლო მომდევნო წელს, კომპოზიტორ ანდრია ბალანჩივაძის კლასში ჩაირიცხა.

მერი დავითაშვილი მოგონებაში წერს: „ბედმა გამიღიმა, რომ ანდრია ბალანჩივაძესთან მოვხვდი სასწავლებლად. საინტერესო ცხოვრება განვლო მან. ქვეყანას მდიდარი შემოქმედება დაუტოვა და კომპოზიტორების მთელი პლეადა აღუზარდა, ქადაგებდა პატრიოტიზმს, საუკეთესო ზნეობას, პატიოსნებას, მაღალ პროფესიონალიზმს...“.

ანდრია ბალანჩივაძის კლასში მერი დავითაშვილთან ერთად სწავლობდნენ არჩილ ჩიმაკაძე, რევაზ ლაღიძე, შოთა მილორავა, ოთარ თევდორაძე, ნათელა სვანიძე, ბიძინა კვერნაძე. იგი ასევე მეგობრობდა ოთარ თაქთაქიშვილთან, სულხან ნასიძესთან და სხვებთან.

„მერი დავითაშვილი ეუფლება ქართული მუსიკის მდიდარ ტრადიციებს, პროფესიულ ჩვევებს, სხვადასხვა ჟანრის კანონზომიერებებს. კონსერვატორიის წლებში მას მეტწილად აინტერესებდა კამერული-–ინსტრუმენტული მუსიკა. დაკვირვებით სწავლობდა კლასიკურ მემკვიდრეობას, რომანტიკოსთა სტილისტურ ნიშნებს, პოლიფონიური ხელოვნების თავისებურებებს. სტუდენტობის პერიოდში მან დაწერა საფორტეპიანო ვარიაციები, საფორტეპიანო ტრიო, სიმებიანი კვარტეტი. დიდი ფორმის ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია საორკესტრო სიუიტა „გელათი“ ოთხ ნაწილად“ამ პერიოდში შექმნილი ნაწარმოებები დიდი წარმატებით სრულდებოდა თბილისის საკონცერტო ესტრადაზე. ხოლო დავითაშვილის საფორტეპიანო კონცერტი, რომელიც მისი სადიპლომო ნამუშევარი იყო და სწორედ ეს ნაწარმოები წარუდგინა მან კომპოზიტორთა კავშირში მიმღებ კომისიასაც, მომდევნო წლებში არაერთხელ გაჟღერდება და დიდ მოწონებას დაიმსახურებს. 1947 წელს თბილისში რადიო-ტელევიზიის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, რომელსაც გ. კილაძე დირიჟორობდა, კონცერტი შეასრულა პიანისტმა თ. კობახიძემ.

1946 წელს, კონსერვატორიის დამთავრებისთანავე, მერი დავითაშვილი ხდება კომპოზიტორთა კავშირის წევრი და აქტიურად იწყებს შემოქმედებით მოღვაწეობას.

კომპოზიტორის სტუდენტობის შემდგომი პერიოდის შემოქმედების სტილური ნიშნების შესახებ მუსიკოლოგი ნანა ქავთარაძე წერს: „დავითაშვილი ეროვნული მუსიკის კლასიკურ ტრადიციებს ემყარება. უკვე ამ ნაწარმოებებს ემჩნევათ ხალხურ მუსიკასთან მტკიცე კავშირი, ეროვნული ხასიათი, მეტყველების თავდაჭერილობა, ნათელი ლირიკული სახეებისაკენ მისწრაფება და ჟანრული სურათოვნებით დაინტერესება... ამ ნაწარმოებებში შეიძლება ლაპარაკი დავითაშვილის სტილისთვის დამახასიათებელ თვისებებზე. უპირველეს ყოვლისა ეს არის მელოდიური სახეებით აზროვნება, ამავე დროს ეს მელოდიური სახე მეტწილად ვოკალური წარმოშობისაა და ახლოს დგას ქართული

ხალხური სიმღერების ინტონაციურ საქცევებთან. კომპოზიტორი კარგად იცნობს ხალხური სიმღერის ბუნებას, თუმცა ხალხური მასალის ათვისება-გარდაქმნის მეთოდები დროთა ვითარებაში იცვლება და ევოლუციას განიცდის მის შემოქმედებაში“ (ნ. ქავთარაძე).

1947 წლის თებერვლის თვეს, მოგვიანებით, მერი დავითაშვილი განსაკუთრებული გრძნობით იხსენებს და აღნიშნავს: „ეს მართლაც ბედისწერაა, რომ ამ ცხოვრებაში გივის (კომპოზიტორის მეუღლე) გვერდით აღმოვჩნდი. ...საოცარი ადამიანი იყო გივი დოლიძე – ხალხთან ურთიერთობის და სიყვარულის დიდოსტატი. ამაზე მეტი მას არაფერი იზიდავდა ამ ცხოვრებაში. ჩვენი ურთიერთობა დამყარდა ურთიერთგაგებასა და ერთმანეთის პიროვნული თავისუფლების პატივისცემაზე. ეს რომ არა, შესაძლოა ჩემი შემოქმედებითი მოღვაწეობა საერთოდ არცკი შემდგარიყო. შემოქმედება სათუთი სამყაროა. მისთვის, შინაგანი თავისუფლება უმთავრესია“.

1948 წელს მერი დავითაშვილს შეეძინა ერთადერთი ვაჟიშვილი – მამუკა დოლიძე, რომელიც დღეს გამოჩენილი მწერალი, პუბლიცისტი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორია; ჰყავს შესანიშნავი მეუღლე, თამარ კვანტალიანი (ექიმი, კარდიოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი), შვილები – ნინო დოლიძე (ფილოლოგი, სოც. მეცნიერებათა დოქტორი, ილიას უნივერსიტეტის პროფესორი), გივი დოლიძე (ფინანსისტი, აუდიტისა და ქონსალტინგის მენეჯერი) და შვილიშვილი ლევან ბოკერია (ნეირომეცნიერებების დოქტორი).

ვფიქრობ, რომ საამაყო შთამომავლების პიროვნული წარმატების ერთგვარი საწინდარი, მერი დავითაშვილის მუსიკალური შემოქმედებაც უნდა იყოს, ვინაიდან, ოჯახის წევრებს ადრეული ასაკიდანვე ჩაესმოდათ კომპოზიტორი ქალის მიერ ნატიფი გრძნობით მიწოდებული მუსიკის რჩეული ნიმუშები, როგორც საკუთარი, ასევე მსოფლიო მუსიკალური ლიტერატურიდან.

საოცარი რუდუნებით უდგება ქალბატონი მერი მის შემოქმედებაში საბავშვო რეპერტუარს. არაერთ თაობას ბავშვობის ასაკიდან მოყოლებული, მთელი



მარცხნიდან – პირველ რიგში: ანდრია ბალანჩივაძე, მერი დავითაშვილი, სულხან ცინცაძე; მეორე რიგში: პავლე ხუჭუა, ოთარ თაქთაქიშვილი, ბიძინა კვერნაძე

ცხოვრების მანძილზე მიჰყვება ლაიტთემად ქართული სულისკვეთებით განმსჭვალული ჰანგები, რომელთა ნატიფი მელოდიკა ლაზათიანად ეფინება მზის სხივით გაჯერებულ გამამხნევებელ სიტყვებს და ყველას საოცარ განწყობას უქმნის, თან სიყვარულით აწვდის მისალმების და მშვიდობიანი დილის მადლს. ყველა ქართველისთვის ნაცნობი სევდიანი მელოდია, რომელიც თან სდევს შეუძლოდ მყოფი კურდღლის ამბავს, ბავშვებში იწვევს თანაგრძნობის განცდას და მზრუნველობის სურვილს.

მერი დავითაშვილის საკომპოზიტორო შემოქმედება მრავალფეროვანია თემატიკით, ემოციური საწყისით, საშემსრულებლო ხერხებით, მუსიკალური ფაქტურით, თუ პლასტიკით. აღსანიშნავია მისი შემოქმედების ჟანრული ნაირფეროვნება და გრანდიო-



მერი დავითაშვილი, ანა კალანდაძე

ზულობა, რაზეც მეტყველებს ნაწარმოებთა სიუხვე და მნიშვნელობა.

მერი დავითაშვილი 600-მდე მუსიკალური ქმნილების ავტორია, მათ შორის დიდი ფორმის ნაწარმოებები მუსიკალური თეატრისთვის (3) – ბალეტი „მზის ქორწილი“ (1953), საბავშვო ოპერები „ქაჯანა“ (1965) და „ნაცარქექია“ (1972), სიმფონიური ნაწარმოებები (18), კონცერტი ფორტეპიანოსა და სიმფონიური ორკესტრისათვის (1946), „სიუიტა ბალეტიდან „მზის ქორწილი“ (1953), პოემა ვიოლინოსა და ორკესტრისათვის (1954), ფანტაზია (1956) და სხვ. მერი დავითაშვილი ავტორია კამერულ- ინსტრუმენტული ნაწარმოებების ჩასაბერი და ხემიანი საკრავებისთვის, მოზრდილთა და მოსწავლეთა საფორტეპიანო რეპერტუარისთვის; ვოკალური, საგუნდო ნაწარმოები, საგალობლები, საბავშვო სიმღერა (157), მუსიკა თოჯინების თეატრისთვის, მხატვრული და მულტიპლიკაციური ფილმებისათვის, რომელთა ჰანგებმა მთელი საქართველო მოიცვა და ყველა ქართველის საყვარელ მელოდიებად იქცა. კინოფილმში „მანანა“ მუსიკა თითქმის მთელი ფილმის მანძილზე ჟღერს და ერთიორად აძლიერებს ემოციურ განწყობას. ალბათ არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ მანანას სიმღერით კომპოზიტორი მეტად პოპულარული გახდა. განსაკუთრებულ ხიბლს მატებს მერი დავითაშვილის სიმღერა „მზის შუქივით გამათბობდა“ ფილმს „დაგვიანებული სასიძო“.

ვინ მოთვლის რამდენჯერ გაჟღერებულა, თუნდაც ჩვენ რამდენჯერ წაგვიმღერია მერი დავითაშვილის არაჩვეულებრივი სიმღერები მის მიერ მუსიკალურად გაფორმებული მულტიპლიკაციური ფილმებიდან. კომპოზიტორი საოცარი რუდუნებით და სკრუპულოზურობით უდგებოდა მასალაზე მუშაობას, რადგან გრძნობდა, რომ ფილმის წარმატებისთვის ყოველ ნიუანსს გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა.

მერი დავითაშვილს შემოქმედებითი მოღვაწეობა ასევე წარმატებული აღმოჩნდა ჟანრში – მუსიკა თეატრისთვის. იგი საქართველოს სხვადასხვა ქალაქების თეატრალურ სცენებზე დადგმული სპექტაკლებისთვის ქმნიდა მუსიკას. ეს თეატრებია: გორის დრამატული თეატრი; ქუთაისის სახელმწიფო თეატრი; ბორჯომის სახალხო დრამატული თეატრი; ბორჯომის კულტურის სახლის თეატრი; თბილისის კ.მარჯანიშვილის სახ. თეატრი; მოზარდ მაყურებელთა სახელხო ქართული თეატრი; სოხუმის დრამატული თეატრი; ცხინვალის ქართული თეატრი; მცხეთის თეატრი; რუსთავის თეატრი; თოჯინების სახელმწიფო ქართული თეატრი; თბილისის თოჯინების სახელმწიფო ქართული თეატრი; თბილისის რუსული თოჯინების თეატრი; ქუთაისის თოჯინების თეატრი; სატელევიზიო სპექტაკლი; ბორჯომის თოჯინების თეატრი.

კომპოზიტორის საარქივო მასალა იძლევა ინფორმაციას, თუ რა ტიტანურ შრომას მოითხოვს თითოეული სპექტაკლის მუსიკალური მასალის მომზადება – სცენარის შესწავლა, თითოეული პერსონაჟის თუ სცენური განწყობის აღქმისთვის მუსიკალური თემების მორგება და შესაბამისი „ნომრის“ შექმნა, ჩაწერა, გაჟღერების უზრუნველყოფა, მუსიკალური მასალის ჩანაწერისთვის რეპეტიციების ორგანიზება, თანამშრომლობა რეჟისორთან, მხატვართან, მსახიობთან. ასევე ვრცელია ნუსხა იმ სპექტაკლებისა, რომლებიც წლების მანძილზე ანშლაგით მიმდინარეობდა, რაშიც უდიდესი წვლილი სწორედ მათ მუსიკალურ გაფორმებას მიუძღოდა, მათ შორისაა ისეთი გახმაურებული სპექტაკლები, როგორებიცაა „მაია წყნეთელი“ (1955), არსენა მარაბდელი (1956), „კეთილი მეზობლები“ (1957), ჩვენი აიბოლიტი (1959), „ პირველი მერცხლები“ (1961) „ჩექმებიანი კატა“ (1964), „ძველი რომანსი“ (1965) „ქალაქი უსიყვარულოდ“ (1966), „წითელქუდა

(1979), „კონკია“ (1983), „დაჩის ზღაპარი“ (1984), „სათაგური“ (1991) და მრავალი სხვა.

მარტო საბავშვო სპექტაკლი „ბატის ჭუკი“ რად ღირს. მას ხომ საოცარი აღტაცებით უცქერდნენ ბავშვები და მონაწილეობასაც კი იღებდნენ თეატრალურ წარმოდგენაში.

შეიძლება არც კი ვიცოდეთ, რომ კინოქრონიკისთვის, თუ კინონარკვევისთვის შექმნილი მუსიკის ავტორი მერი დავითაშვილია. ჩაგვესმის და ბექგრაუნდის ფუნქციის მიუხედავად ძლიერ ემოციურ განწყობას გვიქმნის. მას ასეთი ოციოდე ნიმუში აქვს შექმნილი და შეიძლება მეტიც, ვინაიდან მის საოჯახო არქივში დიდი მოცულობის ხელნაწერებს შორის შესაძლებელია სწორედ აღნიშნული თემატიკისთვის იყოს არაერთი ჩანაწერი, მონახაზი, ესკიზი, ან პაწაწინა მოტივიც კი, რომელიც მერი დავითაშვილის შემოქმედების ისეთ იმპულსად ქცეულა, რომ აზვირთებულ ტალღად მოვლენილი აკუსტიკურ სივრცეში ულამაზეს ჰარმონიულ ჟღერადობად გადმოფრქვეულა.

გაოცებას იწვევს ჩამონათვალის სიუხვე და მასშტაბურობა და ძნელი წარმოსადგენია, თუ როგორ ახერხებს კომპოზიტორი თითქმის ყველა მუსიკალურ ჟანრში შექმნას ნაწარმოებები, რომლებიც როგორც შემსრულებელთათვის, ასევე მსმენელისთვის იყოს მისაღები, გასაგები და საყვარელი. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ქალბატონი მერი პარალელურად მოღვაწეობს მრავალი მიმართულებით – საგანმანათლებლო სფეროში, საკმაოდ დატვირთულია საზოგადო მოღვაწეობით; დაკავებულია შემოქმედებითი კონცერტების, ფესტივალების, საკავშირო პლენუმების და სხვადასხვა სახელოვნებო ღონისძიებების საორგანიზაციო საკითხების მოგვარებით. 1954–1968 წლებში ხელმძღვანელობს საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის საბავშვო მუსიკის სექციას; 1956 წელს ხდება საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის წევრი; 1968 წლიდან 1990 წლამდე, თითქმის 23 წელი, როგორც საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მდივანი, ეწევა ქართული მუსიკის პოპულარიზაციას. ამ პერიოდს ემთხვევა მისი სამეცნიერო თუ საგანმანათლებლო საქმიანობა. ხშირად მონაწილეობს ბავშვთა საერთაშორისო კონფერენციებში, როგორც მიწვეული სტუმარი და მომხსენებელი. საიტზე წარმოდგენილია მერი დავითაშვილის პუბლიკაციების ნუსხა – ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული მისი სტატიები და საერთაშორისო თემატურ კონფერენციებზე წარდგენილი მოხსენებები. მერი დავითაშვილი, ძირითადად ყველა ნაშრომში აღნიშნავს მუსიკის როლის მნიშვნელობას, განსაკუთრებით ბავშვთა აღზრდის პროცესში. კომპოზიტორი ქალის, როგორც „მუსიკალური აღზრდის საერთაშორისო ორგანიზაციის“ წევრის (ISME) ხედვა და მსჯელობა, რომელიც პრაქტიკაზე იყო დაფუძნებული, უნგრეთში (ბუდაპეშტი, 1969), რუსეთში (მოსკოვი, 1970), შვეიცარიაში (1976), ჩეხოსლოვაკიაში (ოლომოუცი, 1977), რუმინეთში (1979), ბულგარეთსა (1984) და სხვა ქვეყნებში კონფერენციის მონაწილეთა მხრიდან ყოველთვის დიდ ყურადღებას იმსახურებდა. პირადი სიმპათიების ფონზე ახალი კავშირები ყალიბდებოდა.

შეუფასებელია კომპოზიტორ მერი დავითაშვილის ღვაწლი, რომელიც მან დასდო საქართველოს საბავშვო და მოზარდთა მუსიკის კვირეულის დაარსების საქმეს. 1972 წლიდან ის ყოველწლიურად იყო ამ კვირეული ხელმძღვანელი და ორგანიზატორი. კვირეულს დიდი დატვირთვა ჰქონდა – ქართული მუსიკალური კულტურის გადარჩენა, განვითარება, საგანმანათლებლო და საკონცერტო რეპერტუარის გამდიდრება, პოპულარიზაცია, ფართო მსმენელის წინაშე, როგორც ნორჩ და ახალგაზრდა, ასევე მოზრდილ შემსრულებელთა წარმოჩენა; ასევე, საკომპოზიტორო ხაზით ახალი, საბავშვო და ბავშვთათვის შექმნილი ნაწარმოებების გაჟღერება. 2010 წლიდან საბავშვო და მოზარდთა მუსიკის კვირეულს მიენიჭა მერი დავითაშვილის სახელი. ყოველ წელიწადს, 1 ივნისიდან ერთი კვირის მანძილზე დიდი თუ პატარა საოცარი დღესასწაულის მომსწრე ხდება. ტრადიცია დღესაც გრძელდება. წელს (2024) კომპოზიტორთა კავშირის ორგანიზებით, უკვე 52-ე კვირეული გაიმართა. ვიმედოვნებთ, რომ კვირეულს მომავალშიც შეეწყობა ხელი.

საორგანიზაციო საქმიანობის პარალელურად იქმნებოდა სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებები. ვრცელი

ნუსხიდან აღვნიშნავთ რამდენიმე მათგანს:

კომპოზიტორმა მერი დავითაშვილმა სხვადასხვა დროს 150-ზე მეტი საბავშვო სიმღერა, 100-ზე მეტი ვოკალური და ორმოცდაათიოდე საგუნდო ნაწარმოები შექმნა მ. მრევლიშვილის, გ. ჭიჭინაძის, ა. კალანდაძის, პ. გრუზინსკის, ვაჟა-ფშაველას, ტ. ტაბიძის, გ. ტაბიძის, ნ. ბარათაშვილის, ლ. ასათიანის, მ. ლებანიძის, ნ. კილასონიას, ო. იოსელიანის, ტ. ჭანტურიას, ჯ. ჩარკვიანის, გ. ლეონიძის და სხვათა ლექსებზე. სიმღერების და ვოკალური ნაწარმოებების უმეტესობა ციკლების სახით, სხვადასხვა დროს, სანოტო კრებულების სახით გამოიცა უმეტესად მუსფონდის მიერ და დღეს, ციფრული ფორმატის სახით საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საიტზე არის წარმოდგენილი. გამოიცა მერი დავითაშვილის საბავშვო სიმღერების მრავალი კრებული.



მერი დავითაშვილი ოპერა „ნაცარქექია" ფარდის ესკიზი 1979

საორკესტრო ნაწარმოებების პარტიტურების შექმნა დიდ ძალისხმევას მოითხოვს. მერი დავითაშვილს საორკესტრო შემადგენლობით დიდი ლიტერატურა აქვს შექმნილი. ოპერა „ნაცარქექიას" პარტიტურის ხელნაწერი, რომელიც დავითაშვილის პირად არქივში ინახება, 3 ფორმატის 600 გვერდს ითვლის. გაოცებას იწვევს ხელნაწერი პარტიტურების სიმრავლე და მუსიკალური მასალის ნოტირების ოსტატობა.

ქმნილებათა შორის დიდი წარმატება ხვდა წილად მერი დავითაშვილის ოპერებს, რომლებიც შეიქმნა ბავშვებისთვის, თუმცა, აღმოჩნდა, რომ მუსიკა და სანახაობა უფროს თაობასაც ხიბლავდა.

ოპერისათვის „ქაჯანა", რომელიც კომპოზიტორმა 1965 წელს შექმნა, ლიბრეტო ნიკო ლომოურის მოთხრობის მიხედვით რევაზ თაბუკაშვილმა შეადგინა. ოპერის პრემიერა 1966.05.08 შედგა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე. დირიჟორობდა რ. ხურცილავა, რეჟისურა ეკუთვნოდა გ. მელივას, ხოლო მხატვარი იყო ი. ასკურავა. ნაწყვეტები ოპერიდან – ცეკვა „ქართული" და „ფარიკაობა", ხშირად სრულდებოდა სიმფონიური მუსიკის კონცერტებზე.

1972 წელს მერი დავითაშვილი ბავშვებისთვის ქმნის კიდევ ერთ ოპერას – „ნაცარქექია". ლიბრეტო ს. ჭეიშვილს ეკუთვნის და შექმნილია ხალხური ზღაპრის საფუძველზე. პრემიერა შედგა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე, 1979.06.30. დირიჟორობდა ი. ჭიაურელი. რეჟისორ თ. აბაშიძის და მხატვარ მ. მალაზონიას ნამუშევარმა მეტი ეფექტურობა შესძინა სპექტაკლს. გასული საუკუნის 80-იან წლებში ოპერა დიდი წარმატებით იდგმებოდა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სცენაზე.

პრესის ფურცლებზე მრავალი გამოხმაურება დაიბეჭდა. გთავაზობთ რამდენიმე ამონარიდს:

***ანდრია ბალანჩივაძე:*** „...მ. დავითაშვილის მუსიკას მოსდგამს ქალური სინაზე და სიწმინდე, სიყვარული ნორჩი მსმენელებისადმი, მხატვრული მიზანდასახულობის სიზუსტე. მომწონს ოპერის საერთო გულწრფელი, ზღაპრული მიამიტობით აღსავსე ტონი, სასიამოვნო, ხალხური სტილით გადაწყვეტილი ანსამბლები, ოსტატური, გემოვნებიანი და მახვილგონივრული გაორკესტრება. განსაკუთრებით მომეწონა მუსიკაში ზღაპრულ-გროტესკულ ხაზთან დაკავშირებული ეპიზოდები..." (გაზ.: კომუნისტი, 1979.07.31).

***გულბათ ტორაძე:*** „მერი დავითაშვილს, მის შემოქმედებას კარგად იცნობენ არა მარტო მუსიკალური წრეები, შეიძლება ითქვას, რომ მას იცნობს მთელი საქართველო, იცნობს ქართველი ხალხი იმიტომ, რომ მისი საოცრად სადა და სათნოებით სავსე მუსიკა თითქოს „აკვნიდანვე" თან სდევს ჩვენს პატარებს, იმიტომ რომ მისი ნაწარმოებები ნორჩი თაობის მხატვრული

აღზრდის განუყოფელ ნაწილად იქცა“ (მ.დ. „მოგონებები“, 2011).

***ნანა ქავთარაძე:*** „...ოპერა „ნაცარქექია“ ძალზე ახალგაზრდული სპექტაკლია არა მარტო იმიტომ, რომ მასში მონაწილეობენ ახალგაზრდა შემსრულებლები, არამედ თავისი ტემპო-რიტმული გადაწყვეტილებითაც. გაორკესტრების მაღალი დონე იძლევა პლასტიური, სცენიური სიცოცხლის განვითარების დიდ შესაძლებლობას. სპექტაკლი მიმზიდველია თავისი ხატოვნებით, იუმორესკული სიმსუბუქით და მკვეთრი გროტესკით, რაც სხვადასხვა თაობის მსმენელის ინტერესს იწვევს... ოპერა „ნაცარქექია“ თეატრმა ბავშვებს უძღვნა, მაგრამ თავისი სხივმოსილებით, გონებამახვილობით, ხალხური იუმორითა და ბრწყინვალე შესრულებით ის მოზარდებსაც ანიჭებს სიამოვნებას“.

მერი დავითაშვილის კამერულ-ინსტრუმენტული ჟანრის ნაწარმოებები ასევე, დიდი პოპულარობით სარგებლობს და ხშირად ისმის საკონცერტო ესტრადაზე. აღვნიშნავთ რამდენიმე მათგანს: საფორტეპიანო „ხორუმი“, რომელიც 1949.10.23. შეასრულა იმ დროისათვის სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტმა ქსენია ჯიქიამ; ნაწარმოები არაერთხელ მოგვისმენია პიანისტ თამარ ლიჩელის ბრწყინვალე შესრულებით. პიანისტთა თბილისის საერთაშორისო კონკურსზე ქართული მუსიკის საუკეთესო შესრულებისთვის კატეგორიის რეპერტუარში შესული მერი დავითაშვილის ნაწარმოები სხვადასხვა ინტერპრეტაციით მრავალჯერ გაჟღერდა, თუმცა მუსიკის მუხტი და ფაქტურა წამყვან როლს თამაშობდა, შესაბამისად ქართული სულის მატარებელ უცხოელსაც ნუსხავდა და გარკვეული ხნით ქართველადაც კი აგრძნობინებდა თავს.

მერი დავითაშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობა მართლაც რომ უკიდეგანოა და მრავალმხრივი. მისი თანამშრომლობა „ქართულ ფილმთან“, სადაც აფორმებდა და ქმნიდა მუსიკას ფილმებისთვის, მულტიპლიკაციური, ნახატი ფილმებისთვის. რამდენი დეტალი და ნიუანსი უნდა გაითვალისწინო, წამების გადანაწილებით მუსიკალური მასალა მოარგო კადრს და ეს ყველაფერი საორკესტრო ვერსიით წარმოადგინო. და თუ სცენარი შეიცვალა, რეჟისორმა თავისი ხედ-




ვა შემოგთავაზა და ყველაფერი სულ თავიდან იწყება, საჭირო ხდება ახალი თემები, ახალი მელოდიები, სხვადასხვა განწყობა და ნიუანსი, რომელიც მხოლოდ მერისია, მხოლოდ მას ძალუძს სიფაქიზითა და ოსტატობით შექმნას შედევრი. თან უბრალოდ და თითქოს და მარტივად მოწოდებული, ამავდროულად ღრმა და გრძნობის აღმძვრელი განუმეორებელი მუსიკით.

მერი დავითაშვილი, როგორც ყველასათვის საყვარელი კომპოზიტორი, როგორც პედაგოგი დიდ პატივისცემას და სიყვარულს იმსახურებდა და დღესაც ყველა დიდი სითბოთი მოიხსენიებს, ვისაც კი მასთან, როგორც პედაგოგთან, ჰქონია ურთიერთობა.

მერი დავითაშვილი 1973 წლიდან თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიაში მოღვაწეობდა ჯერ როგორც პედაგოგი (ინსტრუმენ-

ტმცოდნეობა, ორკესტრობა), 1994 წლიდან კი პროფესორი და ყველა სტუდენტისთვის უძვირფასესი ლექტორი ხდება; პროფესიულ ცოდნასთან ერთად იგი მათ უზიარებს ზოგადად სამყაროსადმი დამოკიდებულების ჭეშმარიტ ხედვას. მერი დავითაშვილი ასევე ასწავლის



ᲛᲔᲠᲘ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲐᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲓᲘᲓ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ. ᲡᲝᲚᲘᲡᲢᲘ ᲗᲐᲛᲐᲠ (ᲗᲐᲗᲐ ᲚᲘᲩᲔᲚᲘ), ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ Ზ. ᲤᲐᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲚᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬ. ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲝᲠᲙᲔᲡᲢᲠᲘ, ᲓᲘᲠᲘᲟᲝᲠᲘ Ზ. ᲐᲤᲛᲐᲘᲤᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. სამუსიკო სასწავლებელში, სადაც 1973 წლიდან მიჰყავს კომპოზიციის კურსი. აქვე აღვნიშნავ, რომ „ნიჭიერთა ათწლედში" წილად მხვდა ბედნიერება, ვყოფილიყავი მისი მოსწავლე, კომპოზიციის საფუძვლების შესწავლისას მეფიქრა მომავალში საკომპოზიციოზე სწავლის გაგრძელებაზე, როგორც უფროსი მეგობრისაგან მიმელო ჩემთვის მნიშვნელოვანი რჩევები, რისთვისაც გამოვთქვამ ღრმა პატივისცემას და მადლიერებას.

სიღრმისეულად და საოცარი ხატოვნებით წარმოგვიდგენს მუსიკოლოგი ნანა ქავთარაძე არაერთ სტატიას, თუ წიგნს, რომელიც ეძღვნება კომპოზიტორ მერი დავითაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებით გზას. ქალბატონი ნანა წერს: „...მერი დავითაშვილმა დიდი სიყვარულითა და მოკრძალებით შედგა ფეხი ბავშვთა სამყაროში და პასუხად ასეთივე გულისხმიერება და სიყვარული მიიღო". „...მ. დავითაშვილი ამ სამყაროს უკავშირდება საბავშვო მუსიკის ავტორისათვის აუცილებელი თვისებებით. ეს არის ქართველი კომპოზიტორი ქალის შინაგანი სულიერი სისპეტაკე და სიწრფელე, გძნობატევადი გული, ბავშვური უშუალობით განცდის უნარი და რაც მთავარია, დედობრივი სათნოება პატარებისადმი". მუსიკოლოგი გულბათ ტორაძე თავის მოგონებაში აღნიშნავს: „მერი დავითაშვილს, მის შემოქმედებას კარგად იცნობენ არა მარტო მუსიკალური წრეები, შეიძლება ითქვას, რომ მას იცნობს მთელი საქართველო, იცნობს ქართველი ხალხი იმიტომ, რომ მისი საოცრად სადა და სათნოებით სავსე მუსიკა თითქოს „აკვნიდანვე" თან სდევს ჩვენს პატარებს, იმიტომ რომ მისი ნაწარმოებები ...ნორჩი თაობის მხატვრული აღზრდის განუყოფელ ნაწილად იქცა".

სწორედ საბავშვო მუსიკის შექმნით მერი დავითაშვილი გახდა ბავშვების საყვარელი კომპოზიტორი, და რაც უკავშირდება ცხოვრების იმ პერიოდს, როდესაც იგი დედა გახდა. მოზარდ მამუკას (ვაჟიშვილი) დედის მუზიცირებისას ღიღინი დაუწყია და ქალი კომპოზიტორისთვის, რომელიც იმ პერიოდში სიმფონიურ, კამერულ და საგუნდო-ვოკალურ ჟანრში მოღვაწეობდა, საბავშვო მუსიკის შექმნის ინსპირაციაც გამხდარა. დიდი და ვრცელია საბავშვო მუსიკის ნაწარმოებთა ამსახველი ნუსხა, მათ შორისაა საბავშვო სიმღერები, ოპერები „ქაჯანა" და „ნაცარქექია", მუსიკა საბავშვო მულტიპლიკაციური და ნახატი ფილმებისათვის, საბავშვო და მოზარდ მაყურებელთა სპექტაკლებისთვის და ინსტრუმენტული ნაწარმოებები.

მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის მერი დავითაშვილს ქართული საკომპოზიტორო სკოლის განვითარების საქმეში. მან აღზარდა არაერთი თაობა, რომელთაც საოცარი ერუდიციის და მაღალპროფესიული მიდგომით აწვდიდა ცოდნას და საკომპოზიციო საფუძვლების უნარებს უმუშავებდა.

საოჯახო არქივში ინახება მრავალი წერილი, მისალოცი ბარათი, თუ მოსაწვევი, რის მიხედვითაც ბევრი, საინტერესო მოვლენა იკვეთება. მერი დავითაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობას გვამცნობს კორესპონდენ-

ცია ცნობილი კომპოზიტორი დიმიტრი კაბალევსკის ხელმოწერით: „მუსიკის აღზრდის საკითხებში საერთაშორისო კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი გულითადად გმადლობთ მონაწილეობისთვის და მოხსენებისთვის, რომელიც ეხება „ხალხური და კლასიკური მუსიკის როლს ახალგაზრდობის აღზრდაში“. ღრმა პატივისცემით და საუკეთესო სურვილებით“.

დიდი ოვაციებით ხვდებოდნენ და მადლიერების გრძნობას გამოხატავდნენ  კომპოზიტორ მერი დავითაშვილის თაყვანისმცემლები. საოცარი სითბოთი იხსენებენ კოლეგები და საახლობლო წრე. მუსიკა რომელიც საინტერესო და მომხიბვლელია, სხვადასხვა ინტერპრეტაციით გაცოცხლების წყურვილს აჩენს. ასე დაიბადა იდეა, რომელიც მერი დავითაშვილს 2013 წელს  შესთავაზა ცნობილმა ბალერინამ, ნინო ანანიაშვილმა. კომპოზიტორი დათანხმდა და ჩანაფიქრიც განახორციელა, თუმცა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში დადგმულ ბალეტს „წუნა და წრუწუნა“, კომპოზიტორი ვერ მოესწრო. ამავე სახელწოდების პოპულარული მულტიპლიკაციური ფილმის მუსიკის მიხედვით კომპოზიტორმა ზურაბ ნადარეიშვილმა შექმნა საბალეტო ვერსია, რომელიც ასევე ევროპელი კლასიკოსი კომპოზიტორების რჩეული ნაწარმოებებიდან მონაკვეთებსაც მოიცავდა. სპექტაკლი როგორც პატარებისთვის, ასევე მოზრდილებისთვის შთამბეჭდავი აღმოჩნდა, თუმცა ნახატი ფილმისთვის შექმნილ მუსიკას სულ სხვა ეფექტი ჰქონდა, მით უმეტეს იმ პერიოდში (1961), როდესაც იგი შეიქმნა.

საავტორო კონცერტებზე, სადაც საყვარელი კომპოზიტორის ცნობილი შედევრები სრულდება, დამსწრე საზოგადოება დიდ სიამოვნებას იღებს. საიუბილეო საღამოებზე ყოველთვის ჟღერდა ის ნაწარმოებები, რომელიც შეიძლება ადრეც ბევრჯერ მოუსმენიათ, თუმცა ყოველ გაჟღერებაზე ახალი შთაბეჭდილებებით აღიქმება, რაც შედევრალური ქმნილებების დამახასიათებელი თვისებაა. ყოველ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით არაერთი საღამო მოეწყო, ხოლო 2019 წლის 12 დეკემბერს, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის დიდი დარბაზის სცენაზე განსაკუთრებულად გამორჩეული საღამო შედგა, რომელიც მიეძღვნა კომპოზიტორ მერი დავითაშვილის და პოეტ ანა კალანდაძის 95 წლის საიუბილეო თარიღს. საკონცერტო ნაწილში მონაწილეობას იღებდნენ მუსიკოსები: გიორგი გაგნიძე (ბარიტონი, საერთაშორი-



საქართველოს კომპოზიტორთა კავშირში გამართული მერი დავითაშვილის სახელობის ბავშვთა კვირეული

სო კონკურსების ლაურეატი), თინათინ მამულაშვილი (სოპრანო), ირინა თაბორიძე (სოპრანო), ვიქტორია ჩაპლინსკაია (ფორტეპიანო), თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტთა გუნდი (ხელმძღვანელი ლია ჭონიშვილი). პროექტის ავტორის, მარიამ დავითაშვილის ჩანაფიქრით და ორგანიზებით (სამწუხაროდ იგი ვერ მოესწრო ღონისძიების ფინალურ „აკორდს“), საღამომ ძალიან საინტერესოდ ჩაიარა. სამი ქალბატონის შემოქმედების – მუსიკის, პოეზიისა და მხატვრობის ტანდემმა და შერწყმამ საოცარი სახე მიიღო. იუბილეზე სანოტო კრებულის „თბილისური ჩანახატები“ პრეზენტაცია მოეწყო. მერი დავითაშვილის მუსიკა წარმოდგენილი სანოტო ვერსიით, რომლის ვოკალური ნაწარმოებების პოეტური ტექსტის ავტორი ანა კალანდაძე გახლავთ, მხატვრულად გააფორმა ქეთი მატაბელმა. ყოველ მუსიკალურ ნომერს მიუსადა-

გა მის მიერ შექმნილი თემატური ილუსტრაციები და შთამბეჭდავი ფერადოვნება შესძინა კრებულს. საღამოზე კონსერვატორიის ფოიეში მოეწყო მხატვარ ქეთი მატაბელის ნამუშევრების გამოფენა. სცენაზე ლექსებს კითხულობდა მსახიობი გიორგი ჩაჩანიძე. შეიძლება ითქვას, რომ იუბილე ხელოვნების ზეიმად გადაიქცა და თეატრალიზებულმა წარმოდგენამ, რომლის რეჟისურა ქალბატონ ნარგიზა გარდაფხაძეს ეკუთვნის, ამაღლებული და სადღესასწაულო განწყობა მიანიჭა დამსწრე საზოგადოებას.

აღსანიშნავია მერი დავითაშვილის მეგობრობა ქართველ მხატვრებთან, რომელთა შემოქმედების თაყვანისმცემელი და უბადლო შემფასებელიც გახლდათ. კომპოზიტორი თავის მოგონებებში იხსენებს მხატვრებს: დუდა გაბაშვილს, ჯიბსონ ხუნდაძეს, თეიმურაზ ყუბანეიშვილს, ირაკლი და გოგი ოჩიაურებს, ელგუჯა ბერძენიშვილს, ეთერ კაკაბაძეს, შოთა დოლიძეს და სხვ. მისი მეგობრების რიცხვში იყვნენ ნელი ჩიქოვანი, ნელი ოქროპირიძე, გუგა მიქაძე, ამირ კაკაბაძე, დათო სულაკაური და სხვები. განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა ქართველ მხატვარ ქალბატონთან – ელენე ახვლედიანთან, რომლის სახელოსნოში პირველად კომპოზიტორი მეგობრების, ეთერ ანდრონიკაშვილის და ნანი შალიკაშვილის მეშვეობით, მოხვედრილა. მიღებული შთაბეჭდილება, რომელიც სიცოცხლის მანძილზე მიჰყვებოდა, რაც მერი დავითაშვილს, საოცარი სიფაქიზით აღქმის და ესთეტის ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანს, შემოქმედებაშიც ორიგინალურად გარდაუსახავს არაერთხელ.

საინტერესო მოვლენებით აღსავსე იყო მერი დავითაშვილის ცხოვრების გზა, დაგვიტოვა დიდი და მნიშვნელოვანი შემოქმედება, რომელიც, ვინ მოსთვლის, რამდენს აღაფრთოვანებს და რამდენს გაუკვალავს მომავლის ნათელ გეზს, სწორედ რომ „მერისეული" – სიყვარულით შექმნილი მუსიკის წყალობით.

გრიბოედოვის ქუჩის 29 ნომრის სახლის ფასადზე განთავსებულია მემორიალური დაფა წარწერით: ამ სახლში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა კომპოზიტორი მერი დავითაშვილი. სახსოვრად თბილისის ერთ-ერთ უბანში (ვეძისში) მთის ფერდობზე შეფენილ ქუჩას კომპოზიტორ მერი დავითაშვილის სახელი ჰქვია. მას ხომ ძალიან უყვარდა მთა-ბარ სიარული, ტკბებოდა ბუნების სილამაზით, ეთაყვანებოდა მას და მისი საოცრად გულახდილი, ხალასი და მადლიერებით აღსავსე ქმნილებები უკანვე უბრუნებდა სამყაროს.

მრავალფეროვანია მუსიკალური ჟანრული მახასიათებლით სხვადასხვა შემადგენლობისთვის შექმნილი რეპერტუარი. საქართველოს მერი დავითაშვილის სახით ჰყავს დიდი კომპოზიტორი, რომლის მუსიკაზე უნდა იზრდებოდნენ ახალი თაობები, რომლის შემოქმედება უნდა ჟღერდეს ცოცხალი შესრულებით საკონცერტო ესტრადაზე, საოპერო თეატრსა, თუ აკადემიური მუსიკის საღამოებზე.

2024 წელი მერი დავითაშვილის საიუბილეო წელია – დაბადებიდან 100 და გარდაცვალებიდან 10 წელია. სასიხარულოა, რომ რამდენიმე ღონისძიება ჩატარდა, მიძღვნილი კომპოზიტორის ხსოვნას. გალა კონცერტის საღამოზე, რომელიც სამინისტროს მხარდაჭერით და კომპოზიტორთა კავშირის ორგანიზებით განხორციელდა, დიდი დარბაზის სცენიდან გაჟღერდა მერი დავითაშვილის ბრწყინვალე მუსიკა. დოკუმენტური კადრები, სადაც მერი დავითაშვილის არაერთი ინტერვიუ იყო წარმოდგენილი, დამსწრე საზოგადოებას დიდ მონატრებას უვსებდა, რომელსაც განვიცდით ყველა, ვინც კი ერთხელ მაინც შეხვედრია მას. კონსერვატორიის მუზეუმმა უმასპინძლა ზ. ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლის „ნიჭიერთა ათწლედის" ღონისძიებას. მოსწავლე-ახალგაზრდობამ გააჟღერა კომპოზიტორის ნაწარმოებები შექმნილი მოზარდთათვის. წელსვე შედგა დოკუმენტური ფილმის პრემიერა, რომელიც რეჟისორმა დიმიტრი ბუთლიაშვილმა მიუძღვნა მერი დავითაშვილის საიუბილეო თარიღს.

ყველა ჩვენგანი, მერი დავითაშვილის შემოქმედებასთან ზიარებისას, დღესასწაულის მომსწრენი ვხდებით, რადგან მისი მუსიკა ჭეშმარიტად დიდებულ და ამაღლებულ გრძნობას ბადებს მსმენელში.

კომპოზიტორ მერი დავითაშვილის მიმართ მადლიერების გრძნობით და ღრმა პატივისცემით.

# ირმა გიგანის დაუვიწყარი კონცერტი თბილისში

ნია ზახტაძე



19 ოქტომბერს, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში, სტარტი აიღო სახელოვანი ქართველი პიანისტისა და პედაგოგის, თენგიზ ამირეჯიბის სახელობის რიგით 12-ე საერთაშორისო მუსიკალურმა ფესტივალმა, რომლის სულისჩამდგმელი და სამხატვრო ხელმძღვანელი გახლავთ შესანიშნავი ქართველი პიანისტი, თენგიზ ამირეჯიბის აღზრდილი თათა ლიჩელი. წლევანდელი ფესტივალი გახსნა ბრწყინვალე ახალგაზრდა პიანისტმა ირმა გიგანმა.

ირმა გიგანი, რომელიც ურთულესი სოლო პროგრამით წარსდგა მსმენელის წინაშე: ბეთჰოვენის 31-ე საფ- ნო სონატა, სკრიაბინის პირველი საფ- ნო სონატა, შოპენის მაზურკები და მე-3-ე საფორტეპიანო სონატა. არ შევცდები თუ ვიტყვით, რომ კონცერტით მიღებულმა შთაბეჭდილებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ფორტეპიანოსთან იჯდა საოცრად ღრმა ინტელექტუალი, ვირტუოზი პიანისტი, რომელმაც საფორტეპიანო ლიტერატურის ამ შედევრების ბრწყინვალე, მისთვის ჩვეული ხელწერით აღბეჭდილი შესრულება შემოგვთავაზა. ეს გახლდათ ჭეშმარიტი მუსიკის ზეიმი. მინდა შემოგთავაზოთ ირმა გიგანის შემოქმედებითი ბიოგრაფიის მოკლე ექსკურსი. 5 წლის იყო ირმა, როდესაც გამართა თავისი პირველი სოლო კონცერი თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში. აღფრთოვანებულმა თენგიზ ამირეჯიბმა მაშინ ბრძანა: დაიმახსოვრეთ ეს სახელი და გვარი — ირმა გიგანი, ის მწვერვალებს დაიპყრობს. მოგვიანებით ირმა თენგიზ ამირეჯიბის უსაყვარლესი მოსწავლე გახდა. 6 წლის



პატარა ირმა ლიანა ისაკაძესთან ერთად

ასაკში ირმა გიგანმა ბოლონიაში პიანისტთა საერთაშორისო კონკურსზე 6-დან 14 წლამდე მონაწილეებს შორის გრანპრი დაიმსახურა. 7 წლის ასაკში სენსაციური კონცერტი გამართა მოსკოვის კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში, სადაც ირმამ დიდი თეატრის ორკესტრთან ერთად ბრწყინვალედ შეასრულა ბახის რე მინორული კონცერტი, რომელსაც ესწრებოდნენ სახელოვანი მუსიკოსები და მუსიკის კრიტიკოსები, ფაქტობრივად, მოსკოვის მთელი მუსიკალური ელიტა. დარბაზი ფეხზე დამდგარი ხანგრძლივი ოვაციებით ტაშს უკრავდა ამ საოცარ გოგონას, რომელმაც პირველივე აკორდებიდან ისეთი მუხტი მისცა ორკესტრს, რომ თავად დირიჟორი მიხეილ გრანოვსკი და ორკესტრის მუსიკოსები გაოცებულები შესცქეროდნენ პატარა ვირტუოზს (ამის თვითმხილველი თავად გახლდით). ამ მუხტმა დარბაზშიც გადმოინაცვლა და ყველა მონუსხა. შემგომ ამას მოჰყვა შეფასებები: „ეს გოგონა მუსიკისგანაა მოქსოვილი“, „ეს არის ზეციური მოვლენა“, „ირმა არის თქვენი ნაციონალური საგანძური“. ეს ყველაფერი იყო ბავშვობაში.



თბილისში გამართული კონცერტი

სწავლის შემდგომი წლები მუსიკალურ ათწლედში, თბილისის სახელმწ. კონსერვატორიაში, ვენის კონსერვატორიაში, გამარჯვებები მრავალ საერთაშორისო მუსიკალურ კონკურსში, წარმატებული კონცერტები... ირმა ყოველთვის მადლიერია თავისი სახელოვანი პედაგოგების, რომელთაც უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანეს მისი, როგორც პროფესიონალი პიანისტის ჩამოყალიბებაში: ბატონი თენგიზ ამირეჯიბი, ქალბატონი მანანა დოიჯაშვილი, ბატონი შტეფან არნოლდი, რომლებიც ყოველთვის აღფთოვანებულები იყვნენ ირმას უზადო ნიჭიერებით. მინდა გითხრათ, რომ ირმას სოლო კონცერტისთვის შვედ სტუმრებთან ერთად თბილისში სპეციალურად ჩამობრძანდა ვენის კონსერვატორიის პროფესორი, შესანიშნავი პიანისტი და პედაგოგი შტეფან არნოლდი. რეპეტიციის შემდეგ ის შემხვდა დარბაზში და როდესაც მოვიკითხე, მითხრა — „არაჩვეულებრივად ვარ, რადგან ირმა ფანტასტიკურად უკრავსო“ — და შემდეგ მოაყოლა — „ასეთი პიანისტები 50 წელიწადში ერთხელ იბადებიანო“. ასეთი საოცარი შეფასება მისცა თავის მოსწავლეს აღიარებულმა პედა-



გოგმა. დღეს ირმა მისი ასისტენტია ვენის კონსერვატორიაში და წარმატებულ სოლო კარიერას უთავსებს პედაგოგიურ მოღვაწეობას, ატარებს მასტერკლასებს ევროპის სხვადსხვა ქვეყანაში, მართავს კონცერტებს ავსტრიის, გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის, შვედეთის ცნობილ საკონცერტო დარბაზებში.

მინდა გაგაცნოთ ამონარიდების მცირე ნაწილი იმ სტატიებიდან, რომელიც ირმა გიგანის შესახებ იწერება ცნობილ უცხოურ პრესაში: „ფორტეპიანოს მარია კალასი“, „ბგერის ჯადოქარი ფორტეპიანოსთან“, „მისი განსაკუთრებული ტექნიკა, ვნება, ფრაზები, ექსპრესია და ფოკუსირება ნაწარმოებზე, შეთავსებულია პიანისტის თავმდაბლურ ქცევასთან, გამოჩენასთან“, „მსმენელი მაშინვე ინაცვლებს მის ატმოსფეროში და შეიძლება მოჯადოვდეს მრავალსახის ატმოსფერული სურათებით“, „ირმა გიგანი საქართველოდან, ლინცის ბრუკნერჰაუსში სოლო კონცერტით წარსდგა, რომელიც სენსაციად იქცა“. სამწუხაროდ, ჩვენ ყოველთვის თავს ვიკავებთ და თითქოს ვერიდებით ამგვარ შეფასებებს, არადა მართლაც ეროვნული განძი გვყავს ირმა გიგანის სახით, საოცრად მასშტაბური მუსიკოსი, ყოველმხრივ შემკული, განსაკუთრებული პიროვნული თვისებებით შემკული, უმშვენიერესი, სულით ლამაზი და რაც მთავარია, ძლიერი გენეტიკით. ეს ყველაფერი აღბეჭდილია ირმას შემოქმედებაში. დღესდღეობით მსოფლიოში აღიარებული ახალგაზრდა პიანისტების ამ დიდი ოკეანის ზედაპირზე ირმა გიგანი სრულიად გამორჩეული მოელვარე მარგალიტია! უთვალავი გამარჯვება და წარმატება მინდა ვუსურვო ჩემ უძვირფასეს ირმას მის ლამაზ შემოქმედებით გზაზე.



# იოსებ კეჭაყმაძის 85 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კონცერტი



ნინო თავაძე
*თბილისის კონსერვატორიის ბაკალავრიატის II კურსი*
*საგანი — მუსიკის ჟურნალისტიკა*
*საგნის ხელმძღვანელი — ლალი კაკულია*

2024 წლის 26 მარტს ქართველი მსმენელი შესანიშნავი შესაძლებლობის წინაშე აღმოჩნდა, ერთი კონცერტის ფარგლებში მოუსმინა ქართული საგუნდო მუსიკის საგანძურის უმნიშვნელოვანესი ნაწილი — იოსებ კეჭაყმაძის შემოქმედება. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში საზეიმოდ აღინიშნა დიდი საგუნდო კომპოზიტორის 85 წლის იუბილე, კონცერტზე თავი მოიყარეს ქვეყნის ყველაზე გამორჩეულმა საგუნდო კოლექტივებმა, რომლებმაც ქართველი კლასიკოსის შემოქმედების მრავალმხრივობა სრულყოფილად წარმოაჩინეს და მსმენელს დიდი სიამოვნებაც მიანიჭეს.

იუბილეს უძღვებოდა მაყურებლისთვის კარგად ცნობილი კონფერანსიე, თეატრმცოდნე ნიკოლოზ წულუკიძე, რომელიც ჩვეული ოსტატობით მოგვითხრობდა იოსებ კეჭაყმაძის ცხოვრების ღირსშესანიშნავი მომენტების შესახებ. კონცერტის დრამატურგია საგუნდო შესრულებებისა და ბიოგრაფიული კომპონენტების მონაცვლეობაზე იყო აგებული. შესავლის სახით, კომპოზიტორის ბიოგრაფიისა და შემოქმედების მნიშვნელობის ამომწურავი მიმოხილვა შემოგვთავაზა მუსიკოლოგმა, ქალბატონმა მანანა ახმეტელმა, რომლის წამოწყებული ნარატივიც ერთგვარი დოკუმენტური ფილმით გაგრძელდა. ფილმში, რომლის ნაწყვეტები ასევე მუსიკალურ ნომრებთან მონაცვლეობით იყო ნაჩვენები, წარმოდგენილი იყო ინტერვიუები იოსებ კეჭაყმაძესთან დაახლოებულ და მისი შემოქმედებისა თუ ბიოგრაფიის მცოდნე ადამიანებთან, მუსიკოლოგებთან (მანანა ახმეტელი, მანანა კორძაია), ბატონი იოსების მოსწავლეებთან და კოლეგებთან (ელისო ვირსალაძე, ირინა ლომინაძე, რევაზ ტაკიძე, ნინო ანანიაშვილი, იანო ალიბეგაშვილი, ლიანა ჭონიშვილი, იოსებ ბარდანაშვილი). საუბრობდნენ უცხოელი შემსრულებლებიც — ქეით ტენანტი, დარიუს ლიმ, საგუნდო კოლექტივი "Zero 8" — რომლებიც აღვსილნი იყვნენ კეჭაყმაძის მუსიკისადმი აღფრთოვანებითა და ღრმა პატივისცემით, რაც კომპოზიტორის საერთაშორისო წარმატებას მოწმობს. ყოველივე ეს, ვფიქრობ, უდაოდ შესაფერის წარმოდგენას უქმნიდა მაყურებელს ქართველი კლასიკოსის პიროვნული და საკომპოზიტორო მასშტაბის შესახებ.

როგორც ითქვა, ჩინებულად წარმოჩნდა კეჭაყმაძის შემოქმედების მრავალფეროვნება კონცერტის ძირითად — საშემსრულებლო — ნაწილში. ვფიქრობ, ნაწარმოებთა თანმიმდევრობის დრამატურგიული ლოგიკა განვითარდა მეტად ლირიკული და განფენილი ხასიათის გუნდებიდან სიმძაფრითა და დრამატიზმით გამორჩეული ნაწარმოებებისკენ. შესრულდა როგორც ხალხურ, ისე ცნობილი ქართველი პოეტების ლექსებზე შეთხზული საგუნდო კომპოზიციები. კონცერტის პროგრამამ მკაფიოდ წარმოაჩინა ქართული მუსიკის ორი განსხვავებული შტო კეჭაყმაძის შემოქმედებაში — დასავლური/კეჭაყმაძისეული თანამედროვე თვითმყოფადი ენა კომპოზიციებში „თუთა", „გაზაფხულის საღამოა მშვიდი" (გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა), „ქუთაისური სერენადა" (ქუთაისის კამერული გუნდი) და ა.შ.; ხოლო კომპოზიციებში „კარგი იყო არ გამეცნე თავიდან", „ძველი თბილისის სიმღერები" (თბილისის ბავშვთა კაპელა), „კეკელჯან" (კონსერვატორიის სტუდენტთა გუნდი) — აღმოსავლური შტო იყო წარმოდგენილი. თუკი კონცერტის მიზანი, კეჭაყმაძის სახელისთვის პატივის მიგებასთან ერთად, მსმენელისთვის მისი თანამედროვე, ორიგინალური, და, იმავდროულად, ცხადად ეთნიკური ნიშნით გამორჩეული და მრავალფეროვანი ენის წარმოჩენა იყო, ეს მიზანი უდაოდ მიღწეულ იქნა.

როგორც აღინიშნა, საგუნდო კოლექტივებმა მაღალი დონის შესრულებით დიდი სიამოვნება მიანიჭეს მსმენელს. აღსანიშნავია როგორც გუნდური ჟღერადობის მაღალი ხარისხი, ისე სოლისტების ინტერპრეტაციები, რომელთაგან განსაკუთრებით გამოვყოფდი ზვიად მიჩილაშვილს (სამების კათედრალის საპატრიარქო/სახელმწიფო კამერული გუნდის სოლისტი) კომპოზიციაში „ბალახო მითხარ" და თეონა ცირამუას, გორის ქალთა კამერული გუნდის სამხატვრო ხელმძღვანელს, რომელიც, საგუნდო შესრულების უმაღლესი კლასის მიღწევის გარდა, სოლისტის ამპლუაშიც მოგვევლინა კომპოზიციაში „ლომო, შე ლომის მოკლულო". ეს შეს-

რულება თავისი ემოციური მუხტითა და დრამატიზმით აქამდეც კარგად იყო ცნობილი საგუნდო მუსიკის მოყვარულთათვის.

გუნდური ჟღერადობისა და დახვეწილი ინტერპრეტაციის თვალსაზრისით კი განსაკუთრებული შთამბეჭდავობით გამოვარჩევდი გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელას (ხელმძღვანელი — ზვიად ბოლქვაძე), თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტთა გუნდს (ლიანა ჭონიშვილის ხელმძღვანელობით), თბილისის ბავშვთა კაპელას (გელა ფარჩუკიძის ხელმძღვანელობით).

კონცერტზე წარმოდგენილ კოლექტივებს ბევრი რამ განასხვავებდათ ერთმანეთისგან — მაყურებელმა იხილა სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის, წარმომავლობისა და გამოცდილების მქონე გუნდები, თუმცა მათ ერთი რამ აერთიანებდათ — ეს იყო უდიდესი მოწიწება და პატივისცემა იოსებ კეჭაყმაძისა და მისი მუსიკის მიმართ. ამის ნათელი გამოხატულება იყო, თუნდაც, სამების კათედრალის საპატრიარქო/სახელმწიფო კამერული გუნდის ხელმძღვანელის — სვიმონ ჯანგულაშვილის — ჟესტი — როდესაც მან გამოსვლის დასასრულს, დამსახურებული ოვაციებისას, ნოტები ცაში აღმართა, თითქოს, გვითხრა, მას ეკუთვნის ეს აპლოდისმენტებიო.

საიუბილეო საღამოზე მაღალი დონის შესრულებების გარდა, როგორც ითქვა, არაერთი საინტერესო თუ სახალისო ისტორია გაჟღერდა იოსებ კეჭაყმაძის ცხოვრებიდან. ნიკოლოზ წულუკიძე თანმიმდევრულად შეეხო ისეთ ღირსშესანიშნავ მომენტებს, როგორებიც იყო საქართველოს ჰიმნის შექმნა, კულტურის სამინისტროსთან თანამშრომლობა. წამყვანი არ მოერიდა კონსერვატორიიდან იოსებ კეჭაყმაძის განთავისუფლების სამარცხვინო ფაქტის ხაზგასმასაც, თუმცა, ეს ისტორია ფართო საზოგადოების მიერ დიდი ხანია, სამარცხვინოდაა შერაცხული, ამიტომაც მისმა გაჟღერებამ მრავალმნიშვნელოვანი ღიმილები გამოიწვია დარბაზში.

კონცერტის დრამატურგიული კვანძის გახსნა სასიხარულო ამბავთან იყო დაკავშირებული — კულტურისა და სპორტის მინისტრმა, ქალბატონმა თეა წულუკიანმა ქალაქ ქუთაისის მერთან, ბატონ იოსებ ხახალეიშვილთან ერთად ქუთაისის კამერულ გუნდს საზეიმოდ მიანიჭა იოსებ კეჭაყმაძის სახელი. ამის შემდგომ, აწ უკვე იოსებ კეჭაყმაძის სახელობის ქუთაისის კამერულმა გუნდმა ირინე ლომინაძის ხელმძღვანელობით სიმბოლურად შეასრულა „ქუთაისური სერენადა“ და „ვინ რა წაიღო ამ ქვეყნით“ ციკლიდან „წუთისოფლის სამდურავები“. ამას კი მოჰყვა საღამოს დასკვნა — საქართველოს ხალხური სიმღერის სახელმწიფო ანსამბლ „ბასიანთან“ ერთად სცენაზე წარდგა კონცერტის მონაწილე ყველა საგუნდო კოლექტივი იოსებ კეჭაყმაძის ცნობილი „მრავალჟამიერის“ ერთობლივი შესრულებით. ამგვარ „გაერთიანებულ“ გუნდებს ხშირად ვხედავთ სხვადასხვა საგუნდო მუსიკის კონცერტისა თუ ფესტივალის დამაბოლოებელი ნომრების სახით. და, როგორც წესი, ისინი დიდ საშემსრულებლო სირთულეებთანაა დაკავშირებული — სცენაზე ხომ ამდენი ადამიანი დგას, მათ სამართავად დიდი სადირიჟორო გამოცდილება და პროფესიონალიზმია საჭირო. ამ შემთხვევაში კი მრავალრიცხოვანმა გუნდმა, „ბასიანის“ ერთ-ერთი წევრის მინიმალური მინიშნებებით, თითქმის დირიჟორობის გარეშე შეასრულა ყველასათვის ცნობილი „მრავალჟამიერი“, რასაც, როგორც მოსალოდნელი იყო, მოჰყვა არეულობა, ტექსტის შეუთანხმებლობა და, ზოგადად, არცთუ დამაჯერებელი შესრულება. რომ არა ეს ხარვეზები, ვფიქრობ, ფინალური გუნდი კიდევ უფრო დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა მსმენელზე, თუმცა, მიუხედავად ამისა, თვალსაჩინო იყო ამ შესრულების „მესიჯი“ — ეს იყო დიდი საგუნდო კომპოზიტორის, იოსებ კეჭაყმაძის სახელით გაერთიანებული და ამღერებული უამრავი ადამიანი, მისი მუსიკალური „მონაგარი“, რომლის ერთ ხმად შეკრული „მრავალჟამიერი“ ვერც ერთ მსმენელს ვერ დატოვებდა გულგრილს.

ამგვარად, დარწმუნებული ვარ, იოსებ კეჭაყმაძის იუბილეზე დამსწრე ყველა ადამიანმა უდიდესი სიამოვნება მიიღო, რასაც სწორ საორგანიზაციო მენეჯმენტს, მაღალი დონის შესრულებებსა და, უპირველესად, კეჭაყმაძის მუსიკისადმი საყოველთაო სიყვარულსა და აღიარებას უნდა ვუმადლოდეთ. ეს ყოველივე კი მრავალი ასეთივე დასამახსოვრებელი, შთამბეჭდავი და ღრმად შინაარსიანი საიუბილეო საღამოს მოლოდინს გვისახავს.

# სიტყვის მნიშვნელობა და მისი მუსიკალური მოდიფიკაციები ქართულ კინო-სათეატრო მუსიკაში

## (იოსებ კეჭაყმაძის მუსიკის მაგალითზე)

შიო აბრახამია
*დირიჟორი, მუსიკოლოგი.*
*თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დოქტორანტი**



იოსებ კეჭაყმაძე

იოსებ კეჭაყმაძე საგუნდო მუსიკის ნამდვილი დიდოსტატია. მისმა აკადემიურმა მუსიკამ ავტორის სიცოცხლეშივე დიდი აღიარება მოიპოვა. ის ბოლომდე ერთგული დარჩა იმ უნიკალური „ინსტრუმენტისა“, რომელიც ყველაზე გამომსახველი და მგრძნობიარეა ადამიანის სულიერი განცდების გადმოსაცემად. საგუნდო მუსიკას მან ხელოვნების ისეთ ჟანრებშიც მიმართა, როგორიცაა კინო და თეატრი და იქაც ხმამაღალი და განუმეორებელი სიტყვა თქვა.

ცნობილია, რომ საგუნდო მუსიკა ქართულ კინოში სხვადასხვა სიხშირით ყველა ეტაპზე იჩენს თავს. ეროვნული ტრადიციული, თუ ევროპული ტიპის აკადემიური a cappella საგუნდო ნომრების ეპიზოდური ჩართვა, სხვადასხვა აზრობრივი დატვირთვის მატარებელია. მსგავსი ფილმებია: „ბზიანეთი“ (ლ. ელიავა. 1968. საბჭოთა კავშირში „მამაკაცთა გუნდის“ სახელით ცნობილი), „იყო შაშვი მგალობელი“ (ო. იოსელიანი. 1970), „ექსპრეს ინფორმაცია“ (ე. შენგელაია. 1993) და სხვა. უშუალოდ, საგუნდო მუსიკა, როგორც ფილმის მთავარი „პერსონაჟი“ ამერიკულ, ევროპულ და საბჭოთა რუსულ კინემატოგრაფში მე-20 საუკუნის პირველი ნახევრიდანვეა ცნობილი, სადაც უმეტესად a cappella საგუნდო ნომრებია წარმოდგენილი. მსგავსი პრეცენდენტი ქართულ კინემატოგრაფში მხოლოდ 80-იან წლებში გაჩნდა, თუმცა, თუკი ზემოხსენებულ ქართულ, მათ შორის უცხოენოვან ფილმებში საგუნდო მუსიკა ჟანრის მნიშვნელობისა და შესაძლებლობების ხაზგასმას ახდენს, ამ შემთხვევა-

* სადოქტორო პროგრამაზე ალტერნატიული კურსის — „ქართული კინომუსიკა“ ხელმძღვანელი მანანა კორძაია.

ში მან განსხვავებული აზრობრივი დატვირთვა შეიძინა და მხატვრული აზრის მსაზღვრელად, განზოგადების სიმბოლოდაც კი მოგვევლინა. ასეთი ფილმია „არსენას ლექსი“, 1985 წელს ნანა ხატისკაცისა და თენგიზ მაღალაშვილის მიერ გადაღებული, სადაც იოსებ კეჭაყმაძემ ქართული კინოსთვის უჩვეულო სიახლით წარმოადგინა მუსიკის ფუნქცია. ფილმის თითქმის მთელი მუსიკალური პარტიტურა სახელმწიფო კაპელის შესრულებით ჟღერს



და a cappella გუნდებითაა წარმოდგენილი (დირიჟორი გივი მუნჯიშვილი).

ასეთმა გააზრებამ ნათელი გახადა, რომ იოსებ კეჭაყმაძის აკადემიური და კინო-სათეატრო შემოქმედება ერთი, მთლიანი სააზროვნო სისტემაა — გაცხადებული საგუნდო a cappella ჟღერადობაში, რომელიც მუდმივ აკუსტიკურ ძიებებს, ჰორიზონტალისა და ვერტიკალის განსხვავებულ ბგერათშეთანხმებებს, ფონიზმსა და ბგერის ობერტონულ დრამატურგიას ეყრდნობა, რის გამოც სონორისტული აზროვნების დიდოსტატად მოიხსენიებენ. ბგერის შიდაფერადოვნების ძიებათა ეს პრინციპი საკმაოდ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა კეჭაყმაძის კინო-სათეატრო მუსიკაშიც. ამ ძიებებმა განსაზღვრეს კომპოზიტორის ძირითადი ფსიქო-ფილოსოფიური საყრდენები და აზრობრივი სიღმეები, რამაც მცირე ზომის საგუნდო პარტიტურებში პანორამულობის აღქმა, ხოლო მასშტაბურ პანორამულ ქმნილებაში კონკრეტული სახეების ლოგიკური ერთიანობა განაპირობა.

მისი შემოქმედება სულ რამდენიმე ფილმსა და სპექტაკლს ითვლის, თუმცა მათში გამოვლენილი მუსიკოსის ხედვა, კომპოზიტორისა და რეჟისორის იდეური თანხვედრა, სრუალიად ახალი და არაგანმეორებადი აღმოჩნდა ქართულ კინემატოგრაფში. იოსებ კეჭაყმაძის მუსიკა კინოში არც გამოყენებითი ხელოვნებაა და არც სტერეოტიპული. მან თავისი დამოუკიდებელი ფორმა შესთავაზა რეჟისორებს — სიტყვა, როგორც აკუსტიკური ვერბალური მარცვალი მუსიკალური ფორმისა და მელოდიურ-ჰარმონიულ ბლოკებად ტრანსფორმირების საშუალება, რასაც მუდმივად მიმართავს აკადემიურ მუსიკაში. სწორედ აქ, მკვეთრად გამოვლინდა კომპოზიტორის ის შემოქმედებითი სიახლეები, რომლებიც დაეფუძნა რიტმული დინამიკის დრამატურგიას, ხოლო მის მაორგანიზებელ მექანიზმად სიტყვა იქცა. მუსიკალური ქსოვილის ჰორიზონტალისა და ვერტიკალის სიტყვიერ ფონემად ქცევა და პირიქით — მუსიკალური ვერსიის სიტყვა-ფონემიდან დაბადება კინო-სათეატრო დრამატურგიაშიც საინტერესო ექსპერიმენტი აღმოჩნდა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მისი კინო-სათეატრო და აკადემიურ მუსიკასთან ერთიან ესთეტიკურ პრინციპებს, სააზროვნო სტილსა და უმთავრეს იდეას — კონკრეტულის განზოგადებას.

კეჭაყმაძე ქართულ თეატრსა და კინოში 70-იანი წლებში ერთვება. თავდაპირველად ის ტრადიციულად ინსტრუმენტულ მუსიკას მიმართავს (ფილმები „ძაღლი“ და „ბათა ქექია“), მაგრამ მისი ინტერესების ვექტორი თანდათან აკადემიური შემოქმედების ძირითადი პრინციპის — a cappella საგუნდო მუსიკისკენ ინაცვლებს, რომელსაც ექსპერიმენტის სახით უკვე კინო-სათეატრო მუსიკაშიც იყენებს („ძნელი დასაწყისი“ და „არსენას ლექსი“; სპექტაკლები — „შუშანიკის წამება“ (რუსთავე-

ლის თეატრი. რეჟ. ნანა ხატისკაცი. 1979), „ოიდიპოს მეფე“ (მარჯანიშვილის თეატრი. რეჟ. გიგა ლორთქიფანიძე. 1978), „მთანი მაღალნი“ (ახმეტელის თეატრი. რეჟ. ლერი პაქსაშვილი. 1981), „მოძღვარი“ (სატელევიზიო სპექტაკლი. 1990).

შემოქმედებითი ძიებების შედეგად ფილმებისა და სპექტაკლებისთვის შექმნლის მის მუსიკაში სიტყვა იქცა ფონემად. სავარაუდოა, ამ საერთო ინტერესის — სიტყვისა და ტექსტის, როგორც სემანტიკური მნიშვნელობისა და ფონეტიკური გააზრებისათვის დიდი ყურადღების გამო გადაიკვეთნენ რეჟისორები ნანა ხატისკაცი, თენგიზ მაღალაშვილი და კომპოზიტორი იოსებ კეჭაყმაძე, ვინაიდან ამ რეჟისორების ფილმებსა და სპექტაკლებსაც სიტყვა, ხშირად მუსიკალური ბგერის ელემენტამდე დაყვანილი აერთიანებს. მართალია, ეს ჩანაფიქრი არც ერთ შემთხვევაში ზედაპირზე არ ტივტივებს, თუმცა მათი „წაკითხვა“ მუსიკის ანალიზის შედეგად მარტივდება.

ინსტრუმენტული მუსიკით ფილმის გაფორმების გამოცდილების შემდგ („ბათა ქექია“ — რეჟისორი ლეილა გორდელაძე. 1978 წ.) კომპოზიტორის ჩანაფიქრი — „არსენას ლექსი“ სრულიად ორიგინალური საგუნდო მუსიკით გაეფორმებინა, ეპოსის იდეით იქნა ნაკარნახევი. ეს ფილმი მხოლოდ საგუნდო მუსიკით ფილმის ილუსტრირების პირველი შემთხვევაა ქართულ კინემატოგრაფიაში. ბუნებრივია, რომ არსენა, როგორც სახალხო მოვლენა და გმირი, ეპიკური ჰანგით უნდა ყოფილიყო დახასიათებული. ფილმის რეჟისორებს — ნანა ხატისკაცსა და თენგიზ მაღალაშვილს კეჭაყმაძესთან თანამშრომლობით მსგავსი გამოცდილება რუსთაველის თეატრში უკვე ჰქონდათ. სპექტაკლში „შუშანიკის წამება“. იმ შემთხვევაშიც თემატიკით განისაზღვრა ქორალური მუსიკისადმი მიმართვის აუცილებლობა. მაგრამ კეჭაყმაძის მაძიებლური სული ითხოვდა ამისათვის თეატრალური ესთეტიკისათვის შესაფერი მოდელის მიგნებას. მან მუსიკალურ-დრამატურგიულ ღერძად ერთ საგუნდო კლასტერზე დამყარებული იმგვარი ქორალური მუსიკა, უფრო სწორედ — აკორდი შექმნა, რომელიც დიდ ხანს პუბლიკის მიერ ელექტრონულ მუსიკად იყო აღქმული. ეს არც გასაკვირია, რადგან ქალთა ერთგვაროვანი ხმების ეს „სივრცული“ ჟღერადობა, რომელიც სასრული წერტილის გარეშე იფანტებოდა თითქოსდა უკიდეგანო სივრცეში, მართლაც ელექტრონული ფონის სრულ ასოციაციას ბადებდა.  აქ კეჭაყმაძე უძველესი, ანტიკური პერიოდის თეატრის ტრადიციით, ქოროს სემანტიკას დაეყრდნო — მან საკუთარი ეპოქის სააზროვნო სტილში გადაიაზრა ქორო, როგორც მუსიკალური ენით, ისე იდეთ, და მას პრობლემის განმაზოგადებელის ფუნქცია დააკისრა. კომპოზიტორის ექსპერიმენტი — ლიდიური კილოს ვერტიკალიზებით მიღებული კლასტერი იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ ის „გამითოსდა“ და მსოფლიო კლასიკური მუსიკის მაგალითების გავლენით (ტრისტან-აკორდი) ტერმინი „კეჭაყმაძის აკორდიც“ კი გაჩნდა. შემდგომში იგი კომპოზიტორის ცნობილი საგუნდო პიესის — „ეგზერსისის“ ინსპირაციად იქცა, რომელიც პირველად შეასრულა თბილისის კონსერვატორიის სტუდენტ გოგონათა გუნდმა (დირიჟორი შალვა მოსიძე).

ხატისკაცი-კეჭაყმაძის ტანდემის ეს თეატრალური გამოცდილება შემდგომში კინემატოგრაფში გაგრძელდა, თუმც სიახლითაც შეივსო. ეს იყო სიტყვა-ფონემა, როგორც მუსიკალური აზრის საწყისი ელემენტი, და რიტმი, როგორც მისი მოდიფიკაციის საუკეთესო საშუალება. სწორედ ეს გამოარჩევს კეჭაყმაძის კინომუსიკას და ამავე დროს აერთიანებს მის აკადემიურ შემოქმედებასთან. ამგვარად, მან მიაგნო მუსიკისა და კინოს საერთო, არსობრივ მახასიათებლებს — სიტყვის რიტმულ-ინტონაციური განვითარება, როგორც კინომუსიკის დრამატურგიული საყრდენი. ეს ხერხი გამოიკვეთა ორი სახით:

ა) სიტყვის პრიმატი მუსიკალური პარტიტურის განვითარებისას „ძნელი დასაწყისში“;

ბ) სიტყვისა და ლაიტთემად გააზრებული ჰანგის რიტმული ტრანსფორმაცია „არსენას ლექსში“.

ორივე ფილმში ვერბალური ფონემის მუსიკალურ

ფაქტურაში გადაზრდის პროცესი ფილმის დასაწყისიდანვე მჟღავნდება. პროლოგში ანტიკური თეატრის შორეული გამოძახილის ასოცოაციას ბადებს მთხრობელის მიერ ერთ შემთხვევაში ილიას „ვგალობ და ვგალობ“ და, მეორე შემთხვევაში „არსენას ლექსის“ პირველი სტროფების ლექსად წარმოთქმა. „არსენას ლექსში“ მთავარი მუსიკალური თემის მოდიფიკაცია სწორედ რიტმული ცვლილებების ხარჯზე ხორციელდება, სადაც ერთი თემა დრამატული და ლირიკული სახეებითაა წარმოჩენილი. თემის რიტმული განვითარება და მოდიფიკაციაა დამახასიათებელი ასევე მაღალაშვილის ფილმისთვის — „ძნელი დასაწყისი“, სადაც ერთხმიანი მელოდიის საფუძველს ბავშვის მიერ, ასევე კადრს მიღმა წაკითხული ლექსის ერთი სტროფი წარმოადგენს. ამ ფილმებში კადრს მიღმა წაკითხული ლექსი მუსიკალური განზოგადებისა და განვითარების ინსპირაციაა. ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ფილმის პოეტურ დასაწყისთან, თუმცა ერთ შემთხვევაში ლექსი ინტონაციურ ევოლუციას განიცდის სიტყვებიდან — მუსიკამდე, ხოლო მეორე შემთხვევაში — ეპიგრაფი განსაზღვრავს მუსიკის სტილსა და ჟანრს, სადაც ავტორი არ ერიდება განსხვავებული სახეების ერთი „ინსტრუმენტით“ (გუნდით) წარმოჩენას.

„ძნელი დასაწყისის“ დინამიკური განვითარება ილია ლექსის — „ვგალობ და ვგალობ“ წაკითხვით იწყება. სწორედ ამ ლექსის გამოჩენით ხდება ფილმში მუსიკის როლის გააქტიურება, ხოლო მანამდე არსებული კომპილაციური ნომრები მხოლოდ მუსიკალურ ილუსტრაციად გვევლინება. უხილავი მკითხველის ჩანაფიქრი ხაზს უსვამს სიტყვის, ინტონაციის მნიშვნელობას. ფილმის მუსიკალური ფაბულაც სწორედ ამ ინტონაციის ჰორიზონტალურ, კითხვიდან-სიმღერამდე სამ ეტაპიან განვითარებაზეა აგებული: კითხვა-წამღერება-სიმღერა. ფინალში მელოდია უკიდურესად განვითარებულ, მელიზმებით დატვირთულ ნახაზს წარმოადგენს, რომელიც ილიასეული ჩიტის გალობის ნამდვილი იმიტაციაა. ეს ცალფა მელოდია ფილმის მონაწილე თავშესაფრის ბავშვების სულიერი განწყობის მატარებლად იქცევა. სახეზეა სადა მელოდიური ნახაზის განვითარების პროცესი, რომელიც მოუწესრიგებელი ბავშვების შინაგანი დახვეწისკენ მიმართულ გზას ემთხვევა. ფილმში იდეის მუსიკალური გადმოცემა და განვითარება ერთ ხმაშია გადაწყვეტილი. კომპოზიტორის საგუნდო ესთეტიკა ერთხმიანობის კონტექსტში გადადის, თუმცა მოტივის განვითარების დინამიკა მისთვის დამახასიათებელ მრავალხმიანობის სტრუქტურას იძლევა, სადაც ვერტიკალის აზრობრივი პროცესი ავტორმა ერთი ხმის, ერთი ინტონაციის მრავალაზრობრივ განვითარებაში გარდასახა.

რაც შეეხება „არსენას ლექსის“ მუსიკას, კეჭაყმაძის შემოქმედებაში ის კინო ძიებებისა და საგუნდო ოსტატობის შეჯამებას წარმოადგენს. ფილმში საგუნდო მუსიკის ერთგვარი საკრალიზება ხდება. ყველა საგუნდო ნომერი დამოუკიდებლად ხედვითი და ასოციაციურ-ვიზუალურად აღქმადია. ფილმის პირველივე სცენა გაშლილი მუსიკალური პანორამაა. ნაწარმოების მთავარი თემის ვარიანტული სახე სხვადასხვა ეპიზოდში მუდმივად გასდევს ფილმს, როგორც ლაიტმოტივი. ის გადმოცემულია ლირიკული და დრამატული სახეებით. ლირიკულია დუეტი „აქედანა და შენამდე“, დრამატულია „ოძელაშვილი არსენა“, „ასი ოქრო“, რომელიც არსენას გაყიდვის სცენის შთამბეჭდავი, გონებამახვილური, ვოკალურ-საშემსრულებლო ხერხებით გამორჩეული საგუნდო ეპიზოდია; ხოლო ლირიკა და დრამატიზმი ერთიანდება ფინალში, სოლისტის ეპიზოდში — დედის სიმღერა (მანანა მენაბდის შესრულებით), რომელიც, ერთი მხრივ, არსენასა და კუჭატნელის შეჭიდების ეპიზოდს, მეორე მხრივ კი შვილის სიკვდილით გამოწვეული დედის ტრაგიზმს ამძაფრებს. ეს სცენა უდავოდ თავისებური რემინისცენციაა უძველესი ქართული ეპოსის „ვეფხისა და მოყმისა“. ფილმის ძირითადი სიმბოლოს (არსენას) a cappella ლაიტმოტივის დრამატიზება და ხალხურობის ატმოსფერო, მუსიკის ხედვითობა და ასოციაციურობა აზოგადებს და სცილდება კონკრეტული გმირის ტრაგიკული დედის პორტრეტს, რითაც ქართული ეპოსის წარმოდგენებში არსებულ დედის კულტს წარმოგვიდგენს.

რაც შეეხება მთავარ გმირს, იგი წარმოდგენილია არა როგორც კონკრეტულად არსენა ოძელაშვილის სახე, არამედ ზოგადად თავისუფლებისმოყვარე, ბოროტებასთან მებრძოლი გმირი; მასში განზოგადდა ადამიანის თავისუფლებისა და ამ თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეები. მისი სახე გახსნილია როგორც სახალხო კრებითი მოვლენა, რომელსაც უპირისპირდება ბოროტება, თავისი მრავალსახეობითა და ნიღბებით, კონცენტრირებული ერთი მსახიობის (ზურაბ ყიფშიძე) გარდასახვა-სახეცვლაში — ზაალ ბარათაშვილი, რუსი ოფიცერი, კუჭატნელი. ამ სახეცვლათა გამოსავლენად რეჟისორი ირჩევს ბრეხტისეულ პრინციპს — გარდასახვა და გარეგნული სახეცვლა პირდაპირ კადრში, მაყურებლის თვალწინ ხდება. ეს თეატრალური ხერხი ხაზს უსვამს ნიღაბააფარებულ სიავეს, სხვადასხვა სახით, ფორმითა და შინაარსით რთულად ამოსაცნობი და საშიში რომ არის ქამელეონური ფერთა ცვლისა და მრავალსახეობის გამო. ბრეხტის პრინციპითვეა გახსნილი გმირის მუსიკალური დახასიათება, რომელსაც ფილმის ჩვეული გამომსახველი მელოდიზმიდან ზონგის მახასიათებელ რეჩიტატივებამდე მივყავართ. ამდენად, ეს „თეატრალური“ ხერხი ფილმში შემოტანილია არა ფორმალურად, არამედ კონცეპტუალურ დატვირთვას იძენს, სადაც განზოგადებულია მანკიერება, ბოროტი ძალის მრავალსახოვნება და მასთან დაპირისპირებული სახალხო გმირი. ეს ხერხი ფილმს ანტიკურ თეატრთანაც ახლოებს, სადაც ერთი მსახიობი მამაკაცი და ქორო მონაწილეობდა, ხოლო პროცესში მამაკაცი სხვადასხვა გმირად გარდაისახებოდა. ამავე ლოგიკით, გუნდის როლი ფილმში სრულებით გამართლებულია — ქოროს რეპლიკები, პროცესის შეფასება, ხალხის აზრის განზოგადება — ეს ბრეხტთან ერთად, უძველესი თეატრალური ესთეტიკის ლოგიკური შემოჭრაა ფილმში, რაც სრულიად არ ანელებს ფილმის საერთო დინამიკას, არამედ ინდივიდუალიზმისა და კრებითობის დაპირისპირებას ამძაფრებს. შედეგად, აშკარად იკითხება სამი შრე — გმირი, ბოროტება, დედა. ამათგან გმირი მასას წარმოადგენს, დედა ინდივიდუალური სახე-სიმბოლოა, ხოლო ბოროტება მრავალსახოვანი მოვლენა. ეს სამშრიანობა მუსკალურ პარტიტურაშიც გამოკვეთილია — გუნდები, სოლო ეპიზოდები, ზონგები...

ამდენად, ფილმის მუსიკალური დრამატურგიის გათ-



შიო აზრახამია

ვალისწინებით კეჭაყმაძის კინომუსიკაში შეიძლება გამოვკვეთოთ სამი სახის პრობლემა:

- კონკრეტულის განზოგადება;
- მუსიკის ხედვითობა და საკრალურობა;
- კომპოზიტორის შემოქმედების განუყოფლობა და მთლიანობა.

კეჭაყმაძის შემოქმედების განუყოფლობასა და მთლიანობას ზემოთ არა ერთი პასაჟი დაეთმო; კონკრეტულის განზოგადებას, როგორც იდეის მსაზღვრელ ფენომენს, ზემოხსენებული ფილმების ანალიზი ცხადყოფს. განსაკუთრებით კი „არსენას ლექსის“ მუსიკა. აქ პრობლემა დასმულია, როგორც კონკრეტული და ვითარდება, როგორც ზოგადი: საწყისი მოტივი დრამატურგიის შესაბამისად, რიტმულად, პოლიფონიურად, სახეობრივად, ეროვნული ტრადიციული მუსიკის თუ ევროპული ფაქტურული ტიპების მონაცვლეობით პერსონიფიცირებიდან განზოგადებული გმირის პორტრეტში გადადის. ამავე პრინციპით ვითარდება არსენას დედის

პორტრეტი, რომელიც ფინალში ეროვნული წარმოდგენით საკრალურდება, ხოლო განსხვავებულ მუსიკალურ თემათა ერთში ტრანსფორმაციით ხდება მრავალსახოვანი ბოროტების განზოგადება.

რაც შეეხება მუსიკის ხედვითობასა და საკრალურობას, აქ უსასრულო მასალას მთლიანად კეჭაყმაძის შემოქმედება იძლევა. საკრალურობის კუთხით თუ შევჩერდებით, კონკრეტულად „შუშანიკის წამების“ მაგალითზე აღვნიშნავთ, რომ სპექტაკლში საეკლესიო მუსიკა ქორალური წყობითა და ფაქტურით განზოგადდა და ქართული ქრისტიანობის სიმბოლოდ გაცხადდა მასში. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ პირველად სწორედ თეატრის მუსიკაში იქნა აჟღერებული კეჭაყმაძის სპირიტუალური განწყობის მქონე საეკლესიო მუსიკის ნიშნები. ეს გვაფიქრებინებს, რომ კომპოზიტორის საგალობლებით დაინტერესება, რომელთა შთამბეჭდავი ნიმუშები შემდგომში შექმნა, შესაძლოა, გარკვეულწილად ამ სპექტაკლმაც განაპირობა.

აღსანიშნავია, რომ კეჭაყმაძის შემოქმედებაში ორგანულად თანაარსებობს ორი განსხვავებული შინაარსობრივი შრე: ფსიქოლოგიური და ფილოსოფიური. თითოეულის განსახორციელებლად ავტორს გამომსახველობის ხერხების საკუთარი სპეციფიკური კომპლექსი გააჩნია. ორივე შემთხვევაში უმთავრესია სიტყვა, ხოლო მისი გადმოცემის, დამუშავების გზები — განსხვავებული: სიტყვა-აკორდზე, გამღერებული, განვრცობილი; და სიტყვა-დანაწევრებული, „დაჩეხილი“ და განმეორებადი მარცვლებით. კომპოზიტორი ამ შრეებს ისეთ შემთხვევებშიც კი აერთიანებს, როგორიცაა საგუნდო ციკლები, სადაც საქმე ფსიქოლოგიურ-ფილოსოფიურ დრამებთან გვაქვს, როგორც ეს „ფშაურ იდილიებშია“ განზოგადებული. სწორედ ასეთად გვესახება მისი კინო-სათეატრო მუსიკა, რომელიც არ განიხილება, როგორც ცალკე მოვლენა — იგი ერთიანი პროცესის შედეგია.

ამდენად, მის შემოქმედებაში ფილოსოფიურად განზოგადებულია რელიგიური საწყისი, ხოლო ფსიქოლოგიურად — ზოგადსაკაცობრიო, ადამიანი და მისი სულიერი სამყარო. ეს შრეები ორგანულადაა შერწყმული მის კინო-თეატრალურ მუსიკაშიც, რასაც, ბუნებრივია, თან ახლავს ხედვითობაც. „არსენას ლექსის“ მაგალითზე, ფილმის მოდერატორად სავსებით ლოგკურადაა წარმოდგენილი გუნდი, რომელიც ძველი ქართულ ტრადიციულ თეატრალურ პრინციპებს მუსიკალური ენითა და საშემსრულებლო სტილით ეყრდნობა. ქორალურობამ, რომელიც კეჭაყმაძის შემოქმედების ძირითადი თვისებაა, ქართულ კინოშიც აირეკლა განსხვავებული შრეების მრავალსაუკუნოვანი გამოცდილებით დაგროვილი თვისებები.

კეჭაყმაძისთვის ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარი იყო სატელევიზიო სპექტაკლი „მოძღვარი“. 1990 წელს გადაღებულ ამ სპექტაკლში კომპოზიტორმა გაითვალისწინა საკუთარი გამოცდილებები ფილმებიდან და სპექტაკლებიდან და ჟანრული მოღვაწეობის ერთგვარი შეჯამება მოგვცა: მისი სპექტაკლებისთვის დამახასიათებელი ქორალურ-ფილოსოფიური პარტიტურები და ფილმებისთვის დამახასაითებელი სიტყვის განვითარებაზე აგებული ფსიქოლოგიური მუსიკა ორგანულად თავსდება „მოძღვარში“. სატელევიზიო სპექტაკლის a cappella საგუნდო პარტიტურები ამ საწყისების ორიგინალურ სიმბიოზს წარმოადგენს (სახელმწიფო კაპელის ჩანაწერი. დირიჟორი გივი მუნჯიშვილი).

კეჭაყმაძის მუსიკის ზოგადი ანალიზი ცხადყოფს, რომ ის, რაც კომპოზიტორის აკადემიურ მუსიკას გამოარჩევს და კინოხელოვნებასთან აახლოებს, ხედვითობა და თეატრალური გამომსახველობაა. შემოქმედების დასაწყისშივე შექმნილი საგუნდო ციკლები ნამდვილ თეატრალურ სცენებსა თუ კინოკადრებს წარმოადგენენ. ერთი მხრივ აღვნიშნავდი მის „თბილისურ პარაფრაზებს“, რომელიც თითქოს კინოკადრებად აკინძული სურათების სახით გვიხატავს თბილისს — დროდადრო მუსიკაში „ვხედავთ“ ძველი თბილისის ბოჰემას; მეორე მხრივ კი „ფშაურ იდილიები“ — ანა კალანდაძის ლექსებზე, რომელიც თეატრალურობით, მზა სპექტაკლის სახით წარმოგვიდგენს ფშაური ყოფის სურათებსა თუ

ფშავის პეიზაჟს, ნისლებში გახვეულ თუ მზით გაბრწყინებულ ხევებს. „ფშაურ იდილიებში“ საერთო ჟღერადობა, სონორულ-ტემბრული ეფექტები, სიტყვების დანაწევრება, მარცვლების ინტენსიური გამეორებები მთის პეიზაჟთან, ჭიუხებთან და კლდეებთან ასოცირდება. ეს ყოველივე ფერადი პანორამის ასოციაციას ხმოვანების კოლორისტულობით იწვევს.

მსგავსი ხედვით-ასოციაციურია „ძელი თბილისის პარაფრაზები“, რომელიც საერთო ბგერწერითა და ტემბრული ეფექტებით ძველი თბილისის პანორამას ქმნის. აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს კეჭაყმაძის საგუნდო ხელწერის ოსტატობა და ქალაქური ფოლკლორისადმი სრულიად ახლი, ორიგინალური მიდგომა. კერძოდ, ქალაქური ერთხმიანი, შეიძლება ითქვას მარტივი ფაქტურიდან მან მასშტაბური, მრავალხმიანი ფრესკული თვისების მატარებელი ფერწერული პანოები შექმნა.

ამდენად, იოსებ კეჭაყმაძის მუსიკის აკუსტიკურ-ხედვითი ასოციაციები შეუძლებელს ხდის მის შემოქმედებაში მკვეთრი ზღვარის გავლებას აკადემიურსა და კინო-სათეატრო მუსიკას შორის. თუ კინოსა და თეატრის მუსიკაში მაყურებელი ფერადოვანი სონორული ჰარმონიის, დრამატურგიული განზოგადებისა და კონცეპტუალური მიდგომის თანაზიარი ხდება, აკადემიურ მუსიკაში ფილმისათვის დამახასიათებელი ვიზუალურ-ასოციაციური ხედვითობის საზურველში ექცევა. რთულია იმის თქმაც, კეჭაყმაძის შემოქმედების ამ მახასიათებებლზე კინოს დრამატურგიამ, ან თეატრის ჩაკეტილმა სივრცემ და სემანტიკამ იქონია გავლენა, თუ იქ გაჟღერებული სონორულ-სივრცული მუსიკა მისი აკადემიური მუსიკის უჩვეული სონორულ-აკუსტიკურმა მიგნებებმა განაპირობეს. სავარაუდოდ, წამყვანი მაინც ის უსაზღვრო მუსიკალური სტიქია იყო, რომელიც მისი შინაგანი სულიერი სამყაროს იმპულსებით საზრდოობდა და მუსიკალური ინტელექტით მძლავრდებოდა. კინო-სათეატრო მუსიკა შედარებით გვიან შემოიჭრა (და არცთუ აქტიურად) მის შემოქმედებაში, როდესაც უკვე გამოკვეთილი იყო მისი კომპოზიციების ძიებათა ძირითადი საყრდენები — ბგერა, როგორც შინაგანი უსასრულო შესაძლებლობის მქონე დამოუკიდებელი ობიექტი და თანაბგერები, როგორც ამ შესაძლებლობათა გამოვლების კომპლექსური საშუალება, რამაც ერთობლიობაში წარმოქმნა ის სივრცულ-ხედვითი ჰარმონიული მოდელები, კეჭაყმაძის შემოქმედების უნიკალობა რომ განსაზღვრეს. კინო-სათეატრო მუსიკა კი შემდგომი ექსპერიმენტების საშუალებად იქცა.



შიო აზრახამია

თუმცა, კინოსთან ურთიერთობამ ერთგვარად მაინც მოახდინა გავლენა კომპოზიტორს მონტაჟური ლოგიკის დახვეწის თვალსაზრისით, ხოლო თეატრმა გაამძაფრა სახეორივი გარდასახვის უნარი. მაგალითისთვის, „თბილისურ პარაფრაზებში“ ერთი ფრაზის განვრცობა და მოულოდნელი შეკვეცა სწორედ კინომონტაჟის ლოგიკას ექვემდებარება. „ფშაურ იდილიებში“ კი კომპოზიტორის ამოსავალი თეატრალიზებაა, სადაც „მთავარი პერსონაჟი“ სიტყვაა, რომელიც პირდაპირი მნიშვნელობით დიდ და მრავალსახოვან როლს განასახიერებს იოსებ კეჭაყმაძის ჯერ კიდევ შეუსწავლელ შემოქმედებაში.

*ვაჟა აზარაშვილის (1936-2024) შემოქმედებას ქართველი ხალხის უდიდესი დაფასება და სიყვარული ხვდა წილად. მრავალი გამორჩეული რომანსის, კამერულ-ინსტრუმენტული და სიმფონიური ნაწარმოების ავტორმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვა, მისმა ინსტრუმენტულმა კონცერტებმა და არაერთმა კამერულმა ქმნილებამ ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა მსოფლიოს გამოჩენილ მუსიკოსთა რეპერტუარში, ხოლო განსაკუთრებული ემოციითა და სითბოთი გამსჭვალული სიმღერები ქართული საესტრადო ჟანრის მარგალიტებად იქცა.*

*ძნელია ვაჟა აზარაშვილზე წარსულ დროში საუბარი. შეიძლება ითქვას, რომ მისი წასვლით გარკვეულ წილად დასრულდა ქართული მუსიკალური ხელოვნების ისტორიის მნიშვნელოვანი ეტაპი, რომელმაც, ათეული წლების მანძილზე იმ თაობის გამოჩენილ ქართველ კომპოზიტორთა მოღვაწეობის შედეგად, განსაკუთრებული, წარუშლელი და ბრწყინვალე კვალი დატოვა.*

*ვაჟა აზარაშვილმა მდიდარი და მრავალფეროვანი შემოქმედებითი მემკვიდრეობა, სათუთი მოგონებები და განუზომელი სევდა დაგვიტოვა.*

*საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე,*
*პროფესორი გიორგი შავერზაშვილი*

# ეტიუდი ვაჟა აზარაშვილზე

ლალი კაკულია

დიდ ქართველ კომპოზიტორს ვაჟა აზარაშვილს 2024 წლის ზაფხულში 90 წელი უნდა შესრულებოდა. ამ თარიღის აღნიშვნას კომპოზიტორი ვერ მოესწრო, თებერვლის დასაწყისში გარდაიცვალა. ჩემი ესსე თავისებური „ლამენტოა“, ვაჟა აზარაშვილისადმი მიძღვნილი.

ვაჟა აზარაშვილის მრავალრიცხოვან და ჟანრობრივად მრავალფეროვან ნაწარმოებთა ნუსხაში, მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ თხზულებები, რომელთა შინაარსიც პირობითად შეიძლება გამოვხატოთ სიტყვით „ხსოვნა“. ხშირად ეს სათაურებშიც აისახება ხოლმე: „მოგონება“, „ნოსტალგია“, „განშორება“, „მიძღვნა“, ან უბრალოდ „ელეგია“, „ნოქტიურნი“ და სხვა. ეს სავსებით კანონზომიერია, რადგანაც კომპოზიტორი „გულის მუსიკას“ წერს, „სიყვარულის მუსიკას“ იმ ადამიანებზე, რომელთა ხსოვნასაც მისი გული სათუთად ინახავს.

მათ რიცხვში მრავალი მხატვრული ღირსებით აღბეჭდილი ქმნილებაა, მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას ბოლო წლებში შექმნილი მსხვილი სონა-

ტური ციკლები იქცევენ, რომელთაგანაც გამოვყოფდი სონატას სოლო ჩელოსათვის (2005 წ.) და კვინტეტს ფორტეპიანოს, ორი ვიოლინოს, ალტისა და ჩელოსათვის (2007 წ.).

ეს თხზულებები საინტერესო ძიებებით გამოირჩევიან და კომპოზიტორის შემოქმედების ახალ ფურცელს შლიან.

აქ არ შემიძლია გვერდი ავუარო და რამდენიმე სიტყვით არ შევეხო სონატას სოლო ჩელოსათვის, რადგანაც მისი პირველი შესრულებიდან მიღებული შთაბეჭდილება დღემდე არ გამნელებია, არადა ეს ცხრამეტი წლის წინ იყო, 2005 წ. 22 ნოემბერს, კომპოზიტორთა კავშირის სარკეებიან დარბაზში გამართულ აზარაშვილის საავტორო კონცერტზე. ნაწარმოები ჩვეული ოსტატობით და მხურვალე ემოციურობით შეასრულა თამარ გაბარაშვილმა.

სონატა კომპოზიტორის სიყრმის მეგობრის, შესანიშნავი ვიოლონჩელისტის ელდარ ისკაძის გარდაცვალების გამო დაიწერა და მის ხსოვნას მიეძღვნა. სწორედ ეს ხელოვანი გახლდათ ვაჟა აზარაშვილის კონცერტის ჩელოსა და სიმებიანი ორკესტრისათვის (1969 წ.) პირველი შემსრულებელი, რომელმაც დამსახურებული გამარჯვება მოუტანა ავტორს. მისივე შესრულებით აჟღერდა კომპოზიტორის სონატა №2 ჩელოსა და ფორტეპიანოსათვის (1976 წ.). ეს სონატაც კომპოზიტორმა ელდარ ისაკაძეს უძღვნა.

სოლო სონატის ჟანრს ჩელოსათვის ქართულ მუსიკაში პირველად სულხან ცინცაძემ მიმართა (1976 წ.). ეს იყო ნეოკლასიცისტური ტენდენციების გამოვლინების საწყისი ეტაპი ქართულ მუსიკაში. ბაროკოს ეპოქის ამ ჟანრული მოდელით დაინტერესების ტრადიციას აგრძელებს ვაჟა აზარაშვილი, რომელიც ქმნის ჯერ სონატას სოლო ვიოლინოსათვის (1995 წ.), ხოლო ათი წლის შემდეგ სონატას ჩელოსათვის. ინსტრუ-მენტის არჩევანი ამ შემთხვევაში განაპირობა არა აბსტრაქტულმა მუსიკალურმა იდეამ, ძველი ჟანრის აღორძინებისაკენ მიმართულმა ექსპერიმენტის უბრალო წყურვილმა, არამედ მიძღვნის ადრესატმა – ელდარ ისაკაძის ფიგურამ, რომლის მგზნებარე ნატურას კარგად ესადაგებოდა „საკუთარი“ ინსტრუმენტის – ჩელოს „ადამიანური“ ტემბრი.

თხზულებაში გადმოცემულმა აფორიაქებულმა განცდებმა კომპოზიტორს უბიძგეს იმ რეალისტური რეჩიტატიულ-დეკლამაციური მანერის გამოყენებისაკენ, რომელიც მე-17 საუკუნის კომპოზიტორის კლაუ-



დიო მონტევერდის ოპერებში მკვიდრდება და სტილე ცონციტატო-ს სახელითაა ცნობილი. ვაჟა აზარაშვილი ამ „შფოთვარე“ სტილს მოქნილად იყენებს ინსტრუმენტულ მუსიკაში და მას ქართული მეტყველებისათვის დამახასიათებელი ექსპრესიით მსჭვალავს.

ძველ მუსიკასთან კავშირი სხვა მხრივაც ვლინდება ნაწარმოებში, რაც კვლავ მუსიკალური კონცეფციით არის განპირობებული. კერძოდ, ჩანაფიქრიდან გამომდინარე, ავტორმა თამამად მიმართა მუსიკალური ხერხების იმ სისტემას, რომელიც რიტორიკის ხელოვნებიდან მოდის და შესაბამისად, უკავშირდება მოძღვრებას აფექტებზე. მართლაც, ნაწარმოები სავსეა ორატორული პათოსით, მუსიკა ხშირად იძენს ვერბა-



მარცხნიდან: თამარ გაბარაშვილი, ვაჟა აზარაშვილი, ნანა დიმიტრიადი

ლურ სიცხადეს, რაც შეესაბამება თხზულების მგზნებარე შინაარსსა და ავტორის გადმოცემის ექსპრესიულ სტილს.

ნაწარმოები ტრგიკული განცდითაა აღსავსე, რაც ხაზგასმულია ნელი ტემპების უპირატესობით, მათი განთავსებით პირველი ნაწილის შესავალში, კულ-




მარცხნიდან: □იორგი ხაინდრავა, თამარ (თათა) ლიჩელი, პაატა ჭანტურიშვილი, ვაჟა აზარაშვილი, გია ჯაფარიძე, გიორგი ჯორჯაძე

მინაციაში (III ნაწილი) და ფინალის ეპილოგში. სარაბანდებიდან მომდინარე პათეტიკა, ლამენტაციები, ოხვრა-შეძახილები, წყვეტილი ფრაზები დაძაბული პაუზებით, გულის ძგერის ამსახველი პიციკატოები აღრმავებენ ამ ტრაგიზმს.

ნაწარმოების ცენტრშია პიროვნება – ელდარ ისაკაძის მჩქეფარე ნატურა, დაუცხრომელი ტემპერამენტი, ცხოვრების დაუოკებელი ჟინი, შინაგანი ექსპრესია. მუსიკის უწყვეტ ერთიან დინებაში (ოთხივე ნაწილი სრულდება ატტაცცა), რომელიც ემოციურ მდგომარეობათა სწრაფ ცვლაზეა აგებული, იკვეთება ისაკაძე-ადამიანისა და არტისტის სკულპტურულად გამოკვეთილი ფიგურა. ეს „რომანტიკოსი“ ხელოვანის თავისებური მუსიკალური პორტრეტია, შესრულებული მძაფრი ხელწერითა და დიდი გულისტკივილით. ამ მუსიკალურ პორტრეტს უცნაურად ეხლართება ხოლმე ავტორისეული განცდები – მოკლე ოხვრები, გამოუვალობის გრძნობით აღსავსე „უიმედო გლისანდოები“. მეტყველება იძენს სიტყვიერ სიცხადეს და ფილოსოფიურ განზოგადოებას აღწევს დრამატიზმით აღსავსე მესამე ნაწილში. ავტორის „ხმასა“ და მუსიკოსის პორტრეტს შორის პერიოდულად ისეთი წონასწორობა მყარდება, რომ მათი გამიჯვნა შეუძლებელი ხდება, რაც მეგობრების სულიერ სიახლოვეზე მეტყველებს.

ფინალის მუსიკა – აღმავალი სეკვენციები, ტოკატური მოძრაობები, უწყვეტი ოსტინატო, კვლავ ელდარ ისაკაძის ბობოქარ ვნებებს წარმოგვიდგენს, რომლის „გულისცემაც“ თანდათან სუსტდება, ისადგურებს გარდაუვალობის განცდა, სივრცეში განეფინება ეული ხმა – დამტირებლის რეჩიტატივი, რომელიც იმ სულიერ სიცარიელეს ასახავს ელდარ ისაკაძემ თავისი გარდაცვალებით რომ დაგვიტოვა.

ტრაგიკული პათოსი, რომლითაც გამსჭვალულია ნაწარმოები, მუსიკას კეთილშობი-ლებას ანიჭებს და მსმენელებს ავტორის განცდების ჭეშმარიტ თანამოაზრედ ხდის.

# ცაბაძეების საიუბილეო წელი

## გოგი ცაბაძე — 100

წელს, 24 აგვისტოს, დიდ ქართველ კომპოზიტორ გოგი ცაბაძეს 100 წელი შეუსრულდა. კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, საიუბილეო ფესტივალი გაიმართა 24 აგვისტოდან 6 ოქტომბრის ჩათვლით — თბილისი, ბათუმი, ქუთაისი. კონცერტები ერთმანეთისგან სრულიად განსხვავდებოდა. როგორც რეპერტუარით, ასევე მონაწილეებით,. საღამოები დატვირთული იყო ახლებური ვერსიების პრემიერებითა და თეატრალური დადგმებით. სამხატვრო ხელმძღვანელი იყო დავით მაზანაშვილი, რომლის ბენდი აკომპანემენტს უწევდა გამომსვლელებს, სცენარის ავტორი და საღამოს წამყვანი ნიკოლოზ წულუკიძე, რეჟისორი თინათინ კორძაძე, მხატვარი —სოფო ბასიშვილი

პროექტის მხარდამჭერები იყვნენ საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო, თბილისის მერია.

თბილისში გალა კონცერტის თემა იყო „გიორგი ცაბაძე თეატრსა და კინოში" და მასში მონაწილეობდა თეატრისა და კინოს ყველასათვის საყვარელი არაერთი წარმომადგენელი. დავით მაზანაშვილისა და მისი ბენდის თანხლებით საკონცერტო დარბაზის სცენაზე გაჟღერდა კომპოზიციები და გაცოცხლდა სცენები ცნობილი გოგი ცაბაძის მიუზიკლებიდან, კინოსა თუ სპექტაკლებიდან. სტუმრებმა ასევე მოისმინეს უცნობი ამბები კომპოზიტორის ცხოვრებიდან.

კონცერტებში მონაწილეობდნენ კახა ცაბაძე, მურმან ჯინორია, რეზო ჩხიკვიშვილი, ნანული სარაჯიშვილი, ალექსანდრე ბეგალიშვილი, ეკა მამალაძე, მაია ჯაბუა, თამარ გვერდწითელი, ნეკა სებისკვერაძე, აჩიკო სოლოღაშვილი, აჩიკო გოგიტიძე, ოთარ ჯორჯიკია, მარიკო ებრალიძე, ნუცა ბუზალაძე, სოფო ხალვაში, „დუეტი ჯორჯია", „ალილო", „თეატრალური კვარტეტი", „ფორტე", „გორის ქალთა გუნდი", „მურო გავაშიძის ცეკვის ლაბორატორია", თემურ თათარაშვილი, დათუნა სირბილაძე, აჩიკო ნიჟარაძე, ნეკა სებისკვერაძე, ელეონორა გოგოლაშვილი, გოგიტა გეგელაშვილი, კახა იშხნელი, რუსა თავართქილაძე, სანდრო კურცხალიძე და სხვ. ღონისძიებების სამხატვრო ხელმძღვანელი იყო ცნობილი მუსიკოსი დავით მაზანაშვილი, რომელიც თავისი ბენდით თანხლებას უწევდა გამომს-



გოგი და კახა ცაბაძეები. ფოტო fortuna.ge

ვლელებს. სცენარის ავტორი და წამყვანი — ნიკოლოზ წულუკიძე. აჟღერდა ყველასათვის ნაცნობი და საყვარელი სიმღერების ახლებური ვერსიები, მსმენელმა მოისმინა აქამდე უცნობი ისტორიები კომპოზიტორის ცხოვრებიდან. კონცერტებმა ანშლაგით ჩაიარ. გოგი ცაბაძის სიყვარული პოპულარობა უდიდესია ხალხში, როგორც ძველგაზრდა, ისე ახალგაზრდა თაობაში, რაც ამ კონერტებმა დაადასტურა. 1-2 დღეში ბილეთები უკვე აღარ იყო. ყველას ენადა საყვარელი კომპოზიტორის მელოდიების კვლავ მოსმენა. საქართველოს მასშტაბით გამართულმა კონცერტებმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ გოგი ცაბაძე ჭეშმარიტად სახალხო კომპოზიტორია.

# კახა ცაბაძე – 65

ზურაბ ოიკაშვილი

მუსიკა ყველგან, კახა ჩვენთან...

2024 წელი ქართული მუსიკისთვის გამორჩეულია გამოჩენილ ქართველ მუსიკოსთა საიუბილეო თარიღების სიუხვით, რასაც ჟურნალ „მუსიკის" წინამდებარე ნომრის შინაარსიც ცხადყოფს.

2024 წლის ერთ-ერთი იუბილარი ჩემი საამაყო მეგობარი — კახა ცაბაძეა, უკვე 65 წლის კახა — დაღვინებული კაცი, მრავალგზის ნაცადი ხელოვანი, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და პოპულარული კომპოზიტორი, მეგობრების მიმართ განსაკუთრებული სათუთი დამოკიდებულებით, ერთგულებით გამორჩეული ადამიანი, პიროვნება, რომელიც უშურველად გასცემს სიხარულსა და სიკეთეს, რითაც გარემომცველ საზოგადოებაში დიდ სიყვარულსა და პატივისცემას იწვევს. თუმცა, ასეთი განწყობის საფუძველს მხოლოდ აღნიშნული თვისებები როდი ქმნის, — აქ უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სხვა ქვაკუთხედიც, შემდგარი მაღალი პროფესიონალიზმისგან, განსწავლულობისგან, ოსტატობისგან, დიდი შრომისმოყვარეობისგან, დახვეწილი ინტელექტისა და რაფინირებული გემოვნებისგან, და რაც უმთავრესია — დიდი ნიჭიერებისგან. ნიჭიერება კი ცაბაძეების ხვედრია, რომელიც კახას დიდი გიორგი ცაბაძისგან (რომლის 100 წლისთავიც იზეიმა წლეულს საქართველომ) ერგო მემკვიდრეობით. ამ მემკვიდრეობამ — გიორგი ცაბაძის შვილობამ განაპირობა ძალიან რთული და ძალზე საპასუხისმგებლო მისია, რომელიც ხვდა წილად კახას, როგორც კომპოზიტორს. და რაოდენ სასიამოვნო და შთამბეჭდავია, რომ იგი მშვენივრად ახერხებს მუსიკალურ ასპარეზზე საკუთარი შემოქმედებითი მიღწევებით ღირსეული სიტყვის თქმას და აგერ უკვე თითქმის ხუთი ათეული წელიწადია ხალხის გულწრფელი სიყვარულით მოემართება მუსიკალური ხელოვნების რთულ გზაზე.

ადრე ვწერდი, და ახლაც გავიმეორებ: „კახა ცაბაძე გამუდმებით მაძიებელი ხელოვანია, ამიტომ მის შემოქმედებით პროცესს ინტენსიურობა, ხოლო საკომპოზიტორო მემკვიდრეობას მუდმივი ზრდა და გაფართოება გამოარჩევს. კახას თხზულებები ნათლად მეტყველებენ ავტორის ნიჭიერებაზე, ღრმა ოსტატობაზე, შრომისმოყვარეობაზე. საგულისხმოა ისიც, რომ კომპოზიტორის ხელწერა პერმანენტულად განახლებადია, თუმცა, ეს პროცესი კახას შემთხვევაში კომპოზიტორის ორიგინალურობას, თვითმყოფობას არასოდეს უქმნის საფრთხეს. პირიქით, მის მუსიკას ყოველთვის ნათლად ემჩნევა საავტორო ხედვის ინდივიდუალურობა, სისადავე, თანადროულობა, ნატიფი გემოვნება. კახა ცაბაძის მუსიკაში მკაფიოდ შეიგრძნობა ეროვნული ფესვები, მუსიკა ბუნებრივია, ინტონაციები იმპულსური და იმავდროულად, — მეტად ხალასი, მისი მუსიკა გამორჩეულია მდიდარი მელოდიურობით. კახას მუსიკის მელოდიკა სწორედ იმგვარია, მსმენელთა ემოციურ სიმებს რომ მუხტავს და დიდი ხნით აღიბეჭდება აზრსა და გრძნობაში. კახა ცაბაძის თითქმის ყველა ნაწარმოების მოსმენისას გიჩნდება მისი ხელახლა მოსმენის სურვილი. ეს კი რჩეულთა ხვედრი და მაღალი საკომპოზიტორო კლასის ერთ-ერთი მანიშნებელია..."

ვინც თვალს ადევნებს სოციალურ ქსელში (Facebook) კახა ცაბაძის აქტიურობას, აუცილებლად ემახსოვრება ბოლო წლებში თითქმის რუბრიკად ქცეული — „მუსიკა ამერიკაში, მე წეროვანში", „მუსიკა ინგლისში, მე წეროვანში", „მუსიკა იაპონიაში, მე წეროვანში", „მუსიკა გერმანიაში, მე წეროვანში", „მუსიკა იტალიაში, მე წეროვანში", მუსიკა ესტონეთში, თურქეთში, კვიპროსში, აზერბაიჯანში და ვფიქრობ, ეს გეოგრაფიული არეალი კიდევ უფრო მეტად გაიზრდება (და მომავალში კომპოზიტორიც შეძლებს თავისი „ცოცხლად შესრულებული" მუსიკის ადგილზე მოსმენას და

დამსახურებული აპლოდიმენტების მიღებას).

ბუნებრივია, კახა ცაბაძის მუსიკა ხშირად ჟღერს საქართველოში. მისი არაერთი ნაწარმოები სარეპერტუაროა ცნობილი მუსიკოსებისთვის. კახას შემოქმედება მრავალფეროვანია ჟანრულად და სტილისტურად — ინსტრუმენტული კონცერტები, საგუნდო, კამერულ-ინსტრუმენტული და კამერულ-ვოკალური ნაწარმოებები, მიუზიკლები, მუსიკა კინოფილმებისა და დრამატული სპექტაკლებისთვის, პოპულარული საესტრადო სიმღერები.

პროფესიონალებზე გათვლილი ნაწარმოებების პარალელურად, ბოლო წლებში კახა ცაბაძე აქტიურად მუშაობს საბავშვო აკადემიურ მუსიკაზე და არაერთ ძვირფას საჩუქარს უკეთებს ნორჩ მუსიკოსებს. კერძო საუბრებში არაერთხელ უთქვამს კახას: „ვწუხვარ, რომ მომავალ თაობას სხვას ვერაფერს ვუკეთებ, არადა როგორ მინდა უკეთესი საქართველო დავუტოვოთო“. ქვეყნის უკეთესი მომავალი სწორედ ასე აგურ-აგურ შენდება, როდესაც ყველა ზრუნავს მასზე, ყველა თავის საქმესა და საკეთებელს აკეთებს პროფესიონალურად, ღირსებითა და რუდუნებით. სწორედ ასე უდგება კახა საბავშვო მუსიკას, რაც დამეთანხმებით, იოლი ნამდვილად არ არის.

მქონდა ბედნიერება დავსწრებოდი კახას 50 წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო კონცერტს თბილისის ოპერის თეატრში. ასევე ვესწრებოდი 60 წლის საიუბილეო ღონისძიებებსაც, მათ შორის, ორ (ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ) ძირითად საღამოს, რომელთაც უმასპინძლა ქუთაისის ოპერის თეატრმა და თბილისის კონსერვატორიის მცირე საკონცერტო დარბაზმა. და აი, 65 წელიც შეუსრულდა კახას, რაც ღირსეულად აღინიშნა მთავარი კონცერტით კონსერვატორიის დიდ დარბაზში, ამჯერად მეცხრამეტე საერთაშორისო სააღდგომო ფესტივალის ეგიდით.

ფართომასშტაბიანი, მრავალფეროვანი და დრამატურგიულად კარგად გათვლილი პროგრამა წარედგინა ფართო აუდიტორიას, საიუბილეო საღამოებისთვის



კახა ცაბაძე საიუბილეო კონცერტზე

ტრადიციულად, შედგა რამდენიმე ნაწარმოების პრემიერაც. ზემოთ საბავშვო მუსიკა ვახსენე და კონცერტის დასაწყისი სწორედ მას დაეთმო — პირველი და მეორე მინი-კონცერტები, კონცერტინო №2 („ნიჭიერთა ათწლედის“ მოსწავლეების ემილია რაგიმოვას, ირაკლი დონაძის, სესილი მესხის შესრულებით); აჟღერდა ვოკალური ქმნილებები „გაზაფხულის საღამო“ (მარიამ როინიშვილი და ვიქტორია ჩაპლინსკაია), „ისე მდუმარეა ახლა შემოდგომა“ (ნათია სტეფანიშვილი და მაია ჯინჭველაშვილი), „უსასრულო მოლოდინი“ (პრემიერა, ოთარ ჯორჯიკია და ელენე გოგოლიძე), „როგორც მიყვარდი“ (თეიმურაზ გუგუშვილი და ლელა უსეინაშვილი), „დღესაც არ ვიცი“ (ლევან ტაბატაძე და ორკესტრი), შესრულდა კამერულ-ინსტრუმენტული მუსიკაც — 3 პიესა ვიოლინოსა და ფორტეპიანოსთვის (პრემიერა, გიორგი ხაინდრავა და




მამუკა სიხარულიძე), „ექსპრომტი" კლარნეტისა და ფორტეპიანოსთვის (პრემიერა, დიმიტრი ბოქოლიშვილი და ნათია ბერაია), „ელეგია" ფლეიტის, ვიოლინოსა და ფორტეპიანოსთვის (საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის ტრიო — ია ბახტაძე, ქეთევან თავშავაძე, მაია ჯინჭველაშვილი), „ცეკვა სიზმარში" ჩელოსა და ფორტეპიანოსთვის (პრემიერა, ლიზი რამიშვილი და ნათია ბერაია); როგორც ყოველთვის, ამჯერადაც შეუდარებელი იყო გიორგი შავერზაშვილის იმპროვიზაცია — ფანტაზია კახა ცაბაძის მელოდიებზე; და პროგრამის კიდევ ერთი დიდი და შთამბეჭდავი ბლოკი — ინსტრუმენტული კონცერტები — სავიოლინო კონცერტინო (პრემიერა, მარიამ ობოლაშვილი), ფლეიტის კონცერტი (ირაკლი ევსტაფიშვილი), საფორტეპიანო კონცერტი (თამარ ლიჩელი). საიუბილეო კონცერტში მონაწილეობდა კამერული ორკესტრი რევაზ ჯავახიშვილის დირიჟორობით.

საგულისხმოა, რომ ბოლო ათი წელიწადია აქტიურად და ნაყოფიერად ვითარდება კახა ცაბაძისა და დირიჟორ რევაზ ჯავახიშვილის შემოქმედებითი ტანდემი. საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში გამართულ სიმფონიურ კონცერტებზე, რომელთა პროგრამაში ძალიან ხშირად არის შეტანილი კახას ნაწარმოებები, სადირიჟორო პულტთან უმთავრესად სწორედ რევაზ ჯავახიშვილი არის ხოლმე. ამას გარდა, კახა ცაბაძემ 60 და 65 წლის საიუბილეო საღამოების გაძღოლაც სწორედ რევაზ ჯავახიშვილს მიანდო. ამიტომაც დავინტერესდი რეზოს აზრითა და დამოკიდებულებით კახას შემოქმედებისადმი. აი, რას ამბობს რევაზ ჯავახიშვილი: „ბოლო წლებში კახა ცაბაძესთან ჩამომიყალიბდა ძალიან მეგობრული და ადამიანური ურთიერთობა, რაც განაპირობა ქუთაისის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად რეგიონებში გამართულმა კონცერტებმა, სადაც უხვად სრულდება ბატონი კახას მუსიკა. ჩემთვის დიდი პატივი იყო გამემართა მისი საიუბილეო საღამოები თბილისსა და ქუთაისში. მოგეხსენებათ, საბავშვო რეპერტუარში, ორკესტრის თანხლებით გვქონდა საკმაოდ დიდი პრობლემა — თითქმის არ არსებობდა ეროვნული მუსიკა, რომელიც აღზრდიდა ახალ თაობას. მან შეძლო გაემდიდრებინა სამოსწავლო რეპერტუარი და მომავალ თაობას ორკესტრთან ერთად მუსიცირების ძალიან დიდი შესაძლებლობა მისცა. მისი მუსიკა გამსჭვალულია ქართული ინტონაციით და სასიამოვნო მელოდიურობით. დღეგრძელობას და დიდ შემოქმედებით წარმატებას ვუსურვებ ბატონ კახას!"

„კახა ცაბაძე იმ გამორჩეულ კომპოზიტორთა რიცხვს მიეკუთვნება, ვინც საერთო სიყვარულით სარ-

გებლობს. მის ნაწარმოებებს ნებისმიერი ასაკის მუსიკოსები ასრულებენ. პირადად მე, არასდროს დამავიწყდება მისი საფორტეპიანო კონცერტი, რომელიც პირველად ქუთაისში დავუკარი ჩემს მეგობართან, არაჩვეულებრივ დირიჟორთან — რევაზ ჯავახიშვილთან ერთად. ეს კონცერტი გამოირჩევა კონტრასტული ხასიათით, ქართული ტემპერამენტით, საინტერესო ჰარმონიითა და ემოციური აღმაფრენით.

დაუვიწყარი იყო ჩემთვის, ასევე, კახა ცაბაძის 5 პიესა ოთხი ხელისთვის, რომელიც დათუნა ალადაშვილთან ერთად ავაჟღერე ქუთაისსა და თბილისში.

საოცარი მელოდიურობა, სითბო, ემოციური მუხტი არის ის, რაც მის ნაწარმოებებს ჩემთვის ძვირფასს და საყვარელს ხდის" — ამბობს კახა ცაბაძის საფორტეპიანო ქმნილებების ერთ-ერთი საუკეთესო ინტერპრეტატორი, ქართული მუსიკის დაუღალავი პროპაგანდისტი და პოპულარიზატორი თამარ ლიჩელი.

კახას ერთი მონათხრობი მახსენდება ხოლმე ხშირად: „ერთხელ

ჟურნალისტმა მკითხა, რომელ თვისებას დათმობდით სიხარულითო. მაშინ რა ვუპასუხე აღარც კი მახსოვს, მაგრამ ახლა დანამდვილებით ვიცი — პ ა ს უ ხ ი ს მ გ ე ბ ლ ო ბ ა ს — გრძნობას, რომელიც მთელი ცხოვრება ვალში გამყოფებს შენი ქვეყნის, წინაპრების, მომავალი თაობის, ოჯახისა და ახლობლების წინაშე. გრძნობას, რომელსაც შესაძლოა სიხარული და სიკეთე მოჰქონდეს გვერდში მყოფთათვის, მაგრამ შენთვის ტანჯვისა და დარდის მეტი არაფერია. ალბათ, რა თავისუფლად და ბედნიერად ცხოვრობს ის ადამიანი, რომელსაც პასუხისმგებლობის ერთი წვეთიც კი არ გააჩნია". მეც ასევე დანამდვილებით ვიცი რომ კახა ვერასოდეს დათმობს ამ გრძნობას, ისევე როგორც სხვა თვისებებს, რომელთა გარეშე წარმოუდგენელია მისი პიროვნული პორტრეტი — გულწრფელობა, სიყვარული, ერთგულება, პატიოსნება, ღირსება, სიკეთის კეთებისა და სიხარულის მინიჭების სურვილი. ყოველთვის ხაზგასმით აღვნიშნავ ხოლმე კახას ერთ საგულისხმო თავისებურებას — მას სხვისი (მათ შორის თავისი კოლეგების!) წარმატება ჭეშმარიტად დიდ სიხარულს ანიჭებს, რაც სამწუხაროდ, იშვიათობად არის ქცეული. ეს საოცნებო თვისება კი, ვფიქრობ, ნიჭიერი და დიდბუნებოვანი ადამიანების ხვედრია.

არაერთი შემოქმედებითი ჯილდოსა თუ პრემიის ლაურეატია მაესტრო კახა ცაბაძე, კომპოზიტორი რომელიც იმ ბედნიერ ხელოვანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც უყვარს ხალხს, ეს სიყვარული კი ყველაზე დიდი ჯილდოა შემოქმედისთვის.

ამიტომაც არის მდიდარი კაცი, სულიერად მდიდარი კაცი კახა ცაბაძე — ლამაზი წარსულითა და ღირსეული აწმყოთი დამშვენებული, ანუ იმ მყარ საფუძველზე მდგარი კაცი, რომელზეც კიდევ მრავალი წელი უნდა იაროს ლამაზად, მოხდენილად, ამაყად, მტკიცედ, საიმედოდ და რაც უმთავრესია, მრავალი შემოქმედებითი წარმატება უნდა იზეიმოს, რისი სურვილიცა და იმედიც ნამდვილად გვაქვს.

მრავალჟამიერ ჩემო კახა!!!



# ვლადიმერ გრიგოლაშვილი – 70

მანანა კორძაია

გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს, როდესაც უკვე სულს ღაფავდა სსრკ, ინერციით მაინც გარკვეული პროცესები მიმდინარეობდა შემოქმედებით კავშირებში, მათ შორის საქართველოს კომპოზიტორთა კავშირში.

სწორედ ამ დროს კომპოზიტორთა კავშირის ხელმძღვანელებად პროგრესიულად მოაზროვნე თაობა გამოჩნდა. მათ შორის იყო ენერგიული, პროფესიულად ღრმად განსწავლული და სიახლეთა მაძიებელი ახალგაზრდა მუსიკისმცოდნე ვლადიმერ გრიგოლაშვილი. მან თავისი მოღვაწეობის ძირითად მიზნად ურთულესი ამოცანა დაისახა — მიძინებული ქართული მუსიკის საშემსრულებლო ასპარეზის გამოფხიზლება და მისი პროპაგანდის არეალის განვრცობა უკვე ევროპულ და მსოფლიო მასშტაბით საერთაშორისო ფორუმებზე, თუ ინდივიდუალურ საავტორო კონცერტების სახით. იგი კარგად უწყოდა, რომ ამ პრობლემის დასაძლევად მარტო მუსიკალური ნაწარმოებების შესრულება არ იკმარებდა და საჭირო იყო კვლევაც, მეცნიერულ თუ არა, პუბლიცისტურ-ჟურნალისტურ დონეზე მაინც.

„ვლადიმერისთვის უცხო იყო მოძველებული იდეა, ამოწურული საქმე. არასოდეს დაუსვამს წერტილი იმ აზრთანაც კი, რომელიც სხვისთვის დასრულებული ჩანდა... ყველაზე ნათლად მას მაინც 1987-93 წლები ახასიათებს, როცა გია ყანჩელის ინიციატივით საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის ინფორმაციისა და პროპაგანდის ცენტრი დაარსდა და დირექტორად ვლადიმერ გრიგოლაშვილი დაინიშნა." (ჟურნალისტი მზია ჭოხონელიძის მოგონებიდან). გადაწყდა და გრიგოლაშვილის აქტიური ქმედებით, მალევე რეალობად იქცა ჟურნალის ტიპის ბიულეტენების გამოცემის იდეა ჯერ რუსულ, ქართულ, მოგვიანებით ინგლისურ ენებზე. ამ უკვე სამენოვანი ჟურნალის პრეზენტაცია ჩეხეთში, პრაღაში შედგა ვლადიმერ გრიგალაშვილის თაოსნობით. ექსპერტებმა აღინიშნეს გამოცემის მნიშვნელობაც და ხარისხიც, რადგან ისინი იმდროინდელი ქართული მუსიკის პრობლემებსაც იტევდა და, თუმც მცირედად, მაგრამ ქვეყნის ისტორიულ მნიშვნელოვან მოვლენებსაც ეხმიანებოდა.

გრიგოლაშვილის „გამოჩენა" ამ სარბიელზე შემთხვევითი არ ყოფილა. საზოგადოების ინტერესი ვლადიმერის, როგორც მუსიკოსი-მოაზროვნის მიმართ უფრო ადრე გაჩნდა, ჯერ კიდევ კონსერვატორიაში სწავლისას და შემდგომ პედაგოგიური საქმიანობისას. სწავლების მისეულ სისტემაში მკვეთრად შეინიშნებოდა არატრადიციული, ინდივიდუალური მიდგომა კერძოდ, ჰარმონიის სწავლების და, ზოგადად, მუსიკალური უფრო ფართო პრობლემების მიმართ. დღესაც შემონახულია

მის მიერ შედგენილი ჰარმონიის სახელმძღვანელო და ამოცანების კრებული ჰარმონიაში (გამომცემლობა „განათლების“ მიერ დასტამბული). მსგავსი ეროვნული სახელმძღვანელოს არსებობა დღესაც საკმაო იშვიათობას წრმოადგენს და ამიტომაც ელიან მის ხელახალ გამოცემას.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის ზემოხსენებულ, სრულიად ახალ ღირებულებებზე ორიენტირებულ ხელმძღვანელობას სათავეში ედგა უდიდესი ქართველი სამოციანელი, ახლა უკვე კლასიკოსად აღიარებული, თავის დროზე კი დევნილი კომპოზიტორი გია ყანჩელი. სტაგნაციაში მყოფ ქვეყანაში ახალგაზრდა მუსიკოსის ვლადიმერ გრიგოლაშვილის ამ აქტიურმა ქმედებებმა განაპირობეს გია ყანჩელის გამორჩეული ინტერესი მის მიმართ და ერთგვარად მისი შემდგომი მოღვაწეობის სფეროც გამოიკვეთა. ამას ადასტურებს გია ყანჩელი თავის წიგნში „დიალოგები“, სადაც ვლადიმერ გრიგოლაშვილის მოღვაწეობისადმი მიძღვნილია საკმაოდ ვრცელი და ღრმად საინტერესო გვერდები (ისიც კარგადაა ცნობილი ყველასათვის, რომ ყანჩელი ზერელედ არავის აფასებდა). აი, ფრაგმენტი მისი წიგნიდან: „მე მოვიწვიე ნიჭიერი მუსიკისმცოდნე ვლადიმერ გრიგოლაშვილი საქართველოს კომპოზიტორთა კავშირში პროპაგანდის განყოფილების ხელძღვანელად (რა თქმა უნდა იგულისხმებოდა არა კომუნიზმის იდეების, არამედ კავშირის წევრთა ნაწარმოებების პროპაგანდა)“. შედეგი მალევე საგრძნობი იყო, „თუმც არც თუ უმტკივნეულოდ მავანთათვის“. მას მალევე გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგენიც! პოლიტიკური პერიპეტიების ფონზე უმოქმედობას მიჩვეული თაობისაგან იგი თავდაუზოგავ შრომას ითხოვდა. „მთავრი რაც მინდა ვთქვა მასზე, — წერს კავშირის აფხაზეთის განყოფილების ხელმძღვანელი სვეტლანა კეცბა — არის ის, რომ ვლადიმერი შინაგანად გრძნობდა სიახლეთა დანერგვის აუცილებლობას, სრულყოფას კულტურის სფეროში, რაც არც თუ ადვილად მისაღები აღმოჩნდა“... ქართულ მუსიკას კი მთლიანობაში დიდად წაადგა, რადგან ამ მცდლობებმა შედეგად მოიტანა ის, რომ უკვე სსრკ მარწუხებისაგან განთავისუფლებული საქართველოს კომპოზიტორთა




კომპოზიტორთა კავშირის მუსიკალურ- საინფორმაციო ცენტრი. შხედან: ვალოდია გრიგალაშვილი თანამშრომლებთან ერთად (ნათელა მამალაძე, სვეტლანა კერვალიშვილი).

კავშირის ბაზაზე შეიქმნა მუსიკალური ინფორმაციის და პროპაგანდის დამოუკიდებელი ცენტრი, რომლის დირექტორად ვლადიმერ გრიგოლაშვილი დაინიშნა. სწორედ მისი და მისი გუნდის თავდაუზოგავი, ეფექტური მოღვაწეობა გახდა მიზეზი, რომ ცენტრი პირველი იყო საქართველოდან, ვისაც წილად ერგო ისეთი სა-



სტუმრად მომღერალი ნანი ბრეგვაძე

ერთაშორისო ორგანიზაციის წევრი გამხდარიყო, როგორიცაა იუნესკოსთან არსებული სამუსიკო ცენტრების საინფორმაციო ასოციაცია IAMIC, თავად ვლადიმერ გრიგოლაშვილი კი მსოფლიო ჟურნალისტ-რედაქტორად ენციკლოპედიაში იქნა შეყვანილი.

სამწუხაროდ, გარკვეულმა ისტორიულმა მოვლენებმა და კავშირის შიდა დაპირისპირებებმა ვლადიმერ გრიგოლაშვილი აიძულეს დაეტოვებინა ცენტრიც და კავშირიც, შემდგომ ქვეყანა და წუთისოფელიც კი. მასთან ერთად კი ნელ-ნელა გაქრა ცენტრი და შემდგომ ჟურნალიც...

ზემოხსენებულ წიგნში გია ყანჩელი განუზომელი სევდით მიუძღვნის მას მოგონებას და დაწერს: „სიმწრით მახსენდება, რომ ამ პოსტზე ვლადიმერი რომ არ მომენვია, შესაძლებელია ის ჯერ კიდევ ცოცხალი ყოფილიყო"...

## მამათა და შვილთა პაექრობა, ალბათ, ბუნებრივი კანონზომიერებაა

ირაკლი არეშიძე

მამათა და შვილთა პაექრობა, ალბათ, ბუნებრივი კანონზომიერებაა. ყოველ თაობას პრობლემური საკითხის გადაჭრის თავისებური იდეა აქვს. იდეებიდან ერთ-ერთი თუ ხორციელდება.

მოგვიანებით, დროის ღადარი და, ამ შემთხვევაში, შვილიშვილთა თაობა განსაზღვრავს ხოლმე არჩევანის ხარისხიანობას.

ამგვარად, შვილიშვილების გადმოსახედიდან მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა:




2024 წლის 5 აპრილს, 70 წელი შეუსრულდა, ჩემი აზრით, გამორჩეულ ადამიანს — მუსიკისმცოდნე ვლადიმერ გრიგოლაშვილს.

ვეცდები, ჩემი აღტაცება ამ მოკლე ტექსტით გადმოგცეთ.

არახალია, რომ ქართულმა პროფესიულმა მუსიკამ ასწლეულში, დაჩქარებული ტემპით, საინტერესო გზა განვლო და რამდენიმე შედევრიც (მომიტევეთ ასეთი ტონისთვის, ეს მხოლოდ ჩემი აზრია) დაბადა. მაგრამ, მუსიკა ხომ ის ხელოვნებაა, რომელიც უშუალოდ შესრულებასთანაა დაკავშირებული. თუკი არ ვცდით მსოფლიოს სხვადასხვა სცენაზე შევასრულოთ ის საუკეთესო, რაც გვაქვს, განა სხვა ვინ დაკავდება ამ საქმით. სწორედ აქ დგება ჩვენი ხელოვნების პოპულარიზაციის საკითხი მწვავედ, რომლის გზაზეც ვდგავართ„კულტურის მენეჯერი" — არცთუ დიდი ხნის წინ დამკვიდრებული პროფესიაა, იმ სახით რა სახითაც დღესაა. როგორი აქტუალურია ეს ცნება დღეს, და თურმე გვყოლია ამ საქმის ოსტატი ვლადიმერ გრიგოლაშვილი, ადამიანი, რომელსაც საქართველოს კომპოზიტორთა კავშირში საინფორმაციო ცენტრი აუღორძინებია (თუ არა დაუარსებია).

რამდენიმე წელში მოახერხა ქართული მუსიკის საინფორმაციო ჟურნალ-ბიულეტენის შექმნა, ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. მქონდა რა ბედნიერება გავცნობოდი ამ ჟურნალებს, ჩამოვთვალი პუბლიცისტური გამოცემის რამდენიმე, ჩემთვის საინტერესო, დეტალს:

— ჟურნალი ინტერესდება, როგორც სახელმოხვეჭილი, ისე იმ დროისთვის ახალგაზრდა კომპოზიტორე-

ბის შემოქმედებით;

— ყოველი ნომრის ბოლოს ქართველი კომპოზიტორების მიერ ახლად შექმნილი თხზულებების სიაა წარმოდგენილი;

— დიზაინი! ინგლისურ ენოვან ნომრებში „ნოდარიკოები“ აჭედებენ გვერდის ნომრებს, გასაღებებსა და ნოტებს;

— თემატური კრისვორდები;

ეს ყველაფერი აცოცხლებს პროცესს და უნებლიედ გაინტერესებს.

ჯერ მარტო რად ღირს, რომ საქართველოს ისტორიაში პირველად, ქართული ორგანიზაცია გაწევრიანდა იუნესკოსთან (UNESCO) არსებულ იამიკის (IAMIC) საინფორმაციო ცენტრთა კავშირში. ეს ხომ მოვლენა და მიღწევაა! ამგვარს ვერ მიაღწევდა ორგანიზაცია ნათელი რომ არ ყოფილიყო ორგანიზატორთა (და მთელი ჯგუფის) თავდადება, მუშაობის ხარისხი და წინჭვრეტა.

ცალკე, სხვა ტექსტის საკითხად შემოვინახავ ვლადიმერ გრიგოლაშვილის პედაგოგიურ მოღვაწეობას და განუხორციელებელ იდეებს.

ახლა კი, პირადად, განხორციელებული შედეგითაც აღფრთოვანებული ქედს ვიხრი ნაადრევად წასული პიროვნების წინაშე.

რატომ ხდება თაობის შიგნით იმგვარი დაპირისპირება, რომ ასე მტკივნეულად და ქვეყნისთვის სავნოდ გულს ტკენენ მომუშავე, ჭკვიან ხალხს? მე, როგორც შვილიშვილთა თაობის წარმომადგენელს, მინდა ვიძახო: რატომ? რატომ ვშვებით ასე? რატომ ვაფუჭებთ საქმეს. გაწბილებული ვრჩებით, როცა ვხედავთ რომ შეიძლებოდა თქვენსა და ჩვენს შორის არსებული დროის უფრო ნაყოფიერად გამოყენება! მაშინ როცა შეიძლებოდა დაგვეშენებინა არსებულ საძირკველზე. ახლა კი, თავად გვიწევს ამ საყრდენის შენება, იმ იმედით რომ ჩვენს შემდეგ ჩვენი შთამომავლები განავითარებენ ამ საქმეს.

და მაინც, ვლადიმერ გრიგოლაშვილის მაგვარი ადამიანების შემხედვარე, სინათლე იღვრება გულში, რომ ერთობ ძლიერი წინამორბედი გვყავს ამ („კულტურის მენეჯმენტის“) და სხვა სფეროებში.

იქნებ თავი დაგვენებებინა არაფრისმომცემი პაექრობისთვის (რაც, სამწუხაროდ, გვემართება ხოლმე) და პატივი მიგვეგო გრიგოლაშვილის ხსოვნისთვის. თუნდაც სანიმუშო მუშაობით საერთო საქმისთვის!

დაკარგულ საქმეს ვერას ვუშველით რა. ამგვარად, როგორც ილია ჭავჭავაძე გვასწავლის, წარსული შეცდომები გაკვეთილად, გამოცდილებად ვაქციოთ. „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა“.

ეს საუკეთესო დაფასება იქნებოდა!

## ვლადიმერ გრიგოლაშვილი (1954-2000)

5 აპრილს ცნობილ მუსიკისმცოდნეს და ჟურნალისტს ვლადიმერ გრიგოლაშვილს 70 წელი შეუსრულდებოდა. იგი მრავალი წლის მანძილზე მუშაობდა, როგორც საგამომცემლო მიმართულებით, ასევე, საქართველოს ტელევიზიის მთავარ არხზე, იყო არაერთი ტელე და რადიო გადაცემის ავტორი. მას დიდი წვლილი მიუძღვის ქართული მუსიკის პროპაგანდაში, როგორც ჟურნალისტს, ასევე მკვლევარ-მუსიკისმცოდნეს.

1987 წელს მისი ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით საქართველოს კომპოზიტორთა კავშირში შეიქმნა და წლების მანძილზე წარმატებულად საქმიანობდა ქართული მუსიკის ინფორმაციისა და პროპაგანდის ცენტრი (საქმუსინფორმცენტრი). ვლადიმერ გრიგოლაშვილის ხელმძღვანელობით, ამ ცენტრში მრავალ სასიკეთო საქმეს ჩაეყარა საფუძველი, ტარდებოდა კონცერტები, როგორც საქართველოში, ისე ევროპის ქვეყნებში. ამ წლებში

ქართული მუსიკის ინფორმაციის და პროპაგანდის ცენტრი გახდა საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის, იუნესკოსთან არსებული მუსიკის საინფორმაციო ცენტრების ასოციაციის (IAMIC) წევრი.

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირისთვის, მისი მეგობრებისა და კოლეგებისთვის, ვლადიმერ გრიგოლაშვილის სახელი, როგორც პროფესიონალის და ჩვენი ქვეყნის პატრიოტისა, ყოველთვის იქნება სამაგალითო და დაუვიწყარი.

# „გუნდი ჩემი თავშესაფარია“ (რუსუდან ხორავა – 70)

შიო აბრახამია
*საგუნდო დირიჟორი, მუსიკოლოგი, კონცერტის წამყვანი*

ეს სიტყვები კომპოზიტორ რუსუდან ხორავას ეკუთვნის. ჟანრული მრავალფეროვნებით გამორჩეული შემოქმედების ავტორმა საგუნდო მუსიკას განსაკუთრებული ყურადღება 1990-იანი წლებიდან დაუთმო და ქართული საგუნდო რეპერტუარი ორიგინალური მუსიკალური ენითა და ჰარმონიული ფერებით გაამრავალფეროვნა.



რუსუდან ხორავა ნაწარმოების ვაზის ცრემლების“ (ტექსტი მაყვალა გონაშვილის) შესრულების შემდეგ. სოლისტები შიო აბრახამია (მიხო), ბაქრაძე (მარგარიტა).

რუსუდან ხორავას საგუნდო შემოქმედება სტილური მრავალფეროვნებით იყო წარმოდგენილი მისსავე საიუბილეო შემოქმედებით საღამოზე 17 ნოემბერს, კონსერვატორიის მცირე დარბაზში, სადაც მონაწილეობდნენ თელავის ნიკო სულხანიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის საგუნდო-სადირიჟორო განყოფილების უმცროსკლასელთა გუნდი (დირიჟორი მაია შალიკაშვილი); ბათუმის ქალთა აკადემიური კამერული გუნდი (დირიჟორები – ზაირა და გელა ვადაჭკორიები); საქართველოს სახელმწიფო საგუნდო კაპელა (დირიჟორი არჩილ უშვერიძე). შესაბამისად, კონცერტის ხანგრძლივი ქრონომეტრაჟი შეივსო რუსუდან ხორავას ბავშვთა, ქალთა და შერეული ტიპის საგუნდო ნაწარმოებებით, სადაც წარმოჩნდა კომპოზიტორის ემოციურ განცდათა და განწყობათა მრავალფეროვნება: ლირიკა, დრამატიზმი, მსუბუქი ექსპრესია. რუსუდან ხორავას ფერადოვანი მუსიკა ბგერისადმი სპეციფიკურ, მეტად განსხვავებულ – მსუბუქ, ჰაეროვან, გამჭვირვალე და უწყვეტ ინტონაციურ ნაკადს გულისხმობს, რისთვისაც, ზოგიერთ შემთხვევაში, როგორც ჩანს, ქართულ საგუნდო კოლექტივებს მეტი ყურადღების გამახვილება მართებთ...

კომპოზიტორმა, რომლის შემოქმედება კამერული და ვოკალურ-ინსტრუმენტული მუსიკის ჟანრებით 70-იანი წლებიდან დაიწყო, ნავთსაყუდელი, საბოლოოდ, წინაპრების გაკვალულ გზაზე – საგუნდო მუსიკაში იპოვა. მანამდე კი იყო საბავშვო მუსიკალური კომედია „რწყილი და ჭიანჭველა“, რომელიც ქალაქ ფოთში დაიდგა; სავიოლინო კონცერტი – დაცული საქართველოს ტელე-რადიოს ოქროს ფონდში; რომანტიკული სიმფონია მეცოსოპრანოსა და დიდი ორკესტრისთვის – 4 ნაწილად, სიმებიანი კვარტეტი, ბალეტი „სინათლის



ნიკო სულხანიშვილის სახელობის საქართველოს სახელმწიფო საგუნდო კაპელა“, მთავარი დირიჟორი არჩილ უშვერიძე



ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲙᲐᲛᲔᲠᲣᲚᲘ ᲒᲣᲜᲓᲘ“, ᲡᲐᲛᲮᲐᲢᲕᲠᲝ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ ᲖᲐᲘᲠᲐ ᲕᲐᲓᲐᲭᲙᲝᲠᲘᲐ, ᲡᲐᲛᲣᲡᲘᲙᲝ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔ.

ძალა“, რიგი საფორტეპიანო პიესებისა და რომანსებისა; სრულიად ახალგაზრდამ, მის მშობლიურ ქალაქ ფოთში შექმნა პირველი აღსანიშნავი ნიმუშები საერო სიმღერების სახით („ჩემი სამშობლო“ და „სიმღერა საქართველოზე“), რომლებიც დღემდე აქტიურად სრულდება და ეს უკავშირდება ფოთის სამუსიკო სასწავლებელში სწავ-



ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲙᲐᲛᲔᲠᲣᲚᲘ ᲒᲣᲜᲓᲘ“, ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲓᲘᲠᲘᲟᲝᲠᲘ ᲒᲔᲚᲐ ᲕᲐᲓᲐᲭᲙᲝᲠᲘᲐ, ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔ.

ლის პერიოდს, იმ სასწავლებლისა, რომელიც დღეს მისი მამის, ქართული ტრადიციული მუსიკის დიდი მცველისა და მოამაგის — არჩილ ხორავას სახელს სამართლიანად ატარებს. ამდენად, ოჯახშივე ქართულ ხალხურ საგუნდო შემოქმედებაზე აღზრდილი კომპოზიტორის მუსიკა ეროვნული ფოლკლორის საფუძვლებზე აღმოცენდა და ის ორგანულად შეერწყა ევროპული მუსიკის ფორმებსა და ზოგად ტრადიციებს, რაც, განსაკუთრებით ფერადოვან, მდიდარ ჰარმონიულ სამყაროში გამოვლინდა. რუსუდან ხორავას გუნდებში იმპრესიონისტული ბგერითი სურათების შექმნაში მნიშვნელოვანი როლი მის მიერ ყურადღებით შერჩეულ სპეციფიკური ემოციური განწყობის ლექსებსაც ენიჭებათ. მათში დიდი ადგილი უჭირავს ბუნებას; კომპოზიტორი განსაკუთრებულ ყურადღებას დეტალებს უთმობს, სადაც უმღერის პატარა ნაძვს, მოტეხილ რტოს, სავსე მთვარეს, აყვავებულ ვარდს, თოვლში მდგარ ტყემლის ხეს, შემოდგომის ფოთლებს, ობლად მდგარ ბალახის ღეროს, ცისარტყელას ფერებს და სხვ. ბუნებისადმი უზომო სიყვარულისა და სამყაროს ფერების განსაკუთრებული აღქმისაკენ მისწრაფებით შეიძლება რუსუდან ხორავა ქართულ მუსიკაში ვაჟა ფშაველას პოეტური ესთეტიკის მიმდევრად დავასახელოთ. ალბათ, არ არის შემთხვევითი ისიც, რომ კომპოზიტორ ქალს ჯერ კიდევ ადრეულ წლებში ვაჟა ფშაველას პრემიის ლაურეატის წოდება მიენიჭა (2003 წ.).

კომპოზიტორის საგუნდო შემოქმედების მხატვრული ღირებულების ძირითად საზომს, ქართულ ხალხურ მრავალხმიან შემოქმედებასთან მყარი კავშირი და ორიგინალური ხელწერა წარმოადგენს. ამ თვისებებით ის ქართველ ქალ კომპოზიტორთა შორის ერთადერთი, სულხანიშვილისა და კეჭაყმაძის ჟანრული მემკვიდრეა. ეს კავშირები კიდევ ერთხელ დადასტურდა კომპოზიტორისადმი მიძღვნილ საიუბილეო კონცერტზე, რომელმაც ფართო პუბლიკას საშუალება მისცა, განეცადა ფაქიზი პიროვნებისა და კომპოზიტორის სამყაროსთან ზიარების სიხარული.



Ნ. ᲡᲣᲚᲮᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲡᲘᲙᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲡᲐᲒᲣᲜᲓᲝ- ᲡᲐᲓᲘᲠᲘᲟᲝᲠᲝ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲛᲪᲠᲝᲡᲙᲚᲐᲡᲔᲚᲗᲐ ᲒᲣᲜᲓᲘ (ᲓᲘᲠᲘᲟᲝᲠᲘ ᲛᲐᲘᲐ ᲨᲐᲚᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ).

# ლეჩხუმური დაკარგული სიმღერების კვალდაკვალ

## (ხალხური სიმღერის ფესტივალი სოფელ ქორენიშში)

ქეთევან ბაიაშვილი

ბოლო წლებში საქართველოში ძალიან მომრავლდა მუსიკალური ფესტივალები, რაც კარგის მაუწყებელი უნდა იყოს... მნიშვნელოვანია, რომ ეს არ არის მუსიკის მხოლოდ ერთი დარგის ან ჟანრის, არამედ სხვადასხვა ტიპის — კლასიკური თუ თანამედროვე, ხალხური თუ ჯაზური მუსიკის ფესტივალები და ა.შ. რა თქმა უნდა, ყველა ფესტივალს თავისი მიზანი აქვს და მუსიკის ამა თუ იმ დარგის ხალხში ცნობადობის გაზრდას ემსახურება. ის კამერული ფესტივალი კი, რომელზედაც ქვემოთ გიამბობთ, ლოკალური დავიწყებული კულტურის აღორძინებასა და მუსიკალური მეხსიერების გამოღვიძებას ისახავდა მიზნად.

2024 წლის 2 ნოემბერს ულამაზეს სოფელ ქორენიშში, მისტიური ხვამლის მთის ძირას ჩატარდა ლეჩხუმური სიმღერის ფესტივალი „დაკარგული ლეჩხუმური სიმღერების კვალდაკვალ." ამ ფესტივალს გასულ წელს (2023) წინ უძღვოდა ლეჩხუმური სიმღერების კრებულის წარდგენა, რომელიც შეადგინა ეთნომუსიკოლოგმა რუსუდან ჩიტაურმა, ხოლო გამოსცა საქველმოქმედო ფონდმა „ქართულმა გალობამ." კრებულის რედაქტორები იყვნენ ანსამბლ „მზეთამზეს" წევრები – ნინო შველიძე და მუსიკოლოგიის დოქტორი, ილიას უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სამწუხაროდ, უდროოდ გარდაცვლილი ნინო კალანდაძე-მახარაძე. კრებული მიეძღვნა ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწისა და მკვლევრის ოთარ ჩიჯავაძის დაბადებიდან 100 წლისთავს. ამიტომაც კრებულში შევიდა ოთარ ჩიჯავაძის მიერ სხვადასხვა წლებში სტუდენტებთან ერთად ლეჩხუმში ჩაწერილი (1954, 67, 84) სიმღერები. ასევე მისი ერთ-ერთი საუკეთესო სტუდენტის — რუსუდან ჩიტაურის მიერ ჩაწერილი სიმღერები 1982 წელს. დღეისათვის ამ სიმღერებსაც იგივე ბედი აქვთ გაზიარებული, რაც ყველა დანარჩენს: ისინი ინახება პირად თუ სახელმწიფო არქივებში და თუ „ბედი გაუღიმებთ", სცენაზე გადმოინაცვლებენ. ამიტომაც დიდი მნიშვნელობა აქვს ამ გამოცემულ კრებულს, მასში შესულია 49 ლეჩხუმური სიმღერა. კრებულს დართული აქვს საექსპედიციო ჩანაწერების კომპაქტ დისკიც, რაც კიდევ უფრო ზრდის კრებულის საშემსრულებლო და მეცნიერულ ღირებულებას.

მოგეხსენებათ, როგორია დღეს ხალხური სიმ-

ღერის ბედი.... მან დაჰკარგა სოციალური საფუძველი და შეიფარა სცენამ!, იუთუბმა! და სხვა. მეორენაირად რომ ვთქვათ, ხალხურმა სიმღერამ სოფლიდან ქალაქად გადმოინაცვლა და ახლა ქალაქი განკარგავს მის ბედს.... სცენაზე დამკვიდრებამ ახალი საშემსრულებლო ამოცანები გაუჩინა ამ უდიდეს საუკუნეებგამოვლილ განძს და იძულებით დაემორჩილა სცენისა თუ „შოუ"ს კანონებს. ამის შესახებ დიდი ედიშერ გარაყანიძე წერდა თავის საეტაპო, უმნიშვნელოვანეს ნაშრომში „ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებლობაში" (2007. გამომც. „ინტელექტი"). შესაბამისად, თბილისში ბოლო დროს, ძალიან მომრავლდა ხალხური სიმღერის კოლექტივები-ანასამბლები თუ გუნდები... მედალს ორი მხარე აქვს — ერთის მხრივ ეს დადებითი მოვლენაა და იმედით გავსებს, მეორეს მხრივ — თუ დავაკვირდებით, ნათლად ჩანს ანსამბლების ხელმძღვანელთა ლტოლვა მოიძიონ და გააჟღერონ რაც შეიძლება ეფექტური, „შოუს" ელემენტებიანი სიმღერები, შედეგად კი რა მივიღეთ? უდიდესი დანაკარგი!: პუბლიკის მოსაწონ და „ეფექტურ" სიმღერების ძიებაში აღარავის აინტერესებს ერთხმიანი და განსაკუთრებით ორხმიანი სიმღერები! რატომ გვავიწყდება, რომ ერთხმიანმა და ორხმიანმა სიმღერებმა შემოინახეს ძალზედ ბევრი საიდუმლო! ანუ, ფართე სპექტრით თუ დავინახავთ, დაიკარგა სიმღერებისადმი მეცნიერული მიდგომა, ეთნომუსიკოლოგიური ხედვა! დღეს ხომ ხალხური სიმღერა აღარ იქმნება! (ნუ შემეკამათებით, საავტორო სიმღერა რეკონსტრუირებული საკრავების თანხლებით, არ შეიძლება ჩაითვალოს ხალხურად! მას ავტორი ჰყავს, ტრიალებს ყველგან ერთი და იგივე ვარიანტი!). დაუსრულებლად მეორდება ძველთა, სხვათა ნათქვამი!!! ეს კი იმას ნიშნავს, რომ შემოქმედებითობის უფლება ჩამოვართვით მუსიკალურ ფოლკლორს?!!! ამიტომაც, ძალიან დასაფასებელია ხალხური სიმღერის ის შემსრულებელი, ვინც სიმღერის შესრულებას სწორედ ეთნომუსიკალური თვალთახედვით უდგება!

ეს შესავალი იმისთვის დამჭირდა, რათა მკითხველისთვის დამენახვებინა „ქორენიშული ვერანდის" ფესტივალის მონაწილეთა ჯანსაღი, საღი, ჯანმრთელი დამოკიდებულება ლეჩხუმური სიმღერის საშემსრულებლო პრინციპების მიმართ.



რუსუდან ჩიტაური, ქეთევან ზაიაშვილი

როგორც ზემოთ ითქვა, ეს გახლდათ კამერული ფესტივალი, რომელსაც უმასპინძლა ერთმა თავისი სოფლისა და კუთხის უდიდესმა პატრიოტმა ახალგაზრდა კაცმა ლევან ხმელიძემ და მისმა შესანიშნავმა ოჯახმა. ორიოდ სიტყვით მინდა გაგაცნოთ ეს საოცარი ხალხი. ლევანი დღეს „ქორენიშული ვერანდის" დამფუძნებელი, მეღვინე, ფერმერია, მისი არაჩვეულებრივი მეუღლე – თათია ტურაშვილი-ხმელიძე, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ასწავლის თბილისის რამდენიმე უნივერსიტეტში. მთავარი კი ის არის, რომ ლევანის ოჯახი წლების განმავლობაში რუსეთში ცხოვრობდა და აწყობილი ჰქონდა წარმატებული საოჯახო ბიზნესი. ლევანმა გვიამბო: ერთ დღეს დავჯექი, გადავხედე ამ ჩემს ნაამაგარს და საკუთარ თავს ვუთხარი: შენ გაგაჩნია ყველა სიკეთე თუ დოვლათი, მაგრამ ეს ყველაფერი აქ რას გარგია, შენ ეს ყველაფერი შენს მამულში გაგახარებს, ბებიის დანატოვარ, გამოკეტილ სახლის კარებს რომ გახსნი და იქაურობას გააცოცხ-



ანსამბლი „მჭელი“, ხელმძღვანელი ქეთევან ზაიაშვილი

ლებ“. ამის გაფიქრება იყო და გაესაუბრა მშობლებს, ასევე დიდებულ ადამიანებს ბატონ ვალერისა და ქალბატონ მარეხს, ოჯახმა გადაწყვეტილება მიიღო, გაყიდა რუსეთში დაგროვილი ქონება და ქორენიშს გამოემგზავრა. გაამრავლა ვაზი, მოაშენა ფუტკარი და იქაურობა ნამდვილ სამოთხეს დაამგვანა... ვიცი, მისაყვედურებენ თათია და ლევანი, ეს რა სალაპარაკოაო, მაგრამ მიმოვიხედოთ ირგვლივ! განა ბევრი გვეგულება ჩვენს ირგვლივ ასეთი? მათი მიზანია, ეს ულამაზესი სოფელი და ლეჩხუმი მთელმა ქვეყანამ და მსოფლიომ გაიცნოს! სწორედ ეს მიზანი ამოძრავებდა ჩვენს უებრო მასპინძელს, როცა ჩემს წინადადებას- ფესტივალის გამართვისა და დამკვიდრების იდეა აიტაცა და განახორციელა.

ფესტივალში მონაწილეობა მიიღო სულ სამმა ანსამბლმა: 1. „მჭელი,“ „მთიები“ და „ნადური“. მოკლედ მოგახსენებთ მათზეც.

ანსამბლი „მთიები“ ფესტივალზე წარსდგა ახალი თაობით. ეს მართლაც რომ ლეგენდარული ანსამბლი, რომელმაც მძვინვარე სოციალიზმის დროს, შემსრულებლებისა და მსმენელის ხალხური სიმღერისადმი დამოკიდებულება სრულიად შეცვალა. მთიებს მე-20 ს. 80-იანი წლებიდან დღემდე არ უღალატია თავისი შემოქმედებითი პრინციპებისთვის. ყველას ჯერ კიდევ გვახსოვს და დიდი ტკივილით ვიხსენებთ გარაყანიძეების ოჯახის ტრაგედიას. მიუხედავად ამ საშინელი ბედისა, მთიებმა კვლავ გააგრძელა დაწყებული გზა-ამერ-იმერთან ერთად ( საბავშვო-საყმაწვილო სტუდია), და დღემდე სახელოვნად აგრძელებს დიდი ედიშერის დაწყებულ საქმეს. ედიშერისა და მისი მეუღლე ნინოს გარდაცვალების შემდეგ, მთიებს სათავეში ედგა ჯერ „ძველი მთიების“ ასევე უდროოდ გარდაცვლილი უნიჭიერესი მომღერალი კობა ხუციშვილი, კობამ კი გიგის (გიორგი) ედიშერის გადარჩენილ ვაჟს — გადააბარა „მთიების“ ხელმძღვანელობა. სამწუხაროდ, გიგიც დავკარგეთ და მისმა სანაქებო მეუღლემ — მაგდა კევლიშვილმა გააგრძელა „მთიების“ სიცოცხლე“. დღემდე წარმატებით უძღვება ორივე ანსამბლს (საბავშვო სტუდია „ამერ-იმერსა“ და „მთიებს.“ ფესტივალზე „მთიების“ მიერ შესრულდა ლეჩუმური „მაყრული“,



ანსამბლი „წყალტუბოს ნადური“

„საღიღინო და „ ლაჭეპი და ოფიტარა“. აღსანიშნავია, რომ ორი სიმღერა- ღიღინი და მაყრული სწორედ ედიშერ გარაყანიძის ძალისხმევით შესრულდა თბილისის საკონცერტო სცენაზე- „მთიების“ უფროსი თაობის მიერ. ახლა კი, მეტად საამაყოა, რომ უმცროსებმა გაარძელეს მათი სახელოვანი წინაპრის მიერ დაწყებული საქმე და დღეს სწორედ ახლა უკვე ისტორიული სიმღერებით წარსდგნენ ფესტივალზე. მათ ორივე სიმღერა- ღიღინიც და მაყრულიც მთიებისათვის დღეს უკვე კარგად ნაცნობი მანერით- აუთენტიზმის ერთგულებით შეასრულეს და მაყურებელთა მოწონებაც დაიმსახურეს. ალბათ, ორიოდე სიტყვას იმსახურებს მთიების მიერ შესრულებული მესამე სიმღერაც: როცა თვალს გადაავლებ ზემოთხსენებულ ახალ კრებულს, აუცილებლად თვალში საცემია სახუმარო, სალაღობო. იუმორისტული სიმღერების სიმრავლე. ეს კი პირდაპირ ასახავს ლეჩხუმელთა ლაღ, მხიარულ, იუმორით სავსე ხასიათს. სწორედ ასეთია ლაჭეპი და ოფიტარა. სულ ცოტახნის წინ, სოციალურ ქსელებში გამოჩნდა ამ სიმღერის შექმნის ისტორიაც ტელევიზიის ოქროს ფონდიდან. რუსთავის თეარის ყოფილი დირექტორი, აწ გარდაცვლილი კიაზო არჯევანიძე ყვება ძალიან დიდი სიყვარულით, თუ სოფელ ლაჭეფში დაღლილ მგზავრებს როგორ უთხოვიათ წყალი ერთი ოჯახისთვის და პატარა , ლამაზ გოგოს კი ღვინით სავსე დოქი მიუტანია. სწორედ ეს გამხდარა ამ სიმღერის შექმნის მიზეზი, ლეჩხუმლებს ღვინო დაულევიათ და სიამოვნებისგან დაუმღერებიათ: ლაჭეფი და ოფიტარა, გოგომ ღვინო მოგვიტანა, დაგვისხა, დაგვალევინა, გუნებაზე მოგვიყვანა –ო. შემდეგ კი, ამ სიმღერის ტექსტის გაგრძელების მიზეზი ბუდუ მდივანი ყოფილა, სუფრაზე ნამღერ ამ კუპლეტს მიუმღერა თურმე: „ როგორც ბორჯომს ვერ ჯობია ვერც კოჯორი, ვერც ბახმარო, ღვინის სმაში ვერ მაჯობებ, ოყურეშიც მოიხმარო“ ხალხურ მთქმელ კოწია ახვლედიანს კი ბუდუ მდივნისთვის უპასუხია: „ვინც რომ ღვინის მსმელი არის, თავის ქება ვის უთქვია, ღვინით სავსე კასრში ჩაგსვამ, გადაყლაპავ უსუნთქია“. ეს შესანიშნავი ისტორია კი ფბ-ზე გამოაქვეყნა „გუჯას მუზეუმმა“ ბატონი გუჯა (ელგუჯა ბენდელიანი) სულ ცოტა ხნის წინ გარდაიცვლა. ის წლების განმავლობაში




ᲮᲛᲔᲚᲘᲫᲔᲔᲑᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲘ

უძღვებოდა ცაგერის მუზეუმს და ჩვენც ძალიან დავალებული ვართ ბატონი გუჯასგან, მან ლეჩხუმური ცეკვა-ჩაგუნას შესახებ უძვირფასესი მასალა მოგვაწოდა. ნათელი მის სულს. ამ სიმღერის შექმნის ისტორია კი მიუთითებს, რომ ლეჩხუმში სუფრაზე იმპროვიზაციის ანუ ხალხური გაშაირების ძირძველი ტრადიცია ყოფილა და ამ ტრადიციის შედეგად შექმნილა ეს სიმღერა.

მეორე, როგორც უკვე ითქვა, იყო ქალაქ წყალტუბოს ანსამბლი „ნადური“, რომლის ხელმძღვანელია მუსიკოსი და კომპოზიტორი ირაკლი შენგელია. ადმინისტრატორი- თვითნასწავლი მომღერალი მამუკა ჩხეტიანი, ქართული და სპარსული ენების მცოდნე და მასწავლებელი, ანსამბლი შექმნილია 2001 წელს, 2010 წლიდან შეიცვალა მისი შემადგენლობა და დღემდე აგრძელებს მოვაწეობას. საკმაოდ ფართე რეპერტუარით მონაწილეობა აქვთ მიღებული არაერთ ფსტი-



ფესტივალის მონაწილეები

ვალში, ასევე მართავენ სოლო კონცერტებს როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ. „ნადურმა“ ქორენიშის ფესტივალზე შეასრულა ლეჩხუმური სახუმარო – „ჩემო გამზრდელო ლობიო“, ეს სიმღერა შეუსწავლიათ სოფელ დღნორისაში რომან მიქაუტაძისგან, 2006 წელს. „მაყრული“კი, ახალი კრებულიდან– ჩაწერილია რუსუდან ჩიტაურის მიერ 1982 წელს ანსამბლ „სალხინოსგან“. ანსამბლ „ნადურის „ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ორივე სიმღერა შესანიშნავად შეასრულა და მათ ნამღერში გამოჩნდა არა მხოლოდ ლეჩხუმური სასიმღერო კილო–კავი, არამედ ლეჩხუმური საშემსრულებლო მანერაც. ალბათ, მომავლისთვის აუცილებელია ეთნომუსიკოლოგების მიერ საგანგებოდ გამოკვლეული იყოს ლეჩხუმური სასიმღერო ენა და იმედია, შემდეგი ფესტივალისთვის კიდევ უფრო მრავალფეროვანი ლეჩხუმური სიმღერებით წარსდგება ეს შესანიშნავი ანსამბლი ლეჩხუმელების წინაშე.

მესამე ანსამბლი იყო ხელოვნების სასახლის –კულტურის ისტორიის მუზეუმიდან „მჭელი“, ( ხელმძღვანელი ქეთევან ბაიაშვილი). ანსამბლი“მჭელი“ ამ ფესტივალის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელია, რადგან მათ პირველებმა აიტაცეს 2022–ში ახლად გამოცემული კრებული და მრავლად შეისწავლეს ლეჩხუმური სიმღერები. მათვე გასულ წელს საზოგადოებას გააცნეს რუსუდან ჩიტაურის კრებულში შესული სიმღერების უმეტესობა. წელს მათ მიერ შესრულდა როგორც შარშან, კრებულის პრეზენტაციაზე უკვე წარდგენილი სიმღერები, ასევე აღადგინეს ამირანის ფერხულის ლეჩხუმური ვარიანტი, რაც მეტად მნიშვნელოვანია, ერთი, რომ ამ შესანიშნავ სოფელში–ქორენიშში, ხვამლის მთის ძირას! დიდი ალბათობით უნდა ყოფილიყო სიმღერა–ფერხულები ამირანზე. გავიხსენეოთ, რომ არა ერთი ლეგენდა არსებობს და დღემდე ხალხის მეხსიერებაში შემორჩენილია ამბავი ამირანის ხვამლზე მიჯაჭვის შესახებ, უფრო მეტიც, ზოგიერთი მთხრობელი ადგილსაც მიუთითებს ხვამლის მთებში, სადაც ამირანი უნდა ყოფილიყო მიჯაჭვული. მეორე – რადგან დღეისათვის არა მხოლოდ ამ სიმღერა–ფერხულის მუსიკალური, არამედ ქორეოგრაფიული ნაწილიც აღარავის ახსოვს. სიმღერა ჩაწერილია ბ–ნ ოთარ ჩიჯავაძის მიერ1955 წ.... ანსამბლმა „ მჭელმა“ აღადგინა ეს დავიწყებული სიმღერა–ფერხული და „დაუბრუნა“ ლეჩხუმელ მაყურებელს. გარდა ამირანის ფერხულისა, მათ შეასრულეს: ალილო, ლალე, სუფრული, კარგია კარგი ცხოვრება, ირუდია, ოდიადა, ჩაგუნა, მღვდელო ბატონო. შექმნის დღიდან, „მჭელი“ მაქსიმალურად ცდილობს, დაიცვას ხალხური სიმღერის შესრულების „გრამატიკული“ წესები და ედიშერ გარაყანიძის პრინციპების ერთგულია. ამას გარდა, ვინაიდან იგი ხელოვნების სასახლის კულტურის ისტორიის მუზეუმთან არსებულია, მისი რეპერტუარი ეკოლოგიურად სუფთა ნიმუშებს მოიცავს.

ქორენიშის ხალხური სიმღერის ფესტივალის ერთი ნაწილი უშუალოდ ლეჩხუმურ სიმღერას მიეძღვნა, ანუ ყველა მონაწილემ შეასრულა ლეჩხუმური სიმღერა. მეორე ნაწილში კი შესრულდა იმერული, რაჭული, ქართლური და კახური სიმღერები. ასეთნაირად შედგენილი პროგრამა საშუალებას აძლევდა მსმენელს, შეედარებინა და დაენახა ლეჩხუმის მო–

მიჯნავე მუსიკალურ დიალექტთა მსგავსება-განსხვავებები. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ეთნომუსიკოლოგთა უმრავლესობა, განსაკუთრებით ძველი და საშუალო თაობები, ლეჩხუმურ მუსიკალურ დიალექტს დამოუკიდებლად არ განიხილავდა, არამედ სამეცნიერო მიმოქცევაში იხსენებოდა რაჭულ-ლეჩხუმური დიალექტი. სწორედ პირველმა, ედიშერ გარაყანიძემ გამოჰყო ლეჩხუმური დიალექტი, როგორც დამოუკიდებელი (ედიშერ გარაყანიძე, „ქართული მუსიკალური დიალექტები და მათი ურთიერთმიმართება", თბილისი, 2011). ფესტივალის უმთავრესი მიზანი კი სწორედ ლეჩხუმური დიალექტის უკეთ წარმოჩენა იყო. საყურადღებოა, რომ სასცენო შემსრულებლობაში სულ 4 ან 5 ლეჩხუმური სიმღერა ტრიალებდა, როგორიცაა: მაყრული, ლაჭეფი და ოფიტარა, კურდღელი ჩამოცანცალდა, ჩემო გამზრდელო ლობიო"... აღსანიშნავია ლეჩხუმური სიმღერის პოპულარობაში ცნობილი ეთნომუსიკოლოგისა და ხალხური სიმღერა-გალობის უებრო მცოდნის (ქართული გალობის ჯერ კიდევ საბჭოურ ეპოქაში აღმდგენელი და ღვთისმსახურებაში დამამკვიდრებელი)! მალხაზ ერქვანიძის დამსახურება, რომელმაც მოაწყო ექსპედიცია 2004წ. ლეჩხუმში და არაერთი საინტერესო ნიმუში მოიძია. შემდეგ კი ან სამბლ „სახიობას" რეპერტუარში შეიტანა მეტად საინტერესო ლეჩხუმური „ნადური" და „მკის სიმღერა — „ოდიადა". დიდ ყურადღებას იქცევს ეს უკანასკნელი არა მხოლოდ თავისი მარტივი ორპირული ფორმითა და ორხმიანობისა და სამხიანი ფაქტურების მონაცვლეობით, არამედ სათაურითაც: ის ბერძნულად ზევსის წოდებით ბრუნვაში მიმართვას იმეორებს — „ო დია!" დამატებული და ნაწილაკით, რაც მეტად დამახასიათებელია ლეჩხუმური სიმღერეისთვის! ეს სიმღერა ფორმის სიმარტივით, ორ და სამხმიანი ფაქტურების მონაცვლეობითა და რესპონსორულობით აშკარად ეხმიანება უძველეს ბერძნულ საკულტო ჰიმნებს, და თუ სათაურსაც დავუმატებთ, შიძლება ვიფიქროთ ქართულ-ბერძნულ სასიმღერო ფორმების ურთიერთგავლენებზე..... მნიშვნელოვანია, რომ ეს სიმღერა ბევრად უფრო ადრე ოთარ ჩიჯავაძესაც ჩაუწერია და ყანის მკის სიმღერების ციკლის შემადგენელი ნაწილი უნდა ყოფილიყო. ამჟერად, ფესტივალზე „ოდიადა" მჭელმა შეასრულა.



რუსუდან ჩიტაური ლევან ხმელიძეს გადასცემს ქალთა საბჭოს სიგელს.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფესტივალს, განსხვავებით სხვებისაგან კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი მიზანი აქვს: ადგილობრივთა ინტერაქციაჩართვა მომავალ კვლევებში. ფესტივალზე გაცხადდა ამ მიზნის შესახებ, კონცერტის დასასრულს ჩვენთან მოვიდა ორი ქალბატონი, რომელთაც დიდი სურვილი გამოთქვეს თანამშრომლობისა და მოგვაწოდეს უაღრესად მნიშვნელოვანი ცნობები მათ სოფლებში დღემდე არსებული ტრადიციებისა თუ მომღერლების შესახებ. რა თქმა უნდა, ჩვენ მათთან დიდი სიამოვნებით ვითანამშრომლებთ და აუცილებლად გამოვაქვეყნებთ მათი ღვაწლის შესახებ. ამ ფაქტმა ძალიან გაგვაბედნიერა, რადგან როგორც ჩანს, ჩვენმა მეცადინეობამ ნაყოფი გამოიღო და ფესტივალი შედგა!. წარმატება ვუსურვოთ ახალად ფეხადგმულ ფესტივალს, დიდი მადლობა მის ყველა მონაწილეს და განსაკუთრებული მადლობა ლევან ხმელიძის სამაგალითო ოჯახს საარაკო მასპინძლობისთვის.

# თამარ ბარდაველიძე-თორე

## ქართული მუსიკის დესპანი უცხოეთში

## (პორტრეტული ჩანახატი)

ანა ბეთანელი

თამარ (თამუნა) ბარდაველიძე-თორე – მუსიკოსი, პიანისტი, პედაგოგი, მკვლევარი. მისი ცხოვრებისეული კრედოა ერთგულება და სიყვარული. ბუნებით მაქსიმალისტი და იდეალისტი ადამიანი, იგი ცდილობს ამ თვისებების გარემო სინამდვილესთან ჰარმონიზებას და შეთავსებას.

თბილისის კლასიკური გიმნაზიის, „ნიჭიერთა ათწლედის" და კონსერვატორიის დასრულების შემდეგ მუშაობას იწყებს მ. ბალანჩივაძის სახელობის მე-3 სამუსიკო სასწავლებელში ფორტეპიანოს პედაგოგად. სრულიად შემთხვევით, მეგობრისაგან გებულობს თურქულ ენაში გამოცხადებული კონკურსის შესახებ, მონაწილეობს მასში და იგებს თურქეთის სახელმწიფო სტიპენდიას ხელოვნების მიმართულებით სწავლის გასაგრძელებლად. დიდი ხნის ფიქრის შემდეგ გადაწყვიტა შესაძლებლობა გამოეყენებინა და თავი



თამარ ბარდაველიძე- თორე საპრეზიდენტო სიმფონიური ორკესტრის ისტორიულ დარბაზში. ანკარა, თურქეთი. 2015

მოესინჯა მეზობელ, მაგრამ სრულიად განსხვავებული კულტურის, რელიგიის, მენტალიტეტისა და ენის მქონე ქვეყანაში.

როგორც ყველა იმ ადამიანმა, ვინც ცდილობს თავის დამკვიდრებას უცხოეთში, მან გამოიარა ძალიან გრძელი და რთული გზა. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთში ცხოვრების პირველივე დღიდან ის თავისი სპეციალობით მუშაობდა, მან დიდი ძალისხმევა გაიღო, რათა ცხოვრების სასურველი სტანდარტისათვის მიეღწია, რისთვისაც დასჭირდა გადართვა სულ სხვა აზროვნების მოდელზე, სხვა მენტალიტეტზე, სხვა სამუშაო რეჟიმზე, რათა ფეხი აეწყო იმ რეალობისათვის, რომელიც მის გარშემო სუფევდა.

პირველი ნაბიჯები თურქული ენის სრულყოფისაკენ მიმართა, რაც თურქი ავტორის პიესის სტუდენტურ დადგმაში მისი წარმატებული მონაწილეობითა და ენის ცოდნის სერტიფიკატის მიღებით დაგვირგვინდა.

ამავდროულად, თამარი სწავლას აგრძელებს ჰაჯეთთეფეს უნივერსიტეტის ანკარას სახელმწიფო კონსერვატორიაში (Hacettepe University Ankara State Concervatory), ეწევა საკონცერტო მოღვაწეობას ანკარას სცენებზე, Panora-ს კულტურული ცენტრის მოწვეული პიანისტია და მუშაობს რამდენიმე სა-

მუსიკო სკოლაში პედაგოგად, სადაც იხვეწებოდა მისი პედაგოგიური უნარები და გამოცდილება.

პრესტიჟული სამუსიკო სკოლებიდან სამსახურის შემოთავაზების შემდეგ გადაწყვიტა გარკვეული დროით თურქეთში დარჩენილიყო, სადაც უკვე 15 წელია ცხოვრობს და მოღვაწეობს მის დედაქალაქ ანკარაში.

ამჟამად მუშაობს ბილკენტის უნივერსიტეტის (Bilkent University) მუსიკალური განათლების პროგრამის პედაგოგად. სწორედ ბილკენტში მუშაობას უკავშირდება ქართული მუსიკის პოპულარიზაციისა და პროპაგანდის ის გრანდიოზული პროექტები, რომელთა შესახებაც ამ წერილში უნდა მოგითხროთ. ბილკენტის მოსწავლეებს თამარი ევროპული კლასიკური და თანამედროვე მუსიკის ნიმუშებთან ერთად, ქართულ პროფესიულ მუსიკასაც ასწავლის.

აცნობიერებს რა ეროვნული აღზრდის მნიშვნელობას, თამარს არც თურქული პროფესიული მუსიკა რჩება უყურადღებოდ, რაზეც მეტყველებს 2024 წელს ანკარას ცნობილ „ჭადრაკის მუზეუმში“ გამართული კლასის კონცერტი, რომელზედაც მხოლოდ თურქული მუსიკა შესრულდა. ეს იყო თამარის მიერ მადლიერების გამოხატვა იმ ქვეყნისადმი, რომელმაც მას კარი გაუღო, მზრუნველობა გაუწია და დააფასა მისი პროფესიონალიზმი, პოტენცია და შესაძლებლობები.

თამარი თავს მიიჩნევს მხურვალე პატრიოტად, თვლის, რომ სამშობლოს გარეთ მყოფი ყოველი ადამიანი არის თავისი ქვეყნის ელჩი და მართებს შესაბამისი თავდაჭერა, ქცევა, მეტყველება, ზრდილობა.

დღენიადაგ საქართველოს მონატრებამ და მის მომავალზე ფიქრმა, გულანთებული ქართველი მუსიკოსი ბუნებრივად მიიყვანა გადაწყვეტილებამდე, რომ მისი მოსწავლეების რეპერტუარში ყოველთვის ყოფილიყო ქართული მუსიკა. ამ იდეას თამარი ისე ძალდაუტანებლად და ტაქტით ახორციელებს, რომ არასოდეს შეხვედრია წინააღმდეგობა. პირიქით, მოსწავლეები და მათი მშობლები მის წამოწყებას აღფრთოვანებით შეხვდნენ და სიამოვნებით დაიწყეს თავიანთ რეპერტუარში ქართული მუსიკის შეტანა და მისი პროპაგანდისტები გახდნენ. ეს სათუთი დამოკიდებულება და სიყვარული ქართული მუსიკისადმი, გამოვლენილი მათ კონცერტზე, როგორც ჩანს, იგრძნო კომპოზიტორმა კახა ცაბაძემ, რომელმაც ექსკლუზიურად თამარის მოსწავლეებისათვის შექმნა სახუმარო პიესა რვა ხელისათვის – „სერიოზული“ მარში“, რომლის პრემიერაც შედგა თურქეთში, ბილკენტის კონსერვატორიის შესანიშნავ საკონცერტო დარბაზში 2024 წლის ივნისში.

ქართულ მუსიკას თამარი არა მარტო პედაგოგიურ რეპერტუარში ნერგავდა, თავისი საკონცერტო გამოსვლებითაც ამკვიდრებდა და საბოლოოდ ქართული



თამარ ბარდაველიძე- თორე მოსწავლეებთან ერთად. კასტელნუოვო დი ფარფა, იტალია, 2023

მუსიკის პროპაგანდა და პოპულარიზაცია მისი მოღვაწეობის წამყვან არსად და ძირითად კონცეფციად იქცა.

თამარ ბარდაველიძის ხედვების, მისი მუშაობის გეზისა და მიმართულების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მისმა აღზრდამ.

თამარი ინტელიგენტურ ოჯახში დაიბადა და გაიზარდა. მისი წინაპრები როგორც დედის, ასევე მამის მხრიდან, იყვნენ ექიმები. დედამ, პროფესიით მუსიკოსმა, ბავშვობიდანვე ჩაუნერგა მას ხელოვნების სიყვარული. გარემოებათა გამო, დედა იძულებული იყო პატარა თამარი კონცერტებზე, საოპერო და საბალეტო სპექტაკლებზე, მხატვართა გამოფენებზე და სიმ-




თამარ ბარდაველიძე- თორეს მოსწავლეთა დაჯილდოვება. კუსაცუ, იაპონია, 2024

პოზიუმებსა და კონფერენციებზეც კი სულ თან ეტარებინა. ბავშვი ხშირად იღლებოდა და თავს ხატვით ირთობდა. მის საოჯახო არქივში ინახება თამარის მიერ შესრულებული ამ შთაბეჭდილებების ამსახველი ჩანახატები: „ოთარ ჩუბინიშვილი უკრავს ჩელოზე“, შოსტაკოვიჩის მე-11 სიმფონია და აგრეთვე ცნობილი გერმანელი კლარნეტისტის ედუარდ ბრუნერის, მუსიკოლოგ მზია იაშვილისა და სოლფეჯისტის ჯემალ ოიკაშვილის პორტრეტები.

კლასიკურ რეპერტუართან ერთად თამარი ქართველი კომპოზიტორების მუსიკასაც ისმენდა. მონუსხულივით შეჰყურებდა მზეთუნახავისა და ნაცარქექიას სცენებს მერი დავითაშვილის ოპერიდან „ნაცარქექია“. ხუთი წლისამ კი თელავის მუსიკალური ფესტივალის ყველა კონცერტი მოისმინა.

დედას მიაჩნდა, რომ კლასიკური განათლების მიღებამდე თამარის აღზრდას მყარი ეროვნული საძირკველი უნდა შეჰქმნოდა. ამ მიზნით, მას 3-4 წლის თამარი ქართული ხალხური სიმღერებისა და ცეკვების შემსწავლელ წრეებზე დაჰყავდა. თამარი ხატვასაც ეუფლებოდა, რომლის გაკვეთილებიც ხშირად მუზეუმებში, ქარვასლაში და მსგავს სივრცეებში ტარდებოდა, რაც ბავშვის მხატვრული წარმოსახვის განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა.

როდესაც სასკოლო ასაკს მიაღწია, მისთვის არავითარ სირთულეს არ წარმოადგენდა ნებისმიერი ეპოქის, ქვეყნის, სტილისა და ჟანრის მუსიკის გაგება.

მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მის ჩამოყალიბებაში „ბორჯომის კომპოზიტორთა სახლში“ გატარებულმა ხანგრძლივმა საზაფხულო და ზამთრის არდადეგებმა, რომელიც პროფესიონალ კომპოზიტორთა თავშეყრის ადგილი გახლდათ. აქ ქართველ და უცხოელ კომპოზიტორებს სალონურ წრეში გამოჰქონდათ ახალი ოპუსები, მსჯელობდნენ მათ შესახებ, ერთმანეთს უზიარებდნენ შთაბეჭდილებებს, მუსიცირებდნენ, მღეროდნენ, უკრავდნენ. აქ გაიცნო თამარმა ქართველი კომპოზიტორების უფროსი, საშუალო და ახალი თაობა, რომლებთანაც მომავალში შემოქმედებითი და მეგობრული ურთიერთობები ჩამოუყალიბდა. ამას ადასტურებს თამარის ბიბლიო-თეკაში არსებული მრავალი ნოტი თბილი ავტოგრაფებით.

სტუდენტობის წლებში თამარი აქტიურად იყო ჩართული კონსერვატორიის შემოქმედებით ცხოვრებაში. ტრადიციული მრავალხმიანობის ცენტრის ხელმძღვანელ-მა რუსუდან წურწუმიამ იგი სიმპოზიუმის სამუშაო ჯგუფში გააერთიანა. აქ თამარი უცხოელი მეცნიერების შრომებს ინგლისურიდან ქართულად თარგმნიდა და სიმპოზიუმის მონაწილე სტუმრების სამუშაო გრაფიკში კოორდინირების ხელშეწყობა ევალებოდა.

ამავდროულად, პროფესორი გულბათ ტორაძე თამარს, როგორც აქტიურ მსმენელს, ავალებდა გაზეთ «Вечерный Тбилиси»-სათვის რეცენზიების წერას

და კონცერტებისა და ფესტივალების გაშუქებას.

ყოველივე ამან გარკვეული როლი ითამაშა თამარის მეცნიერულ-კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებაში, რაც მომავალში მის სამეცნიერო კვლევებში აისახა (იხ. ჟურნალი „მუსიკა", №4 (45), 2020 წ. თამარ ბარდაველიძე, „ელიზბარ ლომდარიძის „ძველი თბილისის პანოპრამა" აღმოსავლურ და დასავლურ მუსიკალურ-კულტურული ურთირთობების ჭრილში").

ქართული მუსიკის პროპაგანდის მიმართულებით პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი თამარმა 2019 წელს გადადგა, როდესაც იგი თავის მოსწავლეებთან ერთად პირველად ჩამოვიდა თბილისში კონცერტით „ქართული საფორტეპიანო მინიატურები თურქი მუსიკოსების შესრულებით". კონცერტმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა. კომპოზიტორმა ვაჟა აზარაშვილმა აღნიშნა, რომ ეს იყო პირველი შემთხვევა თურქი მუსიკოსების მიერ ქართული მუსიკის შესრულებისა და ხაზი გაუსვა თამარის ღვაწლს თურქულ-ქართულ მუსიკალურ ურთიერთობათა ჩამოყალიბებაში. კონცერტში ქართველი კომპოზიტორებიც ჩაერთნენ. მადლიერების ნიშნად, ვაჟა აზარაშვილმა, გოგა შავერზაშვილმა და კახა ცაბაძემ თურქი სტუმრებისთვის შეასრულეს საკუთარი ნაწარმოებები, რითაც შემოქმედებითი ენერგიების გაცვლის სრულიად უნიკალური გარემო შეიქმნა.

თამარის პირველი ქართული პროექტი არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ერთი კონცერტით. მას ჰქონდა ფართო საგანმანათლებლო პროფილი, შეიცავდა მასტერკლასებს, მინი-კონცერტებს, მუზეუმების მონახულებას, ლექციას – „მუსიკის ჯადოსნური სამყარო", არქეოლოგიისა და ხატვის გაკვეთილებს, ქართული რეწვის ხელოვნების გაცნობას, თბილისისა და საქართველოს რეგიონების დათვალიერებას (დაწვრილებით იხ. ჟურნალი „მუსიკა", №3 (40), 2019 წ.). პროექტის მხარდამჭერები იყვნენ საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, თურქეთის საელჩო და ჟურნალი „მუსიკა".

ამას მოჰყვა კოვიდ-პანდემიით გამოწვეული მოკლე პაუზა, მაგრამ როგორც კი სამყარომ აღიდგინა ცხოვრების ჩვეული რიტმი, 2022 წლის ზაფხულში თამარი თავის კლასთან ერთად რომთან ახლოს მდებარე იტალიის ქალაქ კასტელნუოვო დი ფარფაში გაემგზავრა, სადაც ცნობილმა ბრიტანელმა მუსი-



პიანისტ აისა იჯირისთან ერთად. კიოტო, იაპონია, 2024

კოსმა, პიანისტმა და კომპოზიტორმა ნიილ დუ ფრიიზმა (Niel du Preez) მიიწვია მის მიერვე დაარსებულ (2021) საერთაშორისო ფესტივალსა და კონკურსზე – ArtePiano, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელადაც იგი გვევლინება. თამარ ბარდაველიძე კასტელნუოვოს კონკურსის ჟიურის წევრადაც აირჩიეს და ამ მოვალეობას დღემდე ასრულებს.

ნიილ დუ ფრიიზი და თამარი, ჯერ კიდევ სტუდენტები, 1999 და 2001 წლებში ერთად მონაწილეობდნენ 24-ე და 26-ე „ინტერნაციონალურ საკონცერტო-სამუშაო კვირეულში" (Internationale Konzertarbeitswochen) გერმანიის ქ. გოსლარში, რომელსაც მსოფლიოში ცნობილი მაესტრო არი ვარ-

დი (Ari Vardi) უძღვებოდა. „გოსლარის კურსებზე“, ზაფხულის არდადეგებზე ახალგაზრდა პერსპექტიული მუსიკოსების მთელი თაობა იყრიდა თავს. დღეს, მათი უმრავლესობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მუსიკალური ცხოვრების ავანგარდს წარმოადგენს.



სტუმრად მაესტრო ვაჟა აზარაშვილთან. თბილისი, 2022 წელი

კასტელნუოვო დი ფარფას კონცერტებზე თამარი და მისი სტუდენტები ქართველი კომპოზიტორების საფორტეპიანო დუეტებით წარდგნენ. შესრულებაში თამართან ერთად მონაწილეობა მიიღო ნიილ დუ ფრიიზმაც. მათი გამოსვლები დაფიქსირდა რტეიანო-სადმი მიძღვნილ ვიდეორგოლებსა და პრესაში. თამარმა მიიღო ექსკლუზიური შეთავაზება თავის კლასთან ერთად საფესტივალო კონცერტებსა და მასტერკლასებში ყოველწლიური მონაწილეობისა.

ArtePiano 2023-ში თამარის კლასი გაფართოებული შემადგენლობით წარდგა და თურქ ბავშვებთან ერთად მისმა ქართველმა მოსწავლემაც მიიღო მონაწილეობა კახეთის რეგიონიდან. ერთ-ერთ კონცერტზე კი, თამარის „არაოფიციალურმა“ მოსწავლემ, მისმა 3 წლის შვილმა – მარიამ თორემ, დედასთან ერთად შეასრულა კომპოზიტორ კახა ცაბაძის მიერ სპეციალურად მისთვის შექმნილი საფორტეპიანო დუეტი – „ჩემს პატარა მარიამს“.

ArtePiano 2024-ში თამარის ჯგუფმა ფესტივალზე ევროპული კლასიკური მუსიკაც გამოიტანა. სიახლე იყო ისიც, რომ ცალკე კონცერტი თამარ ბარდაველიძის მონაწილეობით, მიეძღვნა კომპოზიტორების ოთარ თაქთაქიშვილისა და ვაჟა აზარაშვილის საიუბილეო თარიღებსა და მათ ხსოვნას.

თამარ ბარდაველიძე თავის თურქ მოსწავლეებთან ერთად საქართველოს მეორედ 2022 წელს ეწვია. კონცერტის პროგრამა, რომელიც საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის საკონცერტო დარბაზში გაიმართა, ქართული საანსამბლო მუსიკისა და სოლო ნომრებისაგან შედგებოდა. კონცერტში მონაწილეობა თამარის მხარდასაჭერად ბრიტანეთიდან ჩამოსულმა არტისტმა ნიილ დუ ფრიიზმაც მიიღო, რომელმაც გია ყანჩელის და ვაჟა აზარაშვილის ნაწარმოებები შეასრულა და თამართან 4 ხელშიც დაუკრა.

თამარის ამ ვიზიტს ახალი გულშემატკივრებიც გამოუჩნდნენ – ფესტივალ „ივერია ბრილიანტი“-ს ფონდი და ქართველ და თურქ ბიზნესმენთა ასოციაცია, რომელთაგანაც თამარმა და ნორჩმა მუსიკოსებმა, ამ ორგანიზაციების მფარველობით თურქეთსა და საქართველოში დაგეგმილ კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის შეთავაზება მიიღეს.

არ გვინდა გამოვტოვოთ პროექტის ფარგლებში განხორციელებული სტუმრობა ქართული ხალხური მუსიკისა და საკრავების მუზეუმში, ძველი თბილისის უბანში, სამღებროს ქუჩაზე. აქ მათ გამოჩენილი ქართველი ეთნომუსიკოლოგის, მკვლევარისა და ხალხური ანსამბლის – „მჭელი“-ის სამხატვრო ხელმძღვანელის – ქეთევან ბაიაშვილის უაღრესად საინტერესო ლექცია მოისმინეს და საშუალება მიეცათ მუზეუმში დაცულ უძველეს ისტორიულ როიალზე, რომელზედაც ტარდებოდა ფორტეპიანოს პირველი გაკვეთილები თბილისში, შეესრულებინათ ქართული რეპერტუარი.

2023 წლის თებერვალში თამარი და მისი მოსწავლეები მიიწვიეს ლონდონის პრესტიჟულ სამეფო კოლეჯსა (King's College School) და წმ. პავლეს საკათედრო სკოლაში (St. Paul's Cathedral School). ამ სკოლების უაღრესად მკაცრი წესების, შინაგანაწესისა და რეგულაციების მიუხედავად, ლონდონელი პედაგოგები სიამოვნებით დათანხმდნენ თამარის მიერ შეთავაზებულ კოლაბორაციას, რადგანაც გააზრებული

ჰქონდათ, თუ რა სარგებლობის მოტანა შეეძლო ამგვარ კავშირებსა და კონტაქტებს ნორჩი მუსიკო-სებისათვის და აქტიურად ჩაერთვნენ ინტენსიური მასტერკლასების რეჟიმში.

პროექტის მონაწილე ახალგაზრდებს საშუალება მიეცათ მოესინჯათ მსოფლიოში აღიარებული ინსტრუმენტები – Steinway & Sons Model D Concert Grand, Shigeru Kawai, Bösendorfer Grand, Steinway Spirio|R და დაეკრათ ისეთ დარბაზებში, როგორიცაა Steinway Hall London, 1901 Arts Club, Coach House, King's College School London The Andrew Halls Concert Hall.

2024 წელს ლონდონთან კონტაქტები კიდევ უფრო გაღრმავდა. თამარისა და მისი ჯგუფის კონცერტებს დაესწრნენ ლონდონში მცხოვრები ქართველი მუსიკოსებიც.

სურათის მკაფიოდ წარმოჩენისათვის ამას დავუმატოთ სამეფო ოპერისა და ბალეტის თეატრის (Royal opera and ballet in Covent Garden) სპექტაკლებზე დასწრება, ვიზიტები მისი უდიდებულესობის თეატრში (His Majesty's Theatre), მუზეუმების (National History Museum) და გრინვიჩის სამეფო ობსერვატორიის (Royal Observatory Greenwich) დათვალიერება.

2023 წელს კახა ცაბაძის ინიციატივით თამარ ბარდაველიძე თავის სტუდენტებთან ერთად წყალტუბოს მერიის მიერ ორგანიზებულ შემოდგომის ზეიმზე – „წყალტუ-ბობის" ფესტივალზე მიიწვიეს, რომელშიც თბილისიდან ჩასული ცნობილი არტისტებიც მონაწილეობდნენ. სტანდარტულ პროგრამებთან ერთად, არ შეიძლება არ გამოვყოთ კონცერტი უნიკალურ გარემოში – „თეთრა მღვიმე"-ში. „წყალტუბობის" ფესტივალზე თამარის ოთხმა მოსწავლემ შეასრულა კომპოზიტორის მიერ ექსკლუზიურად მათთვის შექმნილი საფორტეპიანო თხზულება „სერიოზული" მარში", რომელიც ზემოთ ვახსენეთ და რომლის შექმნის ინსპირაციად იქცა თურქი მოსწავლეების მიერ გამოვლენილი ქართული მუსიკის სიყვარული. ეს პიკანტური, 8 ხელისთვის დაწერილი თხზულება იუმორისტული მარშია. ნაწარმოებს ერთგვარი „თამაშის" ელფერი დაჰკრავს და როიალზე დაკვრის არასტანდარტული



მაესტრო არი ვარდისთან ერთად. გოსლარი, გერმანია, 2021

ხერხებიცაა გამოყენებული. თამარმა კომიკური ელემენტი ვიზუალური ეფექტითაც გააღრმავა: ეპოლეტები სამოსზე, ფეხის ბაკუნით ხაზგასმით მარშისებური გასვლა სცენიდან. წყალტუბოელი მსმენელი აღტაცებით შეხვდა ამ პიესის ქართულ პრემიერას. სცენიდან გაჟღერდა თამარისა და მისი კლასის მომავალ „წყალტუბობაზე" მიწვევის შეთავაზება.

2023 წელი გერმანული პროექტით დასრულდა, რომელიც გამოჩენილ ქართველ პიანისტთან – დუდანა მაზმანიშვილთან თანამშრომლობით მომზადდა.

დუდანა მაზმანიშვილი საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი, ბეხშტაინის არტისტი, თბილისის საერთაშორისო ფესტივალის თბილისი Piano Fest-ის დამაარსებელი და დიპლომატია.

პროექტმა ორი ქალაქი – ბერლინი და პოტსდამი მოიცვა. პროექტს მხარი დაუჭირა ბრანდენბურგის ქართულმა საზოგადოებამ (Brandenburgisch-Georgische Gesellschaft) და ბეხშტაინის ფონდმა. თურქმა სტუმრებმა დაათვალიერეს ბეხშტაინის ფონდის მუზე-უმი, სადაც ინახება მილიონობით ევროს ღირებულების უნიკალური ინსტრუმენტები, ფორტეპიანოს

წინამორბედი კლავიშიანი საკრავები და ისტორიული როიალები, რომელზედაც უკრავდნენ მოცარტი, ლისტი და სხვა დიდი არტისტები.

ნორჩ მუსიკოსებს გაკვეთილები ჩაუტარეს ცნობილმა გერმანელმა მუსიკოლოგმა, დოქტორმა ელმარ ლინდემანმა (Dr. Elmar Lindemann), ფრანგმა პიანისტმა ფრანსუა ლამბრემ (François Lambret) და დუდანა მაზმანიშვილმა.



?

ახალგაზრდები დაესწრნენ საოპერო და საბალეტო სპექტაკლებს Deutsche Opera-სა და Komische Opera-ში.

2024 წელს თამარის შემოქმედებითი პროექტების გეოგრაფიული რუკა ფართოვ-დება. თამარსა და მის ჯგუფს ევროპასთან ერთად, აღმოსავლეთის ქვეყნებიც უღებენ კარს.

პროექტი გამოჩენილ იაპონელ მუსიკოსთან და პიანისტთან აისა იჯირისთან (Aisa Ijiri) ერთად დაიგეგმა. „საფორტეპიანო ბანაკი ბანაკში“ (Piano Camp Japan) – ასე უწოდა იჯირიმ პროექტს, რომლის ხორცშესხმაზეც დიდხანს ოცნებობდა და რომელიც თამარისა და მისი ჯგუფის მონაწილეობით განხორციელდა.

აისა იჯირი სტეინვეის არტისტი, ტოკიოს საერთაშორისო საფორტეპიანო ასოციაციის (Tokyo International Piano Association – TIPA) და იტალიაში მონტეკატინის საფორტეპიანო ფესტივალის (Montecatini Piano Festival) დამაარსებელია. პროექტები ტოკიოსა და კიოტოში მიმდინარეობდა. კონცერტები მაღალი კლასის საკონცერტო დარბაზებში (Steinway&Sons Tokyo, Crea Hall Kusatsu) შესრულების მყისიერი ჩაწერისა და მოსმენის საშუალებას იძლეოდა, რაც თურქი მუსიკოსებისათვის სრულიად ახალი გამოცდილება იყო.

კონცერტებში სოლო და საანსამბლო ნომრებით აისა იჯირი და თამარ ბარდაველიძეც მონაწილეობდნენ. თამარისა და მისი ჯგუფის რეპერტუარი თანამედროვე იაპონელი კომპოზიტორების ნაწარმოებებით, ხოლო აისა იჯირისა – ქართული მუსიკით გამდიდრდა.

პროექტი ფართო საგანმანათლებლო მასშტაბითაც გამოირჩა. მასში შედიოდა ჩაის დაყენებისა და კიმონოთი შემოსვის ცერემონიალი, გეიშების სპექტაკლზე დასწრება, რომელიც წელიწადში მხოლოდ ერთხელ, „საკურას ყვავილობის“ ჟამზე იმართება, აგრეთვე იაპონური კალიგრაფიის მასტერკლასი, რომლის შემდეგაც ცნობილმა 100 წლის კალიგრაფისტმა ქალბატონმა სუმიკო ტაკეიმ პროექტის მონაწილეებს მათი სახელების კალიგრაფიულად შესრულებული ნიმუშები უსახსოვრა.

2024 წელს ჩინეთში გამგზავრება თამარის წარჩინებული მოსწავლის ტიანჯინ ჯულიარდის სკოლის საფორტეპიანო ფესტივალში (Tianjin Juilliard Piano Festival) მონაწილეობას უკავშირდება, რისი უფლებაც ახალგაზრდა მუსიკოსმა წინასწარი შერჩევის საფუძველზე მოიპოვა.

ფესტივალის მონაწილეებს ეძლევათ უნიკალური შესაძლებლობა მათ რეპერტუარში არსებული საფორტეპიანო კონცერტის ორკესტრთან ერთად შესრულების.

ფესტივალის დამაარსებლები არიან იოჰევედ კაპლინსკი (Yoheved Kaplinsky) – ნიუ-იორკის ჯულიარდის სკოლის პროფესორი და ჩინელი პიანისტი, დირიჟორი და კომპოზიტორი ქსიაოჰან ვანგი (Xiaohan Wang) – ტიანჯინ ჯულიარდის სკოლის პროფესორი

და საფორტეპიანო კათედრის გამგე, სინგაპურის საერთაშორისო საფორტეპიანო კონკურსის (Singapore International Piano Competition) სამხატვრო ხელმძღვანელი.

მასტერკლასებს ატარებდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული არტისტები: გერმანელი პიანისტი იან ფონ არნიმი (Jan Jiracek von Arnim) – ვენაში ბეთჰოვენის საერთაშორისო საფორტეპიანო კონკურსის სამხატვრო ხელმძღვანელი, პროფესორი დანვენ ვეი (Prof. Danwen Wei) – პეკინის ცენტრალური მუსიკის კონსერვატორიის (ჩენტრალ ჩონსერვატორყ ოფ უსიც, ჩჰინა) საფორტეპიანო კათედრის გამგე, ფრანგი პიანისტი და დირიჟორი მიშელ ბეროფი (Michel Béroff), ბრიტანელი პიანისტი და პედაგოგი რონან ო'ჰორა (Ronan O'Hora) – გილდჰოლის მუსიკისა და დრამის სკოლის (Guildhall Scholl of Music and Drama) საფორტეპიანო კათედრის გამგე და სხვები.

ფესტივალში მონაწილეობით თამარმა და მისმა მოსწავლემ უდიდესი გამოცდილე-ბა შეიძინეს და მცირე თავისუფალი დროის მიუხედავად პეკინის ღირსშესანიშნაობებსაც გაეცნენ.

2022-2024 წლებში თამარმა უცხოეთში ათზე მეტი პროექტი განახორციელა, რაც დამეთანხმებით, მუხლჩაუხრელ შრომას მოითხოვს.

თამარის შემოქმედებითი საქმიანობის გრაფიკი უახლოეს ორ წელიწადზე უკვე გაწერილია. იგი გეგმავს თავისი პროფესიულ-საგანმანათლებლო პროექტების გაფართოებას და ევროპისა და აზიის ახალ ქვეყნებში და ამერიკაში გატანას. ჩაფიქრებული აქვს ქართული მუსიკის კონცერტის ორგანიზება ცნობილი არტისტების მონაწილეობით ერთ-ერთ პრესტიჟულ ევროპულ ფესტივალზე, ჩართულია რამდენიმე ქვეყნის კონკურსის ჟიურის მუშაობაში.

2025 წლის დასაწყისში, იგი თავისი სტუდენტებით მეოთხედ ეწვევა საქართველოს. მის მხარდასაჭერად ჩამოვა ბრიტანეთიდან ნიილ დუ ფრიიზიც, რომელიც, თამარსა და მის ჯგუფთან ერთად მონაწილეობას მიიღებს კომპოზიტორ კახა ცაბაძის 65 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო კონცერტში, რომელზედაც შესრულდება ავტორის საფორტეპიანო კონცერტები და პიესები კამერულ ორკესტრთან ერთად.

თამარი ოცნებობს ანკარაში ქართული მეცნიერების, ხელოვნებისა და კულტურის ცენტრის დაარსებაზე, რომელიც მრავალმხრივი პროფილის წყალობით უნდა იქცეს საქართველოს მიღწევებისა და ქართულ ღირებულებათა წარმოჩენისა და გავრცელება-განვითარების მძლავრ კერად. ამის განხორციელება ერთი ადამიანის ძალისხმევით, ცხადია, შეუძლებელია. მაგ-



დედასთან, მუსიკოლოგ ლალი კაკულიასთან ერთად, ანკარა

რამ, არა თამარისათვის, მას უნარი შესწევს სრულიად „გიჟური“ იდეები რეალობად აქციოს.

აკადემიური განათლება, მდიდარი წარმოსახვა, კრეატიული ხედვები, ორგანიზა-ტორული ნიჭი და დისციპლინა, შრომისუნარიანობა, შერწყმული „თხის რქულ“ სიბეჯითესთან და პუნქტუალობასთან, მომთხოვნელობა საკუთარი თავისა და გარშემო მყოფთა მიმართ, მჩქეფარე ენერგია, სავსე პოზიტიური ვიბრაციებით, ენების ცოდნა, საოცარი კონტაქტურობა – ეს ის თვისებებია, რომელთა წყალობითაც თამარის ზემოთ მოთხრობილი პროექტები განხორციელდა. ეს თვისებები გვესახება მომავალშიც თამარ ბარდაველიძე-თორეს პროფესიული და სულიერი ზრდის გარანტიად.

# დირიჟორი მიხეილ მენაბდე

მიხეილ მენაბდემ მუსიკის მოყვარული ქართული საზოგადოების ყურადღება პირველად, როგორც ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასის ახალგაზრდა სოლისტმა მიიპყრო. წლების შემდეგ კი, როცა ცნობილი ბალეტის მოცეკვავე და უკვე დიპლომირებული ბალეტმეისტერი გახდა, მისი ნიჭი, შემოქმედებითი ინტერესი, მისწრაფებები ბალეტიდან კლასიკური მუსიკისკენ გადაიხარა და 2014 წელს, სამშობლოში პირველად ფილარმონიის სიმფონიურ ორკესტრის კონცერტზე ქართველი მსმენელის წინაშე პულტთან უკვე დირიჟორი მიხეილ მენაბდე იდგა.



მიხეილ მენაბდე

მართლაც საინტრესეო, უჩვეულო შემოქმედებითი ბიოგრაფია აქვს მიხეილ მენაბდეს — ბალეტის მოცეკვავე და ბალეტმაისტერი, დირიჟორი, საერთაშორისო მუსიკალური პროექტების მენეჯერი.

პროფესიული განათლება მიიღო ვ. ჭაბუკიანის სახელობის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში (1998 წლის გამოშვება. პედ.: ზ. ამონაშვილი). 1997 წლიდან თითქმის 10 წელი იყო ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასის სოლისტი.

2004 წელს მიხეილ მენაბდემ დაამთავრა თბილისის კინოსა და თეატრის უნივერსიტეტის დრამის ფაკულტეტი (პროფესორ გოგი ალექსიძის სახელოსნო) ბალეტის რეჟისორის, ბალეტმაისტერის სპეციალობით. იმ დროს, როცა საბალეტო დასის ერთ-ერთ ნიჭიერ სოლისტად ითვლებოდა, ქმნიდა ქორეოგრაფიულ მინიატურებს, დრამატული თეატრის ქორეოგრაფიაშიც მოსინჯა ძალები, პროფესიის შეცვლა გადაწყვიტა. ამ ამბავს თავად ასე მოგვითხრობს: „ჩემმა ბედმა ასე მოისურვა, რომ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასის მსახიობმა, ყველასათვის მოულოდნელად, გადავწყვიტე სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი გავმხდარიყავი... თუმცა ჩემთვის ეს მოულოდნელი კი არა, დიდი ხნის ოცნება იყო, მეგონა — აუხდენელი, ვიდრე კინოსა და თეატრის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბალეტის რეჟისურის სპეციალობაზე სწავლისას არ შევხვდი ქალბატონ ნანა ღორიას, არაჩვეულებრივ პედაგოგს, რომელმაც კლასიკური მუსიკისადმი სიყვარული კიდევ უფრო გამიღვივა და რაც მთავარია, დამარწმუნა, რომ მე ამას შევძლებდი... მოგვიანებით, კონკრეტული არჩევანის გაკეთებაში, ასევე ჩემი მასწავლებელი და უფროსი მეგობარი გურამ მელივა დამეხმარა... ერთხელ ოპერაში გია ყანჩელის მუსიკაზე ბალეტს დგამდა გოგი ალექსიძე. რეპეტიციას ბატონი გია ყანჩელი ესწრებოდა. ორივემ იცოდა ჩემი სურვილის შესახებ. ბატონი გურამი შეეკითხა ბატონ გიას: „რა ვუყოთ ამ გადარეულსო?“ მან კი მე მითხრა: „თუ ამაზე სერიოზულად ფიქრობ, მხოლოდ რომა კოფმანთან უნდა წახვიდე კიევშიო“... ასე აღმოვჩნდი დიდი მაესტროს მოწაფეთა შორის კიევის პ. ჩაიკოვსკის სახელობის მუსიკალურ აკადემიაში“.

მიხეილ მენაბდემ მუსიკალური აკადემია 2011 წელს დაამთავრა მაგისტრის ხარისხით. იყო უკრაინის ეროვნული ფილარმონიის აკადემიური სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორის თანაშემწე. 2014 წელს კიევში დააარსა ახალგაზრდა ლაურეატ მუსიკოსთა კამერული ორკესტრი “Armonia Ludus” რომელსაც თავად ხელმძღვანელობს. ორკესტრი რეგულარულად მონაწილეობს თანამედროვე მუსიკის საეთაშორიო ფესტივალებში და ავანგარდული მუსიკის პროექტებში.

2017 წლიდან ცხოვრობს და მოღვაწეობს ავსტრიაში. დაამთავრა ვენის მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების უნივერსიტეტის (MDW) ასპირანტურის კურსი სიმფონიური დირიჟორობის განხრით. არის კულტურული ასოციაცია CosmoKultur (www.cosmokultur.

com) თანადამფუძნებელი და მუსიკალური პროექტების მენეჯერი. რვა წელზე მეტია ეწევა თანამედროვე აკადემიურ მუსიკისა და ხელოვნების პოპულარიზაციას ევროპაში. ხელმძღვანელობს არაერთ თანამედროვე მუსიკის საერთაშორისო პროექტს შვეიცარიაში, ავსტრიაში და უკრაინაში. ყველაზე ამბიციური ინიციატივა იყო პროექტი IM SPIEGEL (სარკეში), რომლის ფარგლებში 2022 წელს ჩატარდა კონცერტების სერია შვეიცარიაში, ქ. სენტ-გალენში, რომელიც მიეძღვნა წამყვანი თანამედროვე კომპოზიტორების — ვალენტინ სილვესტროვის (უკრაინა) და ალფონს კარლ ცვიკერის (შვეიცარია) იუბილეებს. პროექტმა მედიის უზარმაზარი გამოხმაურება: მრავალი სტატია წამყვან შვეიცარიულ გაზეთებში, პირდაპირი ტრანსლაცია SRF რადიოზე.

უკრაინაში რუსეთის ფედერაციის ფართომასშტაბიანი შემოჭრის შემდეგ, მიხეილ მენაბდემ შემოიკრიბა ქვეყნიდან ევროპას თავშეფარებული უკრაინელი მუსიკოსები და კვლავ შვეიცარიის ქალაქ სენტ-გალენში, პირველი კლასის შვეიცარიელი და უკრაინელი მუსიკოსებისგან შემდგარ კამერულ ორკესტრთან Sinfonietta Sankt Gallen ჩაატარა კონცერტი, სადაც შესრულდა ახალი თაობის გამოჩენილი უკრაინელი კომპოზიტორების: მაქსიმ შალიგინის, ვიქტორია პოლევას და სვიატოსლავ ლუნიოვის ნაწარმოებები. პირველმა სამმა კონცერტმა შვეიცარიის საზოგადოებაში დიდი ინტერესი გამოიწვია.

დღეს ასოციაცია CosmoKultur აგრძელებს ევროპელი აუდიტორიის შთაგონებას ახალი სახელების აღმოჩენით და თანამედროვე მუსიკის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილის დემონსტრირებით. მიხეილი დარწმუნებულია, რომ CosmoKultur-ის შემდგომი პროექტები უკრაინული ხელოვნების მეშვეობით უმაღლეს დონეზე წარმოაჩენს დამოუკიდებელი უკრაინის იმიჯს და კულტურას ევროპაში.

მიხეილ მენაბდეს შემოქმედების ბიოგრაფიას წელს შეემატა მნიშვნელოვანი მოვლენა, მან ნიდერლანდებში, ამსტერდამის საკონცერტო დარბაზში იდირიჟორა ნიდერლანდებში მოღვაწე უკრაინელი კომპოზიტორის მაქსიმ შალიგინის კამერული ოპერა „ამანდანტე".

მიხეილ მენაბდე არის კიევის ფილარმონიის ეროვნული აკადემიური სიმფონიური ორკესტრის და ევგენი მიქელაძის სახ. თბილისის ფილარმონიის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მიწვეული დირიჟორი.

უკრაინას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მიხეილის ცხოვრებაში. აქ აიხდინა მან ოცნება და დაეუფლა სიმფონიური ორკესტრის დირიჟორის პროფესიას, შექმნა ოჯახი, გაიჩინა უამრავი მეგობარი და თაყვანისმცემელი. მას კარგად იცნობენ ამ ქვეყანაში, პატივს სცემენ და უყვართ. მისი კონცერტები მსმენლებით სავსე დარბაზში ტარდება. მდიდარია მისი რეპერტუარიც, სადაც დიდი ადგილი უკავია თანამედროვე კლასიკურ მუსიკას, მათ შორის ქართველ და უკრაინელ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს.

„ათი წელი უკრაინაში ალბათ ყველაზე ნათელი წლებია ჩემს ცხოვრებაში: სწავლა, ოჯახი, მეგობრები, ფილარმონია, უბრალოდ ხალხი, კიევი... ეს ყველაფერი სამუდამოდ რჩება ჩემს გულში, სადაც არ უნდა ვიყო." – ამბობს მიხეილი.

უკრაინული პრესა, მედია ყოველთვის დიდი ინტერესით აშუქებდა მიხეილის ყველა კონცერტს კიევის ფილარმონიის თუ სხვა საკონცერტო დარბაზებში. ეს ინტერესი განსაკუთრებულია ბოლო წლებში, როცა უკრაინელი ხალხი განსაცდელშია და განსაკუთრებით სენსიტიულია მათ მიმართ გამოვლენილი თანადგომისა და დახმარების აქტებისადმი. მიხეილმა კი საომარი მოქმედებების პერიოდში ათი კონცერტი ჩაატარა კიევში, გაახარა და გაამხნევა თავისი კოლეგები და მსმენელი. 2024 წელს, დიდი კინორეჟისორის, სერგო ფარაჯანოვის 100 წლის საიუბილეო თარიღს მიხეილმა ორი კონცერტი მიუძღვნა. მესამე, ფინალური კონცერტი, სწორედ ამ სტატიის დაწერის დღეებში ჩატარდება კიევის ფილარმონიის აკადემიურ სიმფონიურ ორკესტრთან ერთად.

დაბოლოს, ცოტა რამ მიხეილის პირადი ცხოვრებიდან. მისი მეუღლე უკრაინაში და ახლა უკვე ავსტრიაშიც ცნობილი მევიოლინეა, მათი ვაჟი 10 წლის ნიკოლოზიც მამის კვალს აგრძელებს და მუსიკით სერიოზულადაა გატაცებული. პატარა ნიკომ უკვე გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია: ვენის მუსიკალური სკოლების მოსწავლეთა კონკურსებზე თავის ასაკობრივ ჯგუფში მესამე წელია პირველ ადგილს იკავებს ორ ინსტრუმენტზე — ფორტეპიანოსა და ვიოლინოზე, წელს კი ავსტრიაში პოპულარული ბავშვთა მუსიკალური კონკურსის — „ოქროს ნოტა" ფინალისტი გახდა.

გთავაზობთ ამონარიდებს უკრაინული მედიიდან, სადაც სწორედ მიხეილ მენაბდეს უკრაინაში ბოლოდროინდელ გასტროლებს ეხმაურება:

## მუსიკალური რეცენზენტი ნატალკა პისანკა: 2023 წლის 14 მარტი

***„უკრაინული და ქართული გული ერთად ძგერს!" (დირიჟორ მიხეილ მენაბდეს კონცერტი კიევში)***

„არ გაჩერდე, გააგრძელე. დღესაც ყველამ უნდა აკეთოს ის, რასაც საუკეთესოდ აკეთებს. მუსიკოსებმა უნდა დაუკრან!... მუსიკა არ შეიძლება იყოს სულ ტრაგიკული, მუსიკა იმედისმომცემი უნდა იყოს", — ამბობს მიხეილი.

დირიჟორი მიხეილ მენაბდე ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვან უცხოელ მუსიკოსებს შორის, რომლებიც ფართომასშტაბიანი შემოჭრის დროს უკრაინაში გასტროლებზე ჩავიდა. მიხეილის ჩამოსვლის დროს კიევში დაძაბული ვითარება იყო. მუდმივი საჰაერო განგაშის სიგნალიზაცია, მუსიკოსებს უწევთ რეპეტიციების შეწყვეტა და ფილარმონიის თავშესაფარში ჩასვლა. კონცერტის წინა დღეს, 9 მარტის ღამეს უკრაინამ განიცადა მორიგი მასიური დაბომბვა და თითქმის ყველაზე გრძელი საჰაერო განგაში. მაგრამ კონცერტზე დარბაზი სავსე იყო.

საქართველოშიც არაა სიმშვიდე. სწორედ ჩვენი ინტერვიუს დროს იმართებოდა მასიური საპროტესტო აქციები თბილისის ქუჩებში — ქართველები აღშფოთებულები არიან „აგენტების შესახებ" კანონით. მიხეილთან საუბარში პოლიტიკურ თემას ვეხებით:

„თუ ახლა საქართველოში არ არის სროლა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იქ ომი არ არის, ქვეყნის 20% ოკუპირებულია რუსეთის მიერ 90-იანი წლებიდან. ჩვენ კარგად ვიცით რა არის ეს. უკრაინა ახლა უკომპრომისოა ამ ბრძოლაში. მთავარია არ გავჩერდეთ, მინდა მხარი დავუჭირო ჩემს თანამემამულე მუსიკოსებს, რადგან ვიცი, ისინიც პროტესტანტების რიგებში არიან. მინდა მათ გვერდით ვიყო ამ პროცესში"

მახსოვს მიხეილის სიტყვები მუსიკაში იმედის შესახებ. პირადად მე იმედი მაქვს, რომ უკრაინულ მუსიკას უკრაინელი მუსიკოსები წარმატებით შეასრულებენ მსოფლიოს საკონცერტო დარბაზებში. მსოფლიო გაიცნობსა თანამედროვე უკრაინული მუსიკის მრავალფეროვნებას და მისი შესრულების თავისებურებებს — აი, რისი სჯერათ უკრაინელ მუსიკოსებს მიხეილ მენაბდეს მიმართვის შემდეგ: „არ გაჩერდე, გააგრძელე. დღესაც ყველამ უნდა აკეთოს ის, რასაც საუკეთესოდ აკეთებს. მუსიკოსებმა უნდა დაუკრან!"

ეროვნულ ფილარმონიაში კონცერტის — „წვეთ-წვეთობით" პროგრამა დირიჟორმა მიხეილ მენაბდემ აქტუალური თემის ხაზგასასმელად შეადგინა." ყველა ნაწარმოებს აერთიანებს რიტუალიზმი და ჟანრული მინიმალიზმი. ერთი მხრივ, ჩვენ არ ვართ გართობაზე, მაგრამ მეორე მხრივ, მუსიკა არ შეიძლება იყოს სულ ტრაგიკული, მუსიკა იმედი მომცემი უნდა იყოს", – ამბობს მიხეილი.

## ოლესია ნაიდიუკი, მუსიკათმცოდნე: 2022 წლის 17 სექტემბერი

— *მიხეილ მენაბდე:* „დღეს არ შეიძლება კონცერტების გამართვა მხოლოდ საგანმანათლებლო ან ესთეტიკური მიზნით. მათ უნდა ჩაგვისახონ იმედი. არც მე შემიძლია განზე დგომა, ვაკეთებ იმას, რისი გაკეთებაც ყველაზე კარგად შემიძლია".

მიუხედავად იმისა, რომ ომის გამო უკრაინაში გასტროლების უმეტესობა გაუქმდა ან გადაიდო, ქართველი დირიჟორის, მიხეილ მენაბდეს გამოსვლა უკრაინის ეროვნულ ფილარმონიაში გაიმართება. 23 სექტემბერს ის კონცერტს გამართავს ფილარმონიის სიმფონიურ ორკესტრთან. მენაბდეს ამჟამინდელი ჩამოსვლა, უპირველეს ყოვლისა, უკრაინელების სულისკვეთების მორალური მხარდაჭერაა. კიევში ჩამოსვლის წინა დღეს მუსიკოსმა ისაუბრა ომის აღქმაზე, ომის წინა და დღევანდელი უკრაინის იმიჯზე, ოკუპირებულ მარიუპოლში ნათესავების პოვნის გამოცდილებაზე, საქართველოში უკრაინული კულტურისადმი ამჟამინდელ ინტერესზე.

***— ომის დროს რამ გიბიძგათ უკრაინაში ჩამოსვლისკენ?***

— „ბევრი ჩემი კოლეგა და მეგობარია აქაა და ჩემს მოვალეობად მიმაჩნია მათი მხარდაჭერა ამ საშინელ ომში. არ მინდა ჩემი მოსვლა რაღაც გმირობად აღიქმებოდეს, ამას ხაზს ნუ უსვამთ. გმირები სანგრებში არიან. მე კი უბრალოდ თქვენთან ჩოსვლა მინდოდა, რადგან




სხვანაირად არ შემეძლო.

***— თითქმის ათი წელი ცხოვრობდით კიევში. როგორ შეიცვალა თქვენი წარმოდგენა უკრაინაზე ავსტრიაში გადასვლის შემდეგ?***

— როდესაც მეიდანი მოხდა, აღფრთოვანებული ვიყავი უკრაინელების გამბედაობით და ნებისყოფით. როგორც ყველა ჩემი მეგობარი, მეც ვიყავი თავისუფლებისთვის ბრძოლის ეპიცენტრში, შეძლებისდაგვარად ვეხმარებოდი, ვცდილობდი გამომეყენებინა. მერე დეჟა ვუს განცდაც დამეუფლა. ბოლოს და ბოლოს, როცა 2003 წელს საქართველოში ვარდების რევოლუცია მოხდა, მე ჯერ კიდევ თბილისში ვცხოვრობდი. რა თქმა უნდა, ყველა მოვლენის მოწმე და მონაწილე ვიყავი, თავიდან გამარჯვებამდე.

ეს ათი წელი უკრაინაში ალბათ ყველაზე ნათელი წლებია ჩემს ცხოვრებაში: სწავლა, ოჯახი, მეგობრები, ფილარმონია, უბრალოდ ხალხი, კიევი... ეს ყველაფერი სამუდამოდ რჩება ჩემს გულში, სადაც არ უნდა ვიყო.

ამჟამად ევროპაში უკრაინული კულტურისადმი ინტერესის ზრდას ვხედავთ, აქ ბევრი პროექტი მიმდინარეობს, განსაკუთრებით მუსიკალური. არის ასეთი ტენდენცია საქართველოში?

დიახ, რა თქმა უნდა! მიუხედავად საქართველოს ხელისუფლების უმოქმედობისა (უბრალოდ სირცხვილია, და არა ხელისუფლება!), რომელიც ყველანაირად ცდილობს დაიკავოს „ნეიტრალური“ პოზიცია, და არა მკაცრი განცხადებები რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ, საქართველოს რიგითი მოქალაქეები, რა თქმა უნდა, დავრჩით უკრაინელ ხალხთან ერთად! უკრაინელებთან ერთად ბრძოლის ველზე იბრძვიან მოხალისეები იარაღით ხელში; ხელოვანები ეხმარებიან კოლეგებს, ემიგრანტებს უკრაინიდან, უკრავენ ერთობლივ კონცერტებს უკრაინის მხარდასაჭერად, მართავენ გამოფენებს, სხვადასხვა ღონისძიებებს, უნაწილებენ ჭერს. ყველა აკეთებს იმას, რაც შეუძლია, უკრაინელი ხალხის დიდი სიყვარულით და პატივისცემით.

არც მე შემიძლია განზე დგომა, ვაკეთებ იმას, რასაც ყველაზე კარგად ვაკეთებ, ასე მეჩვენება — ეს არის მორალის შენარჩუნება. ახლა ძალიან მნიშვნელოვანია უკრაინელებისთვის იცოდნენ, რომ სხვა ქვეყნების მოქალაქეები მზად არიან გვერდში დაუდგნენ მათ საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. იყო დრო, როცა უკრაინელები ასე უკეთებდნენ ქართველებს. ასე იყო, ასეა და ასე იქნება ყოველთვის!

თუ შეადარებთ თქვენს პირად იმიჯს ომამდელ და ამჟამინდელ უკრაინაზე, რა შეიცვალა ძირეულად?

მეჩვენება, რომ მთავარი, რაც ახლა მოხდა, არის ის, რომ უკრაინა უკომპრომისო გახდა თავისუფლებისთვის ბრძოლაში. უკრაინა დღეს არის მაგალითი მთელი ცივილიზებული სამყაროსთვის, მოდელი იმისა, თუ როგორ უნდა ებრძოლოთ ბოროტებას: ადამიანური ღირებულებებისთვის, სამშობლოსთვის, საკუთარი სახლისთვის. და რაც მთავარია: უკრაინა დღეს მაშველი რგოლია დანარჩენი მსოფლიოსთვის. უკრაინა არის ევროპის ფარი



ნიკო მენაბდე

საშინელი, დამანგრეველი ბნელი ძალის წინააღმდეგ, რომელსაც „რუსეთი“ ჰქვია. ამ ომში უკრაინელებმა სიცოცხლე შესწირეს არა მხოლოდ თავიანთი ქვეყნის, არამედ ევროპის ყველა მოქალაქის სიცოცხლეს.

ვალენტინა კულიკი, მუსიკალური მიმომხილველი
2023 წლის 25 ოქტომბერი

*„მენაბდე, საიენკო და კიევის კამერული ორკესტრი“*

„მენაბდეს ამჟამინდელი გამოსვლა კიევში ასევე აღიქმება, როგორც უკრაინელების მორალური მხარდაჭერის ჟესტი.მიხეილ მენაბდეს თქმით, ამ კონცერტის შემოქმედებითი იმპულსი იყო ამ სეზონში აკორდეონისა და კამერული ორკესტრისთვის ერთობლივად შესრულებინა გია ყანჩელის ნაწარმოები კაპოტე (ბერძნულიდან — „ერთხელ“).

„რა თქმა უნდა, აღფრთოვანებული ვიყავი იმით, რომ მომეცა შესაძლებლობა ისევ ჩავსულიყავი კიევში და გამოვსულიყავი ფილარმონიის სცენაზე ჩემს საყვარელ კიევის კამერულ ორკესტრთან ერთად. ბოლოს და ბოლოს, სწორედ ეროვნული ფილარმონიის კედლებში გადავდგი პირველი ნაბიჯები დირიჟორად — ფილარმონიის სიმფონიურ და კამერულ ორკესტრებთან ერთად. ყანჩელის გარდა, შესრულდება კიდევ ერთი ცნობილი ქართველი კომპოზიტორის, სულხან ნასიძის მესამე კამერული სიმფონია. ლატვიელი კომპოზიტორის პეტერის ვასკის „დოლოროსა“ და უკრაინელი კომპოზიტორის მაქსიმ შალიგინის პიესა „ანგელოზი“, რომელიც გია ყანჩელის ხსოვნას ეძღვნება. ამჯერად „ანგელოზი“ აკორდეონისა და სიმების ვერსიით შესრულდება. კომპოზიტორმა სპეციალურად ამ კონცერტისთვის, მიხეილ მენაბდის თხოვნით შექმნა ნაწარმოების ახალი ვერსია. იმედი მაქვს, გადაცემა საინტერესო იქნება კამერული მუსიკის მოყვარულთათვის. მშვიდი ცა ყველა კიეველს და გნახავთ კონცერტზე!“

და ბოლოს, ცოტა რამ მიხეილის პირადი ცხოვრებიდან. მისი მეუღლე უკრაინაში და ახლა უკვე ავსტრიაშიც ცნობილი მევიოლინეა, მათი ვაჟი 10 წლის ნიკოლოზიც მუსიკით სერიოზულადაა გატაცებული და გარკვეულ წარმატებებსაც აღწევს.

ნიკოლოზ მენაბდე ავსტრიაში, ვენის გარეუბანში, ქალაქ კლოსტერნოიბურგში ცხოვრობს. ადრეული ასაკიდან აღმოაჩნდა განსაკუთრებული მუსიკალური მონაცემები. ახლა ის სკოლის მეოთხე კლასის მოსწავლეა, კარგად სწავლობს და შესანიშნავად უთავსებს მეცადინეობას ორ მუსიკალურ სკოლაში: ერთში აუფლება ვიოლინოზე დაკვრას, მეორეში — ფორტეპიანოზე. სამი წელია მონაწილეობს ვენის პროფესიული მუსიკალური სკოლების მოსწავლეთა კონკურსებში და თავის ასაკობრივ ჯგუფში სამჯერ დაიკავა პირველი ადგილი ორ ინსტრუმენტზე — ფორტეპიანო, ვიოლინო. წელს კი ავსტრიაში პოპულარული ბავშვთა მუსიკალური ტელეკონკურსის „ ოქროს ნოტა“ ფინალისტი გახდა. ახალი კონკურსისთვის ემზადება, რომელიც გაზაფხულზე შედგება. ის ლაღი, მხიარული ბიჭია, მეგობრებთან თამაშისა და სპორტისთვისაც იცლის — ცურვა, ძიუდო, ტანვარჯიში, ველოსიპედი, თხილამურები, კედელზე ცოცვა.... ასეთია პატარა მუსიკოსის ყოველდღიური ცხოვრება. ვიმედოვნებთ პატარა ნიკო მალე ამოუდგება მამას გვერდში პროფესიულ სარბიელზე.

რედაქცია

# ლაზური სიმღერის მოამაგენი

## ჯემალ კაკაბაძე და ნაზი მემიშიში

გიორგი კრავეიშვილი

ლაზური ხალხური სიმღერის მოამაგეებს 2017 წლის ჟურნალ მუსიკის №2-3 ნომრები დაეთმო. ამჯერად საუბარი გვექნება ლაზური სიმღერების პირველ მასწავლებელ ჯემალ კაკაბაძეზე და რამდენიმე ლაზური სიმღერის ავტორზე — ნაზი მემიშიშზე. წერილი, რომელიც ჯერ კიდევ 2021 წელს უნდა გამოქვეყნებულიყო, მხოლოდ ახლა იბეჭდება.

სარფში — საქართველოს ფარგლებში დარჩენილ ერთადერთ ლაზურ სოფელში ქართული სკოლა 1925 წლიდან არსებობს. სიმღერის გაკვეთილები კი პირველად როგორც ჩანს 1937 წელს ჯემალ კაკაბაძემ ჩაატარა. ბატონი ჯემალი თავადაც სარფელი ლაზი და იმხანად ერთადერთი პედაგოგი გახლდათ, რომელიც 1937-41 წლებში სკოლაში ასწავლიდა ლაზურ სიმღერებს, ზღაპრებსა და ლექსებს. მისი ომში გაწვევის შემდგომ სიმღერის პედაგოგებად მუშაობდნენ: ელგუჯა ლორთქიფანიძე, ერმილე ზარქუა, ნანი დარჩია, მავილე გორგილაძე და სხვანი. თუმცა 1941 წლიდან 1990-იან წლებამდე, ბათუმელი ლია შეროზიას მოსვლამდე, ლაზური სიმღერა სკოლაში აღარ გახმიანებულა. ამასობაში 1954 წელს ქორეოგრაფ სოსო ახალაძის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა სიმღერისა და ცეკვის ფოლკლორული ანსამბლი „ლაზეთი“. მიუხედავად იმისა, რომ ანსამბლის ყველა წევრი სარფელი ლაზი იყო, 1970-იან წლებამდე ანსამბლში ლაზურ სიმღერას, ლაზური ცეკვისგან განსხვავებით უმნიშვნელო ადგილი ეკავა. ამ პირობებში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს თუ ვინ და რა ბიოგრაფიის პატრონი იყო ჯემალ კაკაბაძე, რომელმაც საჯაროდ ჯერ კიდევ 1937 წელს დაიწყო ლაზური სიმღერის სწავლება?



ჯემალ კაკაბაძე

თავიდანვე აღვნიშნავ, რომ მის შესახებ 2017 წელს 87 წლის სარფელი ლაზის ნური ხორავასგან შევიტყვე. ვინაიდან ბატონ ჯემალს საკუთარი ოჯახი არ ჰქონია ნური ბაბუსგან დავადგინე მისი დისშვილებისა და ძმისშვილების ვინაობა. პარალელურად სხვა სარფელებს ვეკითხებოდი მისი მოღვაწეობის შესახებ მაგრამ უაღრესად მწირი ინფორმაციის მოპოვება შევძელი. ზოგიერთმა დაადასტურა, რომ ჯემალი ნამდვილად იყო ლაზური სიმღერების მასწავლებელი, თუმცა თავად მას არ მოსწრებიან და ბუნებრივია, რომ რეპერტუარზეც ვერაფერს მეტყოდნენ. მისმა ახლობლებმა ასევე იცოდნენ, რომ ჯემალი სწავლობდა ლენინგრადის ნაციონალური უმცირესობების ინსტიტუტში, თუმცა რა პროფესიით, ეს უცნობი იყო მათთვის. სამწუხაროდ ასევე უცნობი იყო

ჯემალის დაბადების თარიღიც. რაც შეეხება ლიტერატურულ წყაროებს, ასეთი მხოლოდ თეა კალანდიას მიერ 2005 წელს გამოცემული მონოგრაფია „ლაზური ტექსტები" აღმოჩნდა. წიგნის ფურცლებზე ბატონი ჯემალის ერთ-ერთი მოსწავლე (რომელსაც სამწუხაროდ მე ვერ მოვესწარი), წიგნის 38-ე გვერდზე იხსენებდა სკოლაში ნასწავლი სიმღერების ტექსტებს. ეს იყო და ეს.

ხანგძლივი კვლევა-ძიების შედეგად კი სარფის კულტურის კლუბის ყოფილი გამგის და ბატონი ჯემალის ძმის რძლისგან დარეჯან დუმბაძე-კაკაბაძისა და დანარჩენი სარფელთა ნაამბობის შეჯერებით გაირკვა,



ქალბატონი ნაზი მემიშიში თურქეთის ლაზებთან სიმღერის დროს. (ფოტო თამაზ კრავეიშვილის. 2014)

რომ: ჯემალ კაკაბაძე სარფში 1911 წელს დაბადებულა. 1937-38 წლებში სწავლობდა ლენინგრადის ნაციონალური უმცირესობების ინსტიტუტში (სავარაუდოდ საბუღალტრო კურსებზე, ალბათ დაუსწრებელზე). სარფელი ლეტიფე კაკაბაძის თქმით 1937 წლიდან კი როგორც უკვე აღვნიშნე, სარფის საშუალო სკოლაში ასწავლიდა ლაზურ სიმღერებს, ზღაპრებსა და ლექსებს. 1941 წელს მეორე მსოფლიო ომში გაიწვიეს და 1942 წელს ქერჩში დაიღუპა. თუმცა, მეორე ვარიანტის მიხედვით იგი სავარაუდოდ ტყვედ ჩავარდა და ომის შემდგომ თურქეთის ლაზეთში დასახლდა. 1988 წელს სარფის საზღვრის გახსნის შემდგომ თითქოსდა მის შვილებს სურდათ სარფში გადმოსვლა, მაგრამ ეს არ მომხდარა.

ბატონი ჯემალი 1988 წლამდე ცოცხალი რომც ყოფილიყო საქართველოში ნამდვილად ვერ გამოჩნდებოდა, რადგან გაასამართლებდნენ როგორც სამხედრო დეზერტირსა და მოღალატეს. ვინაიდან ის არც საქართველის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ გამოჩენილა, აშკარაა რომ 1991 წლისთვის უკვე ნამდვილად გარდაცვლილი იყო, მით უმეტეს რომ გაღმა სარფში მცხოვრები დის შვილი ხუსეინ ვანიზორ-ვანილიში თავის ბიძას არც იცნობდა. ეჭვს არ იწვევს ის გარემოებაც რომ თურქეთში მისი დასახლების შემთხვევაში იქაურ სკოლაში ლაზური სიმღერების სწავლებას ვერ გააგრძელებდა, რადგან 1990-იან წლებამდე არათურქულ ენაზე ლაპარაკი სასტიკად იკრძალებოდა და მოსწავლეთა ფიზიკური დასჯით სრულდებოდა.

ადვილად შესაძლებელია რომ ომგამოვლილს (და დიდი ალბათობით ქერჩში ტყვედ ჩავარდნილს) საქართველოში დაბრუნების სურვილი აღარ ჰქონოდა, რადგან კომუნისტები არც სარფში მოღვაწეობის დროს უყვარდა. დღემდე შემორჩენილია ლექსის ერთი სტროფი სადაც რომელშიც პირველი მოშაირეს უხარია სოფელში წითელი დროშის (კომუნიზმის) შემოსვლა, მეორე კი პასუხობს — წითელმა დროშამ (მეორე ვარიანტით დროშის ტარმა) რა ქნას თუ კუჭი ცარიელიაო.

ჯემალ კაკაბაძის ვინაობა (სათანადო სურათითა და დაბადება-დაღუპვის წლებით) ამოიტვიფრა სარფში დადგმულ მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა მემორიალზე. სამწუხაროდ თავად მემორიალი ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს დაშალეს და მოსახლეობა დღემდე უშედეგოდ ითხოვს მის აღდგენას.

ასეა თუ ისე სარფში ჯემალ კაკაბაძის მოღვაწეობა 1941 წელს მეორე მსოფლიო ომში გაწვევით სრულდება. მის მერე 1990-იან წლებამდე ლაზური სიმღერა სკოლაში აღარავის უსწავლებია, ასე რომ ჯემალის მოღვაწეობას საეტაპო მნიშვნელობა ენიჭება.

ნათელში ამყოფოს უფალმა მისი ლამაზი ლაზური სული.

ახლა კი **ნაზი მემიშიშის** შესახებ: ქალბატონი ნაზიც სარფელია, რომელიც 1941 წლის 21 სექტემბერს დაიბადა. სარფის შვიდწლიანი სკოლის დამთავრების შემდგომ სწავლა განაგრძო ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში. პროფესიით აგრონომი გახლდათ და სარფ-

ში 1970 წლამდე აგრონომ—ენტომოლოგი იყო, 1970—72 კი ეკონომისტი. სარფში აგრონომად მუშაობის პარალელურად ნაზი მემიშიში მღეროდა ახალგაზდების მიერ ჩამოყალიბებულ წრეში (ვასო კაკაბაძესთან, ბესარიონ ხორავასთან, რეფიდე დოლიძესთან და ჰედიე ჯევაიშთან ერთად) მღეროდნენ. სამწუხაროდ 1970-იან წლებამდე ლაზურ სიმღერას იმხანად უმნიშვნელო ადგილი ეკავა, სამაგიეროდ ლაზურ სიმღერებს ქალბატონი ნაზის ბავშვობაში მღეროდა თითქმის ყველა სარფელი, მათ შორის მისი დედა ნაიმე ნარაკიძე. 1972 წელს გათხოვდა რუსთავში და მუშაობდა აგრონომისთვის განკუთვნილ სხვადასხვა პოზიციაზე.

ქალბატონი ნაზი 1990-2000-იანი წლებში თურქეთის ლაზებთან პერიოდულად ჩადიოდა, 2004-07 წლებში კი მუშაობდა და მათგან სწავლობდა ძველ სიმღერებს. ამის შედეგად შეიქმნა „თხირიშ თუდე ჩირდილი“, „აქ რენ ჭანდაშ ოხორი“, „ელე მელე კისმეთი“ და „ბეობაშენ“. თუ „თხირიშ თუდე ჩირდილის“ და „აქ რენ ჭანდაშ ოხორის“ ტექსტები ხალხური იყო, „ელე მელე კისმეთის“ და „ბეობაშენის“ ლექსები ნაზი მემიშიშს ეკუთვნის. მათი მელოდიები გარდა „ელე მელე კისმეტის“ ხალხურია, ელე მელე კისმეტის მელოდია კი ქალბატონ ნაზის ეკუთვნის. მანვე თავისივე ლექსზე დაამუშავა საქორწინო-სუფრული „თირამოლა“, რომელიც ლაზებში თურქულად იმღერებოდა, თუმცა მელოდია ლაზურია. რუსთავში მოქმედმა ანსამბლმა თუთარჩელამ და მისმა ხელმძღვანელმა თამარ ბუაძემ ქალბატონი ნაზის მიერ მოწოდებული მოტივების საფუძველზე შექმნა „ოჰოი ნანი“ და „უჩა მზოლა“ რომელიც მელოდიურად მნიშვნელოვნად განსხვავდება ლაზური ხალხური სიმღერისგან (ლელა წურწუმიას ნამღერი „უჩა მზოლა“ საერთოდ სხვა სიმღერაა). თუთარჩელა 2000-იან წლებში თავის წარმატებას ქალბატონ ნაზი მემიშიშს უნდა უმადლოდეს, რადგან ქალბატონი ნაზი ანსამბლის კონსულტანტი გახლდათ.

შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ჩემი ეთნომუსიკოლოგიური მოღვაწეობა 2010 წელს სწორედ ქალბატონი ნაზი მემიშიშის გაცნობით და მისგან სიმღერების ჩაწერით დაიწყო. ქალბატონი ნაზი მემიშიში არამარტო ლაზური სიმღერის კარგი მცოდნე, არამედ ლაზეთის დიდი პატრიოტია. მახსოვს 2014 წელს ჩვენი ერთობლივი ექსპედიციისას თურქეთის ლაზებს როგორ უმტკიცებდა მათ ქართულ წარმომავლობას და ესაუბრებოდა ლაზეთის თავს გადახდენილ მძიმე ისტორიულ მოვლენებზე. აქვე უნდა აღვნიშნო რომ დაუზარებლად უჩიჩინებდა ლაზ მოხუცებს ლაზური სიმღერების ჩაწერის აუცილებლობაზე. სწორედ მისი მეცადინეობით ამღერდნენ მუსულმანური ფაქტორის გამო ერთი შეხედვით აუმღერებელი და ძალიან მორცხვი ქალბატონები.



გიორგი კრავეიშვილი და ქალბატონი ნაზი მემიშიში ლაზური სახლის მაკეტის ფონზე (ფოტო თამაზ კრავეიშვილის. 2014)

ღმერთმა დიდხანს გვიმყოფოს ცოცხლად და ჯანმრთელად ქალბატონი ნაზის თავი.

***P. S.*** სარფში მემიშიშების, ბექირიშების, ჯევაიშების, ვანილიშების, კაბარიების, აბდულიშების გვერდით ცხოვრობენ დოლიძეები, ბაქრაძეები, ჯავახიშვილები, ვანიძეები, კაკაბაძეები, აბულაძეები, ხორავები, თანდილავები, მაგრამ სინამდვილეში ბაქრაძე იგივე ბექირიშია, კაკაბაძე — კაბარია, ჯავახიშვილი — ჯევაიში, კაკაბაძე — კაბარია, ხორავები — ხიალიში, ვანიძე — ვანილიში, აბულაძე — აბდულიში, თანდილავა — თანთუში. უბრალოდ ზოგმა თანამედროვე ქართული გვარი დაიწერა იმიტომ რომ მათი ოჯახის წევრი იმხანად აღმასრულებელ თანამდებობებზე მუშაობდა და ვალდებული იყო თანამედროვე გვარები ეტარებინა. ხიალიშებს კი ხორავებად დაწერა თავად აკაკი ხორავამ ურჩია.

*„მუსიკა მართავს ჩვენს ინტელექტს, ჩვენს გრძნობებს, ამახვილებს აზრს, ემოციას და მსმენელს ჭეშმარიტების ძიების სურვილს უღვიძებს, მაგრამ ამ შესანიშნავი მიზნის მისაღწევად მუსიკა თვით უნდა იყოს ამ ჭეშმარიტებით გასხივოსნებული... არსის ჭვრეტა-სრულყოფილი ესტეტიკური ტკბობის აუცილებელი პირობაა“.*

*გ. ორჯონიკიძე*

# ნუკრი კარკაძე
## ხელოვანის პორტრეტი



მაია გუბელაძე

21 საუკუნეში ესტრადის ჟანრში ბევრი საინტერესო კომპოზიტორი და არანჟირების ოსტატი მუშაობს. მე, ამ წერილის ავტორს განზრახული მაქვს გაგაცნოთ ერთი თანამედროვე ახალგაზრდა ხელოვანი, მუსიკოსი ნუკრი კარკაძე, რომელიც დადის და დააბიჯებს ბაღდათის მადლიან, კურთხეულ მიწაზე, მიწაზე რომელმაც ქვეყანას აჩუქა უდიდესი კომპოზიტორები: რ. ლაღიძე, ჯ. კახიძე და კ. ფოცხვერაშვიი. ნუკრი დადის და მის მშობლიურ მიწაზე ეფერება ყველაფერს — ხეს ქვას, მდელოს, მთებს, ტყეს, ბავშვებს. ნუკრი წერს ყველაფერზე, რასაც განიცდის, ხედავს, აკვირდება... ცნობილია, რომ შემოქმედების ნაყოფი მხოლოდ მაშინ აღწევს მხატვრულობას, როდესაც ყოველივე შემთხვევითისაგან დაიხვეწება. მისი თემატური დიაპაზონი მრავალფეროვანია, რაც გარკვეული თვალსაზრისით, ლიტერატურულ-მუსიკალური კავშირების დამყარება-გაღრმავებასაც გულისხმობს.

დამეთანხმებით ალბათ, რომ საესტრადო მუსიკაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება პოეტურ საწყისს. ნუკრის არ სჭირდება მიმართოს ტექსტებისათვის სხვადასხვა ავტორებს, რადგან იგი თვითონ წერს ლექსებს და სიმღერების უმეტესობა საკუთარ ტექსტებზე აქვს შექმნილი (მცირე გამონაკლისის გარდა), დიახ, იგი შესანიშნავი პოეტი გახლავთ.

მისი პოეტური ენა საკმაოდ მიმზიდველი და ფილოსოფიურია, თემატიკა — მრავალფეროვანი. მას საკმაოდ თვითმყოფადი ხელწერა აქვს. მე მქონდა ბედნიერება მასთან ერთად მემუშავა ბაღდათის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ წითელხევში კ. ფოცხვერაშვილის სახელობის ხელოვნების სკოლაში, რომელიც დავაარსე 2004 წელს. ნუკრის შემოქმედება ჩემს თვალწინ ვითარდებოდა, იქმნებოდა ლექსები, სიმღერები...

მისი მუსიკალური ენა მელოდიურია, ადვილად აღსაქმელი და დასამახსოვრებელი. ნუკრის რიტმულ-

-მელოდიური, საშემსრულებლო თავისებურებანი ჩამოყალიბდა ეროვნულ ნიადაგზე, რომელიც ისეთივე ხალასი, წმინდა და ამაღლებულია, როგორც თავად კომპოზიტორი. თავად სამი ქალიშვილის მამას დიდ სიამოვნებად მიაჩნია წეროს მუსიკა ბავშვებისათვის. ღოგორც პედაგოგს არაჩვეულებრივი ურთიერთობა აქვს ბავშვებთან, კარგად იცნობს მოზარდთა მისწრაფებებს, გემოვნებას, ფსიქოლოგიას, ხედავს მათ დალხინებას, გაჭირვებას და ცდილობს მათი ცხოვრება მისი სიმღერებით უფრო ფერადი, ლამაზი, ხატოვანი და საინტერესო გახადოს. სწორედ ამიტომაა, რომ ის მუშაობს მუსიკის პედაგოგად ბაღდათის I და როკითის საჯარო სკოლებში. მის სიმღერებზე გადაღებული მუსიკალური კლიპები ბავშვებში დიდ ინტერესს იწვევს. ისინი სააღმზრდელო ხასიათს ატარებენ. დაარსებული აქვს რამდენიმე ქართული სიმღერის ფესტივალი. მან მოიარა იმერეთის მაღალმთიანი სოფლები თავისი ვიდეო-ლექციებით. მისი აღზრდილი მოსწავლეები წარმატებით აგრძელებენ სწავლას უმაღლეს მუსიკალურ სასწავლებლებში.

2019 წელს ის შევიდა საუკეთესო მუსიკის პედაგოგის ხუთეულში რომელიც თბილისის მასწავლებელთა სახლის ორგანიზებით ჩატარდა. გამოსაცემად მზად აქვს სამეცნიერო შრომების წიგნი „ქართული საოპერო დრამატურგია.“ ნუკრის საესტრადო სიმღერები თითქმის ყველა წამყვან რადიო თუ სატელევიზიო გადაცემაში ჟღერს.

მისმა დაწერილმა პიესამ „ჩაი და დეკემბერი“ საერთაშორისო ფესტივალზე „N-ovacia 2021“ წლის საუკეთესო მუსიკალურ სპექტაკლის ნომინაციაში გაიმარჯვა. ის ბაღდათის სახალხო და თოჯინების თეატრის მუსიკალური გამფორმებელია. ნუკრიმ მუსიკალურად გააფორმა სპექტაკლი „ირინეს ბედნიერება“ და „თეატრალური იმერეთი 2024-ზე“ საუკეთესო მუსიკალური გაფორმების ნომინაციაში გაიმარჯვა. ნუკრის სიმღერებს ბავშვები მთელი საქართველოს მასშტაბით ასრულებენ. ქუთაისში, ცაგერში, ხონის




კომპოზიტორ მარიკა კვალიაშვილთან ერთად

მუნიციპალიტეტში მოეწყო მისი შემოქმედებითი საღამოები.

სულ ახლახან გამოიცა მისი საბავშვო და საესტრადო სიმღერების კრებულები. ასევე გამოცემული აქვს

სიმღერების ალბომები: „იასამნები“ და „მიყვარხარ!“ საყურადღებოა მისი ლექსების კრებულები — „ქროლვის პოლიფონია“, „ძნელია სიშორე“ და „სიყვარულის ნავი.“. მის ლექსებში თავად ჟღერს მუსიკა. სწორედ ამან შთამაგონა შემექმნა სიმღერა მის ტექსტზე „წუხელ ისევ შეუწყვეტლივ წვიმდა“.

ნუკრი აქტიურად იკვლევს ქართული ოპერის ლიბრეტოებს. სამეცნიერო კვლევებს კი აქვეყნებს სხვადასხვა სამეცნიერო შრომების კრებულებში, რასაც ხელს უწყობს მისი პროფესიული განათლება. მას დამთავრებული აქვს თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ქუთაისის ფილიალის ვოკალური განყოფილების ფაკულტეტი (ტენორი), ქუთაისის ა. წერეთლის სახ. სახელმწ. უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურა მუსიკალური ხელოვნების სპეციალობით. მისი სამაგისტრო ნაშრომია „ვაჟა ფშაველას პოეზია ო. თაქთაქიშვილის შემოქმედებაში“, რომელიც დაიბეჭდა თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სამეცნიერო შრომების კრებულში, ,მუსიკოლოგიური ძიებანი.“ ასევე სხვადასხვა სტატიები ჟურნალ „მუსიკაში.“ ნუკრიმ 2023 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე „ოქროს ხანა, ნანატრი მშვიდობა თუ პროგრესის შეფერხება რომაულ პოეზიაში“ /დანართი: მშვიდობა და ჰორაციუსის ოდების მუსიკალური არქიტექტურის მეტატექსტუალური ანალიზი („ფილისს“, საიუბილეო ჰიმნი ანუ ჰიმნი საუკუნო“/. დისერტაციის დაცვის შემდეგ მიენიჭა ფილოლოგიის დოქტორის ხარისხი.

ნუკრი ცდილობს ქართულ ესტრადას მისეული ხიბლი და სურნელი შემატოს, შექმნას თავისებური მუსიკალური ენა, მშვენიერების განსხვავებული საზომი და შესატყვისი მუსიკალური ფორმები მოიძიოს. ვფიქრობ, ნუკრის სიმღერების წარმატების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია სწორად შერჩეული შემსრულებელი. დიახ, იგი დიდი რუდუნებით და სიფრთხილით, არჩევს შემსრულებელს და მე ვიტყოდი „ანდობს“ მათ თავის სიმღერებს. მის სიმღერებს ასრულებენ ქართული ესტრადის ცნობილი სახეები: ირმა სოხაძე, ეკა მამალაძე, სოფო ბედია, ელენე ფოჩხუა, გია დავითიანი, ლაშა ღლონტი, ანსამბლები: „ალილო“, „ხარება“ და სხვა.

სულ ახლახან კი ნუკრი კარკაძე „მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს“ საუკეთესო მასწავლებლის ათეულის შევიდა და დაჯილდოვდა სპეციალური პრიზით.

ქართულ საესტრადო სიმღერას განვითარების თავისი გზა აქვს განვლილი. ამ ჟანრის განვითარებაში სხვა დიდ კომპოზიტორებთან ერთად ძალიან დიდი როლი მიუძღვის ყველასათვის საყვარელ პიროვნებას, არაჩვეულებრივ ქალბატონს, კომპოზიტორ მარიკო კვალიაშვილს. სწორედ ეს ქალბატონი გახლავთ ნუკრის სიმღერების ნათლია, სწორედ მან დაულოცა ნუკრის გზა საინტერესო, ფართო, ლამაზი მელოდიების სამყაროში: „ნუკრი კარკაძის მოკრძალებულმა ნიჭიერებამ და მისმა შემოქმედებამ გამოჩენის პირველივე დღეებიდანვე მიიპყრო ჩემი ყურადღება, როგორც მრავალმხრივ ნიჭიერმა და საუკეთესო ადამიანური თვისებების მქონე პიროვნებამ, დახვეწილმა მუსიკოსმა, პოეტმა და ასევე მუსიკათმცოდნემ. გამოსცა სასწავლო კრებული ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებაზე, მის სიმღერებს ცნობილი ქართველი მომღერლები ასრულებენ, ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას და მომავალ თაობებს სრულყოფილ განათლებას აძლევს, რაშიც მისი პროფესიული განათლება უწყობს ხელს.....“ — კომპოზიტორი მარიკო კვალიაშვილი.

აი, ასეთი გახლავთ ჩემი თვალით დანახული, ჩემი უმცროსი მეგობრის, კომპოზიტორ ნუკრი კარკაძის შემოქმედებითი პორტრეტი. აი, სწორედ ასეთია, მუდამ ძიებაში, სულ საქმიანი, მუდამ ამაღლებულ განწყობაზე მყოფი უნიჭიერესი შემოქმედი... ისღა დამრჩენია წარმატებები და წინსვლა ვუსურვო მას პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სწორედ ასეთი ადამიანები ალამაზებენ ჩვენს ყოფასა და ყოველდღიურობას!

# მერი დავითაშვილის სანოტო კრებულები

მამუკა დოლიძე

2024 წელს საქართველოს კულტურის და ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლის, კომპოზიტორ მერი დავითაშვილის (1924-2014) დაბადებიდან ასი წელი შესრულდა.

გამოიცა სანოტო ოთხტომეული, რომელიც ეძღვნება კომპოზიტორის საიუბილეო თარიღს, მის მრავალფეროვან და მრავალჟანრულ შემოქმედებას, მისი მნიშვნელოვანი ქმნილებების კომპლექსურ გამოცემას. პუბლიკაცია ფართო მუსიკალურ საზოგადოებას გააცნობს მერი დავითაშვილის ბრწყინვალე საფორტეპიანო და ინსტრუმენტულ ნაწარმოებებს, ვოკალურ ციკლებს, საბავშვო სიმღერებს, ისტორიად ქცეულ დაუვიწყარ ჰანგებს. ეს გამოცემა ფასდაუდებელი საჩუქარია დამწყები და ზრდასრული მუსიკოსებისთვის, საქართველოს სამუსიკო სასწავლებლების აღსაზრდელთათვის, კონსერვატორიის სტუდენტებისთვის, ქართველი და უცხოელი შემსრულებლებისთვის. საიუბილეო ოთხტომეული ხელს შეუწყობს ქართული კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციას ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. სხვადასხვა სირთულის ნაწარმოებები, გათვლილი შემსრულებელთა განსხვავებულ ასაკობრივ ჯგუფებზე, შესაძლებლობას იძლევა აღიზარდოს ახალგაზრდა თაობები ქართული კლასიკური მუსიკის ტრადიციებზე.

მრავალფეროვანია მერი დავითაშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობა — 600-მდე მუსიკალური ნაწარმოები; მათ შორის დიდი ფორმის კომპოზიციები (ბალეტი „მზის ქორწილი“, ოპერები „ქაჯანა“, „ნაცარქექია“), სიმფონიური, კამერულ-ინსტრუმენტული მუსიკა, ვოკალური ციკლები, საგალობლები, საგუნდო ნაწარმოებები, საბავშვო სიმღერები, მუსიკა კინოფილმების, მულტიპლიკაციური ფილმების, თოჯინების, მოზარდმაყურებელთა და დრამატული თეატრების სპექტაკლებისთვის და მრავალი სხვა.

მერი დავითაშვილი საბავშვო მუსიკას ცნობილი ქართველი პოეტების ლექსებზე ქმნიდა. როგორც პედაგოგს, მას განუზომელი წვლილი აქვს შეტანილი ქართული საკომპოზიციო სკოლიის განვითარების საქმეში, კომპოზიტორების და შემსრულებლების მრავალი თაობის აღზრდაში. მერი დავითაშვილის თაოსნობით 1972 წელს დაარსდა ბავშვთა მუსიკალური კვირეული, რომელიც დღეს უკვე მის სახელს ატარებს. კვირეული 50 წელზე მეტია, უწყვეტად იმართება და ასპარეზს უხსნის არაერთ ნიჭიერ ახალგაზრდას.

2024 წლის 30 მაისს ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გაიმართა კონცერტი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში კომპოზიტორის სიმფონიური, ინსტრუმენტული და ვოკალური ჟანრის ნაწარმოებების შესრულებით.

საოცრად დახვეწილი, ფაქიზ გრძნობათა ულამაზესი მიმოქცევის გულში ჩამწვდომი მუსიკა საამოდ ჟღერდა დიდი საკონცერტო დარბაზის სივრცეში და აღადგენდა გარდასულ დროთა კავშირს. გაზაფხულის იმ ცრემლიან საღამოს, თითქოს ბუნებაც ეხმიანებოდა მსმენელის ნოსტალგიურ განწყობას, იმ შემოქმედის გახსენებას, ვინც თავისი ცხოვრებით, მოღვაწეობით და შემოქმედებით გამოხატა უსაზღვრო სიყვარული სამშობლოს მიმართ.

ამ საიუბილეო წელს მერი დავითაშვილის დაუვიწყარ ჰანგებს მიეძღვნა არაერთი საღამო და კონცერტი: თბილისის კონსერვატორიის მუზეუმში გაიმართა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლის „ნიჭიერთა ათწლედის“ მოსწავლეთა კონცერტი კომპოზიტორის ნაწარმოებების შესანიშნავი შესრულებით, ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში ჩატარდა კომპოზიტორების – გიორგი ცაბაძის და მერი დავითაშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ერთობლივი საღამო.




1-7 ივნისს საქართველოს კომპოზიტორთა კავშირში გაიმართა მერი დავითაშვილის მიერ დაფუძნებული და ამჟამად მისი სახელობის ბავშვთა მუსიკალური კვირეული.

კომპოზიტორის ცხოვრების და შემოქმედების შესახებ გადაღებულ იქნა დოკუმენტური ფილმი. რეჟისორმა დიმიტრი ბუთლიაშვილმა წარმოაჩინა მერი დავითაშვილის უდიდესი ღვაწლი ცნობილი ქართული მულტიპლიკაციური ფილმების („ჩხიკვთა ქორწილი“, „წუნა და წრუწუნა“, „მტრობა“ და სხვ.) მუსიკის შექმნაში (30-ზემეტი ნახატი ფილმი). შთამბეჭდავმა მუსიკალურმა დრამატურგიამ თავისებური ხიბლი შემატა გენიალური ქართველი რეჟისორების — მიხეილ ჭიაურელის, აკაკი ხინთიბიძის, ვახტანგ ბახტაძის და სხვათა ნამუშევრებს.

საიუბილეო მოვლენებთან დაკავშირებით საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით გამოსცა მერი დავითაშვილის მუსიკალური ნაწარმო-

ებების სანოტო კრებული — ოთხტომეული, რომელიც დიდი განძია მთელი ჩვენი ქვეყნის ფართო მუსიკალური საზოგადოებისთვის.

დოკუმენტური ფილმის გადაღება, გალა კონცერტის ჩატარება და სანოტო კრებულის გამოცემა მოხდა საქართველოს კულტურის და სპორტის სამინისტროს და საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის შემწეობით და ძალისხმევით.

ეს დახმარება უაღრესად ქმედითი აღმოჩნდა და მადლობას იმსახურებს ყველა იმ ადამიანის მხრიდან, ვისთვისაც ასე მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის კულტურული საგანძური, ქართული ეროვნული მუსიკის ტრადიციები და ერის შემოქმედებითი ცხოვრება.

მერი დავითაშვილის მოღვაწეობა არაერთი საპატიო ჯილდოთი აღინიშნა: საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1960); საქართველოს სახალხო არტისტი (1979), იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიის ორგზის ლაურეატი (1974, 1994), შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი (1981), ღირსების ორდენის კავალერი (1997), ქ. ბორჯომის (2005) და ქ. თბილისის (2011) საპატიო მოქალაქე. 2003 წელს ქუთაისის საოპერო თეატრის წინ გაიხსნა მერი დავითაშვილი სახელობის ვარსკვლავი.

„მერი დავითაშვილის მდიდარი და ჟანრობრივად მრავალფეროვანი შემოქმედება ღრმად ეროვნულია, რასაც განაპიროებს მისი მუსიკალური ენის მტკიცე კავშირი ქართულ მუსიკალურ ფოლკლორთან და ამ საგანძურიდან ამოზიდული მელოსის პლასტიურობა, რიტმის მრავალფეროვნება, რბილი საორკესტრო საღებავები, ნათელი ლირიკული და ჟანრული სახეები.“

***ნანა ქავთარაძე, მუსიკისმცოდნე***

„მერი დავითაშვილს, მის შემოქმედებას კარგად იცნობენ არა მარტო მუსიკალური წრეები, შეიძლება ითქვას, რომ მას იცნობს მთელი საქართველო, იცნობს ქართველი ხალხი... მისი საოცრად სადა და სათნოებით სავსე მუსიკა თითქოს „აკვნიდანვე“ თან სდევს ჩვენს პატარებს... მისი ნაწარმოებები ნორჩი თაობის მხატვრული აღზრდის განუყოფელ ნაწილად იქცა“.

***გულბათ ტორაძე, მუსიკისმცოდნე***

„მერი დავითაშვილის სიმღერები არ არის მხოლოდ მუსიკა, ეს არის გამოცხადება“.

***დიმიტრი კაბალევსკი, კოპოზიტორი***

„მერი დავითაშვილის სიმღერებზე ათწლეულებია იზრდებიან თაობები... ხელოვანის საბავშვო სიმღერები თავისებურ „მუსიკალურ დედაენად“ იქცა, ხოლო მათი შემქმნელი — ბავშვების საყვარელ კომპოზიტორად.“

***ეთერ ლონდარიძე, მუსიკისმცოდნე***

„...ვერც ერთი წოდება თუ ჯილდო ისე ვერ აფასებს მის მიერ ქართული კულტურის წინაშე გაწეულ ღვაწლს, როგორც საკუთარი ხალხის მიერ სიყვარულით და სითბოთი გამოხატული აღიარება, რითაც კომპოზიტორი მერი დავითაშვილი ყოველთვის იყო დაჯილდოებული. იგი ჭეშმარიტად სახალხო კომპოზიტორია.“

***ლელა მაქარაშვილი, კომპოზიტორი***

„დიდია მერი დავითაშვილის დამსახურება ქართული სამუსიკო ხელოვნების განვითარების საქმეში. წლების მანძილზე იგი რუდუნებით ემსახურებოდა ყველაზე რთულ და ფაქიზ სამყაროს — ბავშვთა სულიერების აღზრდის კეთილშობილურ საქმეს. ბავშვების მუსიკისადმი ლტოლვა და სიყვარული მეტწილად მისმა დიდმა ნიჭიერებამ განაპირობა“.

***მერაბ ბერძენიშვილი, მოქანდაკე, მხატვარი***

# ქეთევან ბაიაშვილის წიგნი
## „ძველი ქართული საბავშვო თამაშები და მუსიკალური აღზრდა დღეს“

ანა სტროგანოვა
*ბაკალავრიატი, IV კურსი*
*სავანი – წყაროთმცოდნეობა*
*ხელმძღვანელი – ლალი კაკულია*

თანამედროვე ყოფის პირობებში ეროვნული იდენტობის შენარჩუნების ერთ-ერთი პრობლემური საკითხი ეროვნული მუსიკალური აღზრდაა. ამ მხრივ, გამოირჩევა ქეთევან ბაიაშვილის წიგნი „ძველი ქართული საბავშვო თამაშები და მუსიკალური აღზრდა დღეს“, სადაც მუსიკალური აღზრდის აქტუალური საკითხები ეროვნული აღზრდის კონცეფციის კონტექსტშია განხილული. ფსიქოლოგიისა და განათლების სფეროში არსებული კვლევები აქტიურად შეისწავლიან თამაშის მნიშვნელობას ბავშვის აღზრდა-განვითარებაში. მეცნიერები მიდიან დასკვნამდე, რომ თამაში ეხმარება ბავშვებს კოგნიტურ, სოციალურ, ემოციურ, ფიზიკურსა და კრეატიულ განვითარებაში. ეროვნული თამაშები, გარდა ზემოთქმულისა, გადამწყვეტ როლს თამაშობს ინდივიდუალური და კოლექტიური იდენტობის ჩამოყალიბებაში. ისინი უზრუნველყოფენ კუთვნილებისა და კავშირის გრძნობას კულტურულ მემკვიდრეობასთან, ხელს უწყობენ საკუთარი ფესვებითა და ტრადიციებით სიამაყის გრძნობის ჩამოყალიბებას. აქედან გამომდინარე, კიდევ უფრო მეტად დასაფასებელია ქ. ბაიაშვილის წიგნით მოწოდებული მუსიკალური აღზრდის კონცეფცია ძველი ქართული საბავშვო თამაშების საფუძველზე.

XXI საუკუნეში, საქართველოში ეროვნული კულტურისა და ტრადიციების შენარჩუნება წამყვანი პრობლემაა. გლობალიზაციის პირობებში პატარა




ერები განიცდიან დიდი ერების კულტურულ ზეგავლენას, რის შედეგადაც თანამედროვე თბილისის ქუჩებში აღარ გვესმის ისეთი რაოდენობით ქართული სიმღერები და ქართულ ენაში, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობის საუბარში, ინგლისურენოვანი სიტყვებიც კი ჭარბობს. ამას დამატებული, ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენები და ჩამოსულ ემიგრანტთა დიდი რაოდენობა, ამძაფრებს სიტუაციას. ხალხურ სიმღერათა დიდ ნაწილს სოციალური საფუძველი გამოეცალა. ეს ყველაფერი აისახება მომდევნო თაობების გემოვნების ჩამოყალიბებაზე. ბავშვთა ყურისთვის სულ უფრო უცხო ხდება ქართული ხალხური სიმღერა, თუ, რა თქმა უნდა, ბავშვი არაა რომელიმე ფოლკლორულ ანსამბლში ჩართული. ქ. ბაიაშვილი, ისევე როგორც ეთნომუსიკოლოგების დიდი ნაწილი, ყურადღებას ამახვილებს ამ საკითხზე. ამ კონტექსტში, დგება სასწავლო პროცესში ფოლკლორის შესწავლის მეთოდოლოგიის შემუშავების აუცილებლობა, რათა ბავშვმა მოახდინოს თანამედროვე სამყაროს აღქმა ეროვნული ტრადიციების საფუძველზე.

ქ. ბაიაშვილის წიგნი „ძველი ქართული საბავშვო თამაშები და მუსიკალური აღზრდა დღეს“ საბავშვო თამაშების სასწავლო პროცესში გამოყენების პირველ ცდას წარმოადგენს. მისი მიზანია საქართველოში არსებული დღემდე შეუსწავლელი საბავშვო თამაშობების სასწავლო პროგრამაში შეტანა და, როგორც ავტორი აღნიშნავს, „სწავლებაში ეთნომუსიკოლოგიურად გამართლებული მეცნიერული ხედვის დამკვიდრება“.  ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ საბავშვო მუსიკალური თამაშების შესწავლა, ხშირად, მეცნიერთა ყურადღების მიღმა რჩება. ამ მხრივ, ის გამოყოფს იმ მცირერიცხოვან ავტორებს, რომლებიც ამ საკითხებზე ყურადღებას ამახვილებენ. ესენი არიან: ქსენია სიხარულიძე, ფიქრია ზანდუკელი, ნინო ღოღობერიძე და გიგი ხორნაული.

ქ. ბაიაშვილის სახელმძღვანელოში 30 საბავშვო თამაშია აღწერილი, რომლებიც გათვლილია საშუალო მონაცემთა მქონე ბავშვებისთვის. თითოეულ თამაშს ერთვის მეთოდური განმარტებები პედაგოგთათვის. თამაშები დალაგებულია სირთულის ზრდის პრინციპით. მეშვიდე თამაშის შემდეგ ავტორი პედაგოგებს, თამაშების გამეორებასთან ერთად, უკვე განვლილი თამაშების გართულებისკენ მოუწოდებს. ყველა თამაშში ვლინდება ფოლკლორისთვის დამახასიათებელი სინკრეტიზმი: სიმღერასთან ერთად ბავშვები ხშირად ასრულებენ განსხვავებულ მოძრაობებს, ეუფლებიან პოეტური რითმის შეგრძნებას და თეატრალური გამომსახველი საშუალებების ნიუანსებს. შესაბამისად, ბავშვი ივითარებს ერთდროულად რამდენიმე უნარს:  მუსიკალურ მეხსიერებას, ეჩვევა სიმღერის ტექსტისა და მელოდიის ერთდროულ დასწავლას, პოეტური და მუსიკალური რიტმის გრძნობას, გაშაირებას, კრიტიკულ აზროვნებასა და სამსახიობო უნარებს, იმპროვიზაციის ხელოვნებას. ეს ყველაფერი კი სხვადასხვა კუთხის დიალექტის შესწავლასთან ერთად მიმდინარეობს. თამაშებით სწავლების მთავარი მეთოდი, ავტორის განმარტებით, მიბაძვაა — როგორც მეცნიერები ადასტურებენ, იმიტაცია ბავშვის მიერ ინფორმაციის შეთვისების პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი თვისებაა.

მაგალითად მოვიყვანთ რამდენიმე თამაშს. სხვადასხვა დიალექტის გამეორების პრინციპს ვხვდებით შემდეგ თამაშებში: 1) გაცნობა და მისალმება; 2) ექოობანა. პედაგოგის და მოსწავლეების გაცნობა ხდება განსხვავებული დიალექტით სიტყვა „გამარჯობას“



წარმოთქმით, რომელსაც ახმოვანებს პედაგოგი  და ბავშვები იმიტირებენ. ავტორი ხაზს უსვამს მისალმების დროს მახვილების გადანაცვლებას, რადგან „ეს ქმნის სწორედ განსხვავებას დიალექტებს შორის“ (ქ.ბ.).

პოეტური რითმის გრძნობის გამომუშავება ხდე-




ბა მეექვსე თამაშში „აბა თქვი!“. ბავშვები ერთმანეთს ეუბნებიან სიტყვებს, რომელიც მეორემ უნდა გაურითმოს. მაგალითად:

„აბა თქვი ერთი! — შეგეწიოს ღმერთი“

„აბა თქვი სავარძელი! — აგიხდინე საწადელი“

მუსიკალურ რიტმს ყურადღება ექცევა შემდეგ თამაშში – „თხაო, თხაო, თხაო!“. აქ ნებისმიერ ხალხურ საბავშვო ლექსს ბავშვები სწავლობენ ფერხულში – ყოველ მარცვალზე ისინი თითო ნაბიჯს დგამენ. ავტორს მოჰყავს ლექსის შემდეგი ნიმუში:

— „თხაო, თხაო, თხაო, აქ ვინ დაგაბაო?
— კაცმა დამაბაო.
— კაცი რა იქნაო?
— ტყეში წავიდაო.
— ტყეში რა უნდაო?
— შეშისათვისაო.
— შეშა რად უნდაო?
— თონისათვისაო.
— თონე რად უნდაო?
— პურისათვისაო.“

ამ ლექსის მიხედვით ბავშვები ყოველ „ო“ დაბოლოებაზე ან მუხლებში სხდებიან, ან ტაშს უკრავენ ყოველ მარცვალზე და „ო“-ზე ხელებს განზე შლიან. ეს თამაში ატარებს ერთიანობის და კოლექტიურობის ელფერს, რითიც ეხმარება ბავშვებს კომუნიკაციის გაღრმავებასა და სოციალური კავშირის შეგრძნებაში.

მეცხრე თამაშის სახელწოდებაა „ანდაზები და გამოცანები“, სადაც ყურადღება კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე გადადის. თითოეულ ბავშვს ევალება სახლში გამოცანის მოფიქრება და საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეების გამოცნობაში შეჯიბრება ხდება. გაკვეთილზე პედაგოგმა უნდა ასწავლოს ისეთი ანდაზები, რომელზეც შესაძლებელია კვლავ ანდაზით პასუხი. ანდაზების დასწავლის შემდეგ, ავტორი მიგვითითებს ანდაზების მღერის ტრადიციასა და სიმღერად ქცეულ ანდაზებზე, რომლებიც დამახასიათებელი იყო აღმოსავლეთ მთის რეგიონისთვის. ამიტომ, ამ გაკვეთილზე, ყურადღება უნდა გამახვილდეს აღმოსავლეთ მთის „შეგონებითი სიმღერის“ ჟანრსა და სიმღერების ინტონაციურ მახასიათებლებზე. თუმცა, ავტორი აქ არ უთითებს კონკრეტულ მაგალითებს და პედაგოგს ინტერნეტ-რესურსების მიმართვისკენ მოუწოდებს.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი თამაშებისა, წიგნში განხილულია რიტუალები, ნანებისა და იავნანების სახეები და შესრულების გარემო. ასევე, აღწერილია თეატრალური დადგმა – ფიხონი – სადაც ჩამოთვლილია პერსონაჟები და მისი გათამაშება დამოკიდებუ-

ლია მოსწავლეების ფანტაზიაზე.

სახელმძღვანელოს თან ერთვის დისკი, სადაც ჩაწერილია: „ძროხის წველისა“, „ცხვრების დაძახება“, ხევსურული სახუმარო სიმღერა, „ხატის ქალის დალოცვა“, გათვლა, ფშაური ნანა, სცენები ბერიკაობიდან, „დათოს ფერხული“, „დათვის ფერხული“, თამაში „აგანგალა“, „ლაზარე“, შაირობა, თამაში – „მეზობელო“, სიმღერა „ბახტრიონიდან გიცქერდი“, აჭარული „ოჰოი ნანო“, საქორწილო ცეკვა, „გამო თაგვო, გამო რწყილო“, საცეკვაო „ბულულ მე“, თამაში „ჩიტა-ფაფაობა“. ეს ჩამონათვალი არ მოიცავს წიგნში შესულ ყველა თამაშს. მიუხედავად ამისა, აქ წარმოდგენილი ფოლკლორული მასალა საინტერესო ნიმუშია თანამედროვე ბავშვებისთვის ძველი ტრადიციების გასაცნობად და წარმოსახვის უნარის განსავითარებლად.

უნდა აღინიშნოს, რომ წიგნი დამხმარე სახელმძღვანელოს წარმოადგენს. ამიტომ, ავტორი ხაზს უსვამს პედაგოგის გამომგონებლობის უნარს. პედაგოგმა სიღრმისეულად უნდა იცოდეს ქართული ხალხური მუსიკის ტრადიციები და შეძლოს თითოეული კუთხის ინტონაციის რაც შეიძლება ზუსტი გაჟღერება, რათა ბავშვებმა სწორად დააფიქსირონ და შეძლონ ინტონაციების გამეორება. თუმცა, რთულია ვიმსჯელოთ სკოლებში წიგნის გამოყენების აქტუალობაზე ვინაიდან, ზოგიერთი ქართული ხალხური ინტონაციის ზუსტი გამეორება დიდ სირთულეს წარმოადგენს ეთნომუსიკოლოგებისთვისაც კი. აქედან გამომდინარე, არ იქნებოდა ურიგო გამზადებულიყო შესაბამისი სანოტო და ვიდეო მასალა, სადაც თითოეული კუთხისათვის (შეძლებისდაგვარად) დამახასიათებელი ინტონაციების მოსმენა და სწავლა იქნებოდა შესაძლებელი.

მოკლედ შევეხებით გამოცემის ხარისხსაც. სახელმძღვანელო დაიწერა 2012 წელს და გამოიცა 2021 წელს საქართველოს ხელოვნების სასახლის მიერ, დირექტორის, გიორგი კალანდიას ხელშეწყობით. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კეთილშობილური ჟესტის მიუხედავად, არ შეიძლება არ გამოვთქვათ გარკვეული მოსაზრებები გამოცემასთან დაკავშირებით. კერძოდ, არჩეული შრიფტის სახეობა და ზომა არც თუ ისე მარტივი აღსაქმელია. მთლიანობაში, ტექსტი არაორგანიზებულად გამოიყურება და წიგნი გარეგნულადაც არ იზიდავს ყურადღებას. წიგნის მხატვრული გაფორმება კი გარკვეულ სურვილებს გვიჩენს. საინტერესო და სასურველი იქნებოდა სახელმძღვანელოს ახალი გამოცემა გაფორმებული ყოფილიყო ილუსტრაციებით, თუნდაც თანამედროვე მხატვრების წარმოსახვაში გაცოცხლებული თამაშობებით, რაც უფრო მიმზიდველი იქნებოდა ბავშვებისთვისაც. შესაბამისი გაფორმების შემთხვევაში წიგნს შესაძლოა ეთნოგრაფიული წეს-ჩვეულებების ილუსტრირებული ალბომის ელფერიც შეეძინა და გამომცემლობისთვის კომერციული თვალსაზრისით მომგებიანი გამხდარიყო.

ქ. ბაიაშვილის წიგნი „ძველი ქართული საბავშვო თამაშები და მუსიკალური აღზრდა დღეს“ ეროვნული ტრადიციების შემონახვის საქმეში მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია. ამ თვალსაზრისით, მას მეთოდურთან ერთად დამოუკიდებელი ეთნოგრაფიული ღირებულებაც გააჩნია.

თუმცა, სახელმძღვანელოში მითითებული ინტონაციური სავარჯიშოები რთული შესასრულებელია პედაგოგთათვის, რომლებსაც არ აქვთ სპეციალური ეთნომუსიკოლოგიური მომზადება. ამ კონტექსტში, მნიშვნელოვანი იქნებოდა რაიმე სახით თანდართული ყოფილიყო შესაბამისი მაგალითები. საბოლოოდ, წიგნში გამოტანილი პრობლემა ძალიან აქტუალურია თანამედროვე ქართული საზოგადოებისათვის. საკითხი სიღრმისეულ კვლევასა და ეფექტური გადაჭრის გზების ძიებას მოითხოვს.

ქ. ბაიაშვილის ეს, მეტად სერიოზული, ღრმად ჩახედული მეცნიერისა და ახალგაზრდობის ეროვნული აღზრდის საკითხებით დაინტერესებული ადამიანის შრომა მნიშვნელოვან პერსპექტივებს ქმნის ამ თემის მომავალში გასავითარებლად. მისი ჩართვა, თუნდაც ნაწილობრივ, ბავშვის აღზრდის პროცესში აუცილებლად დიდ როლს შეასრულებს ეროვნული იდენტობის განმტკიცებაში.

---

***ახლახანს, ცნობილ ამერიკელ კინოკომპოზიტორ, დირიჟორ, 26 გრემის, 5 ოსკარის, შვიდი BAFT , 3 ემის და 4 ოქროს გლობუსის მფლობელ, 54-ჯერ ოსკარის ნომინანტ ჯონ უილიამსის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ახალი მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი გადაიღეს (2024).*** ფილმის პროდიუსერია ჯ. უილიამსი, თავის დიდი ხნის მეგობარ სტივენ სპილბერგთან ერთად; მუსიკა ეკუთვნის ჯ. უილიამსს, რეჟისორი — დოკუმენტალისტი ლორან ბუზერო.

ლ. ბუზერომ წლების განმავლობაში სტივენ სპილბერგის ფილმებზე არაერთი დოკუმენტური ფილმი გადაიღო. მას ეკუთვნის აგრეთვე წიგნი ს. სპილბერგზე — „პირველი ათი წელი“.

დოკუმენტური ფილმი გვთავაზობს ინტერვიუებს ჰოლივუდის ყველაზე დიდ და ცნობილ სახელებთან, თავად ჯონ უილიამსთან. წარმოდგენილია კომპოზიტორის ყველაზე საკულტო პარტიტურები, ყბაებიდან ინდიანა ჯონსამდე. უყურე ზემოთ. დოკუმენტური ფილმი შეისწავლის კომპოზიტორის ცხოვრებას, ჯაზ-პიანისტობიდან დაწყებული 54 ნომინაციამდე.

---

***3 ნოემბერს, 91 წლის ასაკში გარდაიცვალა კომპოზიტორი, პროდიუსერი და სიმღერები ავტორი ქუინსი ჯონსი.*** ჯონსის კარიერა 1950-იან წლებში იწყება. 1950-იან წლებში ის საცხოვრებლად ნიუ-იორკში გადავიდა და თანამშრომლობა დაიწყო ჯაზის ისეთ ლეგენდებთან, როგორებიც იყვნენ დიუკ ელინგტონი, ქაუნთ ბეისი, დინა ვაშინგტონი, წერდა მუსიკას თავისი რეი ჩარლზისთვის. 1956 წელს გახდა დიზი გილესპის ბენდის წევრი, რომელთან ერთადაც შემოიარა ევროპა. პარალელურად გახდა ხმისჩამწერი კომპანია ერცურყ ღეცორდს-ის ფრანგული წარმომადგენლობის ხელმძღვანელი. 1960-იან წლებში ჯონსი ფილმებისთვის მუსიკის შექმნით დაინტერესდა და ეკუთვნის არაერთი ცნობილი საუნდტრეკი ისეთი გახმაურებული ფილმებისთვის, როგორებიცაა „გაქცევა“, „მაკენას ოქრო“, „შუაღამის სიცხე“, „ძარცვა იტალიურად“ და სხვ. ამავე პერიოდში მუშაობდა ისეთ უდიდეს მუსიკოსებთან, როგორებიც იყვნენ ფრენკ სინატრა, სარა ვონი, ელა ფიცჯერალდი, დინა ვაშინგტონი, პეგი ლისი და სხვ. 1985 წელს ჯონსმა, ჯექსონმა და ლაიონელ რიჩიმ გამოუშვეს დღემდე ყველაზე პოპულარული საქველმოქმედო All Star სიმღერა “We Are The World“.

---

***ბრიტანეთის მეფის, ჯორჯ IV-ის (1762-1830) უნიკალური ფორტეპიანო, სამეფო პავილიონში მხოლოდ 170 წლის შემდეგ აჟღერდა... ფორტეპიანო დამზადებულია 1821 წელს თომას ტომკინსონის (გარდ. 1853) მიერ, ექვსი ოქტავიანი მოოქროვილი და ვარდის ხის ფორტეპიანო.***

თომას ტომკისონი მე-19 საუკუნის დასაწყისში იყო ლონდონის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პიანინოს შემქმნელი. თომას ტომკისონმა შეგირდობა დაიწყო 1778 წელს და 1800 წლისთვის სერიოზული კონკურენტი გახდა ლონდონის ფორტეპიანოს სხვა ოსტატებისთვის. ტომკისონის ინსტრუმენტები განთქმული იყო როგორც ლამაზი კონსტრუქციით, ასევე შესანიშნავი ჟღერადობით.

მიიჩნევენ, რომ დედოფალმა ვიქტორიამ (1819-1901), მე-19 საუკუნის შუა ხანებში, ბიძის ექვს ოქტავიანი პიანინო სამეფო პავილიონიდან გაიტანა. მისი ბედი უცნობი იყო დღემდე. ფიქრობენ, რომ მოოქროვილი, ვარდის ხის ფორტეპიანოს ჰყავდა კერძო მფლობელები, თუმცა დაზუსტებული ინფორმაცია არ მოგვეპოვებოდა მანამ, სანამ 2017 წელს მეფე ჯორჯის ფორტეპიანო არ გამოჩნდა აუქციონზე და Brighton & Hove-ის საქალაქო საბჭომ არ შეიძინა ეს რარიტეტული ინსტრუმენტი. ინსტრუმენტი აღადგინეს და სამეფო პავილიონს დაუბრუნეს. ვარდის ხის ფორტეპიანოზე სპილენძის ფირფიტაზე წერია: „თომას ტომკინსონი, მის უდიდებულესობას შემქმნელი“.

ის ასევე შეიცავს ტომკინსონის ქვედა კლავიშზე დამალულ ჩანაწერს — „მეფისთვის“. ტომკინსონის ამ ფორტეპიანოზე დაუკრავთ ჯოაჩინო როსინის და ფერენც ლისტს.

170 წლის შემდეგ ტომკინსონის ფორტეპიანო კვლავ აჟღერდა. 2024 წლის სექტემბერში ის პიანისტმა მეთიუ ფლეტჩერმა ააჟღერა.

---

***2016 წელს კეტრინ კარტერმა და სამხატვრო ხელმძღვანელებმა სარა ფორბსმა დააარსეს საბავშვო თეატრი “HurlyBurly”, რომელიც გათვლილია 2 წლამდე ასაკის ბავშვებზე.*** — „ჩვენ თავდაპირველად ვმუშაობ-

დით კლასიკური სიმღერის დაოსტატებაში, მაგრამ, შემდგომ გავაგრძელეთ მუშაობა როგორც მშობლებმა, ჩვილებით ხელში" — აღნიშნავენ თეატრის მესვეურნი. მოგვიანებით მშობელ მომღერალთა ჯგუფმა გადაწყვიტა შოუების დადგმა, სადაც ჩვილებიც და მშობლები ერთობლივად იპოვნიდნენ საკუთარ თავს მუსიკაში. ჯგუფის ხელმძღვანელი აღნიშნავს: „ჩვენ მივესალმებით ყველას ვინც შემოგვიერთდება... ბევრს ვმუშაობთ, რათა შევქმნათ მაღალი ხარისხის სპექტაკლები, რომლებიც შთააგონებს ადამიანებს უწყვეტი ურთიერთობა ჰქონდეთ სიმღერასა და მუსიკასთან. "HurlyBurly Theatre"-ი საოპერო სპექტაკლები აერთიანებს სენსორულ თამაშს და სიმღერას. სპექტაკლის მსვლელობის პროცესში ხდება მაყურებლების ჩართვა და მონაწილეობა სპექტაკლში.

თეატრი თავაზობს დაინტერესებულ საზოგადოებას შემოუერთდნენ BBC London-ს Facebook-ზე, Twitter-სა და Instagram-ზე. დაინტერესებულმა ადამიანებმა გაგზავნონ თავისი ისტორიები, იდეები მისამართზე hellobbclondon@bbc.co.uk.

კონკურსი BBC Cardiff Singer of the World 2027 წლამდე გადაიდო, ხოლო უელსის ეროვნული საკონცერტო დარბაზი St David's Hall, დახურული რჩება სარემონტო სამუშაოების გამო. ამის ნაცვლად, კონკურსი გამართავს გალა კონცერტს 2025 წლის ოქტომბერში უელსის ათასწლეულის ცენტრის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის "Llais"-ის ფარგლებში კარდიფში. მასში წარმოდგენილი იქნება შოუს წინა გამარჯვებულები და კონკურენტები. BBC Cymru Wales-ის დირექტორმა რუანედ რიჩარდსმა თქვა: „ეს გალა კონცერტი შესანიშნავი შესაძლებლობაა აღვნიშნოთ ამ კონკურსიდან გამოსული ზოგიერთი განსაკუთრებული ხმა.

***მარია კალასის ბიოგრაფიული ფილმი ანჯელინა ჯოლის მონაწილეობით: მარია კალასი, მე-20 საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი საოპერო მომღერალი, ანჯელინა ჯოლიმ პაბლო ლარეინის ახალ ფილმში "La Divina", განასახიერა.*** ანჯელინა ჯოლი ლეგენდარული ოპერის დივას მარია კალასის როლისთვის უკვე იყო ნომინირებული „გლობუსზე".

ფილმში მოქმედება ვითარდება 1970-იანი წლების პარიზში და მომღერლის ცხოვრების ბოლო დღეებს ასახავს, ესაა კალასის ცხოვრების „ნამდვილი ისტორიები" — სავსე მუსიკით, ვნებით და ტრაგედიით" — აღნიშნაცს პრესა.

ბიოგრაფიული ფილმის რეჟისორია ლარეინი (ჯეკი) და სცენარით სტივენ ნაითი (პიკი ბლაინდერსი). ლარეინი და ნაითი ადრე თანამშრომლობდნენ 2021 წლის ბიოგრაფიულ ფილმში სპენსერი, რომელშიც მთავარ როლს კრისტენ სტიუარტი ასრულებს უელსის ყოფილი პრინცესას დიანას როლში.

ლარეინმა აღნიშნა: „ჩემი ორი ყველაზე ღრმა და პირადი ვნების, კინოსა და ოპერას შერწყმის შანსი დიდი ხნის ნანატრი ოცნება იყო. ამის გაკეთება ანჯელინასთან, უაღრესად მამაც და ცნობისმოყვარე ხელოვანთან, მომხიბლავი შესაძლებლობაა. ნამდვილი საჩუქარი".

***Orchester National de France-მ გამოაცხადა, რომ შვეიცარიელი დირიჟორი ფილიპ ჟორდანი რუმინელ დირიჟორს კრისტიან მაკელარუს შეცვლის, რომელიც ბოლო შვიდი წლის განმავლობაში მთავარი დირიჟორის პოსტზე იყო.*** ჟორდანის სადირიჟორო კარიერა დაიწყო Stadttheater Ulm-სა და Staatsoper Unter den Linden-ში ბერლინში. 2001-2004 წლებში იყო გრაცის ოპერის და გრაცის ფილარმონიული ორკესტრის მთავარი დირიჟორი.

2009 წელს დაინიშნა პარიზის ნაციონალური ოპერის მუსიკალურ დირექტორად და 2021 წლამდე დარჩა ამ პოსტზე. ამ დროის განმავლობაში მან ჩაატარა მრავალი პრემიერა და კონცერტი: „ლოენგრინი", „დონ კარლოსი" (ორიგინალურ ფრანგულ ვერსია), "Les Troyens", "Don Giovanni" და სხვ.

ფილიპ ჟორდანი ექვსი წელი Wiener Symphoniker-ის მთავარი დირიჟორი იყო. ის ხელმძღვანელობდა ორკესტრებს, მათ შორის Berliner-სა და Wiener Philharmoniker-ს, Concertgebouworkest-ს, Münchner Philharmoniker-ს, ლონდონის სიმფონიურ ორკესტრს, Tonhalle-Orchester Zürich-ს, ასევე ბოსტონის, სიეტლის, სენტ-ლუისის, დალასის, ვაშინგტონის, ლოს-ანჯელესის, ნიუ-იორკის, სან-ფრანცისკოს და სხვა ორკესტრებს.

100

*Manana Kordzaia*

## On the anniversary of Otar Taktakishvili. Otar Taktakishvili - 100

The author of the article, musicologist Manana Kordzaia, has enjoyed many years of personal acquaintance and collaboration with the great Georgian composer, musical figure, and outstanding personality Otar Taktakishvili, who would have turned 100 this year. It has been 35 years since his passing. The article explores various aspects of Otar Taktakishvili's life and work, emphasizing his personal and creative characteristics. It is enriched with interesting and lesser-known facts and nuances from the composer's life.



The author expresses regret that many of the great composer's works remain unpublished and unknown to musicians and a broad audience. She hopes that these works will eventually be brought to light.

On October 18, an anniversary concert dedicated to Otar Taktakishvili was held at the Tbilisi Opera and Ballet Theatre. The hall was filled with admirers of the composer's legacy, and a selection of his operatic, instrumental, and vocal works was performed.

100

*Lela Makarashvili*

## Meri Davitashvili (Celebrating 100 Years Since Her Birth)

In the article, the author—a composer and musical figure—reflects on the life and work of Meri Davitashvili, a distinguished figure in the Georgian school of composition and a beloved personality throughout Georgia, with whom the author had a personal connection. The grandeur of Meri Davitashvili's creations, her professionalism, and her deep passion for music, art, history, geography, and the cultural landmarks of Georgia evoke profound admiration.



The author delves into the composer's significant contributions to children's music – songs, operas, and theatrical works—that have shaped and continue to influence generations. The article also highlights Davitashvili's symphonic, operatic, and chamber compositions, while offering insights into the evaluations of her work by both Georgian and international musicians.

CONCERT LIFE

*Nia Bakhtadze*

## Irma Gigani's Unforgettable Concert in Tbilisi

The 12th International Music Festival, named after the renowned Georgian pianist and teacher Tengiz Amirejibi began on October 19, at the Grand Concert Hall of the V. Sarajishvili Tbilisi

State Conservatoire. This year's festival was opened by the brilliant young pianist Irma Gigani, who currently resides in Austria.



Irma Gigani presented a highly challenging solo program to the audience, featuring Beethoven's 31st Sonata, Scriabin's 1st piano Sonata, Chopin's Mazurkas, and the 3rd Piano Sonata. Her powerful personal style and interpretations captivated the audience, and Gigani was greeted with such enthusiasm that she was unable to leave the stage for a long time. The unforgettable impression of her performance will stay with the Georgian audience for years to come.

Stefan Arnold, a professor at the at the University of Music and Performing Arts in Vienna and an exceptional pianist and teacher, specially traveled to Tbilisi for Irma Gigani's solo concert. After the performance, he commented, alongside Swedish guests: "Such pianists are born once every 50 years."

STUDENT PAGE

*Nino Tavadze*
*Second-year Bachelor's Degree, Tbilisi Conservatory*
*scientific supervisor: Lali Kakulia*

## The 85th Anniversary Celebration Concert of Ioseb Kechakmadze

The article reviews the anniversary concert of Ioseb Kechakmadze, the Georgian classicist and grandmaster of choral music. The author highlights how the concert showcased the remarkable diversity of Kechakmadze's creative output. The program featured choral compositions based on poems by both folk and




celebrated Georgian poets. Choruses of various age groups, backgrounds, and levels of experience participated in the concert. What united them all was their deep reverence and respect for Ioseb Kechakmadze and his music.

Ioseb Kechakmadze's work represents a significant achievement in both Georgian and world choral music. His compositions are now integral to the repertoires of many prestigious chorus ensembles.

FILM MUSIC

*Shio Abrahamia*
*Conductor, Musicologist, Doctoral student at the Tbilisi Vano Sarajishvili State Conservatoire*

## The Meaning of the Word and Its Musical Modifications in Georgian Film and Theatre Music (On the Example of Ioseb Kechakmadze's Music)

This scientific work is dedicated to the film and theatre music of the Georgian classicist and grandmaster of choral music, Ioseb Kechakmadze. The author notes that Ioseb Kechakmadze's academic, film, and theatre works are one cohesive system of thought—expressed through choral a cappella sound, which is rooted in constant acoustic exploration. It features different sound harmonies, both horizontal and vertical, as well as phonism and overtone dra-



maturgy, which is why Kechakmadze is recognized as a great master of sonoristic thinking. This principle of searching for the internal color of sound played a crucial role in Kechakmadze's film and theatre music as well.

His work includes only a few films and performances, but the musician's vision—along with the ideological congruence between composer and director—revealed in these works, was entirely new and unique within Georgian cinema. Ioseb Kechakmadze's music in film is neither applied art nor stereotypical; he presented his independent form to directors. The word, as a means of transforming acoustic verbal syllables into musical forms and melodic-harmonic blocks, is something he consistently employed in his academic music.

The author concludes that the composer's relationship with cinema had a significant impact on refining the logic of editing, while his experience in theatre enhanced his ability for figurative transformation.

### GREAT LOSS

*The work of Vazha Azarashvili (1936-2024) was highly appreciated and beloved by the Georgian people. The author of many outstanding romances, chamber-instrumental, and symphonic works, he gained international recognition. His instrumental concertos and several chamber works have taken a worthy place in the repertoire of prominent musicians around the world, and his songs, imbued with special emotion and warmth, have become gems of the Georgian pop genre. It is difficult to speak of Vazha Azarashvili in the past tense. His departure marks the end of an important stage in the history of Georgian musical art, a stage that, through the work of prominent Georgian composers of his generation, has left a special, indelible, and brilliant mark. Vazha Azarashvili has left us with a rich and diverse creative legacy, amazing memories, and immeasurable sorrow.*

*Giorgi Shaverzashvili,*
*Chairman of the Georgian Composers' Union, Professor*

***Lali Kakulia***
**Etude on Vazha Azarashvili**



The great Georgian composer Vazha Azarashvili would have turned 90 in the summer of 2024. Unfortunately, he passed away in early February, before reaching this milestone. The author's essay serves as a "lamento" dedicated to Vazha Azarashvili.

Among the many diverse works of Vazha Azarashvili, the author highlights and analyzes those significant pieces whose content can be described as "memory." The author provides a thoughtful and in-depth discussion of individual works by Azarashvili that explore this theme.

RUBRIKA

*Zurab Oikashvili*

## The Tsabadzes' Anniversary Year
## Gogi Tsabadze – 100
## Kakha Tsabadze – 65



This year, on August 24, the outstanding, beloved, and popular Georgian composer Gogi Tsabadze celebrated his 100th birthday. In his anniversary year, a series of gala concerts were held in three major cities of Georgia – Batumi, Tbilisi, and Kutaisi. Each concert was unique, both in terms of repertoire and participants. The evenings featured premieres of new arrangements and theatrical performances. The artistic director, Davit Mazanashvili, led a band that accompanied the performers. The concerts created a significant buzz, with tickets for all performances selling out within a day.

Gogi Tsabadze's son, Kakha Tsabadze, was also one of the celebrants of 2024. In this article, the author reviews the creative works of his friend, one of the most renowned and beloved composers, as well as his anniversary concert, held this year. "A large-scale, diverse, and dramaturgically well-structured program was presented to a wide audience, and as is customary for anniversary events, several works were premiered," notes the author, offering an insightful analysis of the premiere works.

RUBRIKA

*Manana Kordzaia*

## Vladimer Grigolashvili – 70

The article is dedicated to the Georgian musicologist and journalist, Valodia Grigolashvili, a member of the USSR Union of Journalists since 1982 and the Georgian Union of Journalists since 1983. He made a significant contribution to the popularization of Georgian musical culture. He founded the Georgian Music Information Centre at the Georgian Composers' Union and, together with the renowned Georgian composer Giya Kancheli, opened a window to Europe in the 1980s, during the Iron Curtain, to promote Georgian music.



From 1987 to 1993, he served as the director of this centre. In 1992, the Music Information Center he founded became a member of the International Association of Music Information Centers (IAMIC), affiliated with UNESCO. It was the first music-information center in the USSR to join IAMIC. In 1988, V. Grigolashvili founded and edited the newsletter *"Musical Georgia"*, initially in Russian and later in English. Valodia Grigolashvili is included in the encyclopedic dictionary of world journalists.

RUBRIKA

*Shio Abrahamia*
*Chorus conductor, musicologist, concert host*

## "The Chorus is My Refuge" (Rusudan Khorava – 70)



The article celebrates the renowned Georgian composer Rusudan Khorava and her anniversary concert. As a chorus singer and chorus-master, the author demonstrates a profound understanding of the nuances of choral music, which makes this account of Rusudan Khorava's concert both deeply insightful and highly professional.

*"The composer's music, rooted in Georgian folk choral traditions, was nurtured by national folklore and seamlessly blended with European musical forms and broader traditions. This synthesis created an especially vibrant and harmonically rich world. The true measure of the artistic value of her choral compositions lies in their profound connection to Georgian folk polyphony and her distinctive compositional style. With these qualities, she stands out as the only Georgian female composer to inherit the legacy of Sulkhanishvili and Kechakmadze,"* writes the author.

It is no coincidence that Rusudan Khorava was honored with the prestigious Vazha-Pshavela Prize in 2003, early in her career—a testament to her exceptional contribution to Georgian music.

RUBRIKA

*Ketevan Baiashvili*

## In the Footsteps of Lost Lechkhumi Songs (Folk Song Festival in the Village of Korenishi)



Ethnomusicologist, teacher, member of the women's folklore ensemble "*Mzetamze*", artistic director of the men's folklore ensemble "*Mtcheli*", and senior research fellow at the State Museum of Georgian Folk Song and Instruments since Ketevan Baiashvili 2010-is a regular contributor to our magazine, renowned for her insightful and engaging articles. This time, her focus is on the rich musical folklore of Lechkhumi, one of Georgia's most culturally significant regions.

This time, her focus was on the musical folklore of Lechkhumi, one of the most significant regions of Georgia, which is the subject of the article. On November 2, 2024, the Lechkhumi Song Festival, *"In the Footsteps of Lost Lechkhumi Songs,"* was held in the picturesque village of Korenishi, at the foot of the mystical Khvamli Mountain. The festival was preceded in 2023 by the presentation of a collection of Lechkhumi songs, compiled by ethnomusicologist Rusudan Chitauri.

RUBRIKA

*Tamar Bardavelidze-Tore: Georgian Music Ambassador Abroad*

## Portrait Sketch by Ana Bethaneli

This article is dedicated to Tamar (Tamuna) Bardavelidze-Tore, a musician, pianist, teacher,

and researcher. It chronicles the significant milestones of her creative and pedagogical journey. Since beginning her professional work in Turkey, Tamar has devoted herself to fostering cultural connections between Georgia and Turkey.

A pivotal moment in her mission to promote Georgian music occurred in 2019 when Tamar and her students organized a concert in Tbilisi titled *"Georgian Piano Miniatures Performed by Turkish Musicians."* The event garnered considerable acclaim. Esteemed composer Vazha Azarashvili highlighted the historic nature of the performance, as it marked the first time Turkish musicians had played Georgian music. He also emphasized Tamar's invaluable role in advancing Turkish-Georgian musical relations. Adding to the concert's significance, Georgian composers, including Vazha Azarashvili, Goga Shaverzashvili, and Kakha Tsabadze, performed their own works for the Turkish guests, fostering a dynamic exchange of creative energy.



Tamar's inaugural Georgian project extended far beyond a single concert. It featured a wide-ranging educational program that included master classes, mini-concerts, museum visits, a lecture titled *"The Magical World of Music,"* as well as lessons in archaeology, drawing, and Georgian handicrafts. Participants also toured Tbilisi and various regions of Georgia, deepening their understanding of the country's rich cultural heritage.

Tamar Bardavelidze-Tore continues to bring her students to international stages, where they achieve notable success in competitions. Her tireless efforts have solidified her status as a true ambassador of Georgian music, building bridges and fostering creative collaboration across borders.

**RUBRIKA**

***Author***
**Conductor Mikhail Menabde**

The article is dedicated to Mikhail Menabde, assistant chief conductor of the Academic Symphony Orchestra of the National Philharmonic of Ukraine, founder and leader of the chamber orchestra of young musicians *Armonia Ludus*, and recipient of the 2014 Kiev Prize. His orchestra regularly participates in international contemporary music festivals and avant-garde music projects. The article provides readers with insights into the biography of this multifaceted artist.



Since 2017, Mikhail Menabde has been living and working in Austria. He completed a postgraduate course in symphonic conducting at the *Universität für Musik und darstellende Kunst Wien* (MDW). He is also a co-founder and music project manager of the cultural association *CosmoKultur* (www.cosmokultur.com) For more than eight years, he has been a prominent advocate for modern academic music and art

across Europe, leading numerous international contemporary music projects in Switzerland, Austria, and Ukraine.

Despite living abroad, Mikhail Menabde maintains strong ties with Ukraine, conducting concerts even during times of war. His contributions to music and his civic commitment are highly praised by the Ukrainian press. Additionally, he frequently collaborates with the Georgian Philharmonic Orchestra (chief conductor Nikoloz Memanishvili, honorary conductor Vakhtang Machavariani), performing concerts in Georgia.

Mikhail Menabde's repertoire spans both world classics and modern compositions, including works from Ukrainian and Georgian composers. As a Ukrainian music critic eloquently notes, *"The Ukrainian and Georgian hearts beat together!"*

RUBRIKA

*Giorgi Kraveishvili*

### The Founders of Laz Songs – Jemal Kakabadze and Nazi Memishish



The main focus of the scientific research by Giorgi Kraveishvili, an ethnomusicologist, doctor of art history, and director of the "Heiamo" Foundation, is the discovery, recording, and study of musical traditions preserved in the historical regions of Georgia. He also highlights the individuals who have preserved and brought indigenous Laz music to the present day. This time, the article focuses on the first teacher of Laz songs, Jemal Kakabadze, and the author of several Laz songs, Nazi Memishish.

RUBRIKA

*Maia Gubeladze*

### Nukri Karkadze. Portrait of an Artist

This article introduces us to the modern, young, versatile artist, musician, teacher, music historian, researcher, and author of poems and songs, Nukri Karkadze. The main focus of his research is opera librettos. He is also the author of pop and children's songs. His play *Tea and December* won the Best Musical Performance of the Year award at the *N-Ovation 2021* International Festival. Karkadze serves as the musical decorator for the Bagdati People's and Puppet Theatre, including the plays *Irene's Happiness* and *Theatrical Imereti 2024*, the latter of which won the Best Musical Decoration award.



Nukri's songs are performed by children across Georgia, and his creative evenings have been organized in the municipalities of Kutaisi, Tsageri, and Khoni. He has published two song albums: *Lilies* and *I Love You!* His poetry collections include *The Polyphony of the Crow*, *The Distance is Difficult*, and *The Boat of Love*. Karkadze also has a book of scientific works, *Georgian Opera Dramaturgy*, which is ready for publication. The journal extends its best wishes for success in his diverse career.

NEW PUBLICATIONS

*Mamuka Dolidze*
## Meri Davitashvili's Sheet Music Collections

This current year appears to be remarkable with hundred year anniversary of birthday of well-known Georgian composer Meri (Mariam) Davitashvili.

A music week devoted to the memory of Meri Davitashvili was held at Georgian Composers' Union (1 – 7 July, 2024 ). The musical space was inflated by songs, melodies and tunes where professional forms of classical composition co-existed with intimate heartfelt simplicity and spiritual clearness of childish music.

"Meri Davitashvili's songs are not just songs, they seem to be a revelation" – The great composer Dimitry Kabalevski exclaimed.




A documentary film was shot about the creative life of Meri Davitashvili. The director of the film Dimitri Butliashvili weaved into his wonderful cinema story all his refined emotions and spiritual passions which were inspired by the songs of his childhood and the delighted melodies of his life.

Now, thanks to the activity of Georgian Composer's Union and to the demands of the Music Fund, we have published musical collections of the composer, offering them to musical schools, to conservatory students and eventually to wider musical circles of our homeland.

All these cultural events and publications were made possible with the support of the Ministry of Culture and Sports and thanks to the initiative of Georgian Composer's Union.

RUBRIKA

*Anna Stroganova, Bachelor's degree, 4th year*
*Subject: Source Studies, Supervisor: Lali Kakulia*
## Ketevan Baiashvili's Book - Ancient Georgian Children's Games and Musical Education Today

This review discusses Ketevan Baiashvili's book *Ancient Georgian Children's Games and Musical Education Today*, which represents the first attempt to incorporate children's games into the educational process in Georgia. Its goal is to integrate traditional, yet under-explored, children's games into the curriculum, while also, as the author notes, "establishing an ethnomusicologically justified scientific vision in teaching." Baiashvili rightly points out that the study of children's musical games often remains neglected by scholars.



Baiashvili's work is a significant step forward in preserving national traditions. In addition to its methodological importance, it holds independent ethnographic value. As a deeply insightful and dedicated scholar concerned with the national education of youth, Baiashvili's efforts offer promising prospects for the future development of this field. His involvement, even partially, in the process of raising children will undoubtedly play a key role in strengthening national identity.

# მუსიკა
MUSIKA

## The editional board

Editor-in-Chief:
MIKHAEL ODZELI

Editors:
MZIA JAPARIDZE,
TAMAR TSULUKIDZE,
TAMAR BURJANADZE

Design:
VANO KIKNADZE

Translated by:
KETEVAN TUKHARELI

Address: 123, D. Agmashenebeli str., Tbilisi
Tel: (+995 32) 295 41 64
Fax: (+995 32) 296 86 78

ჟურნალ „მუსიკის“
რედაქცია მადლობას
უხდის ავტორებს,
დღიდან დაარსებისა ჩვენ
ჟურნალთან უსასყიდლოდ
თანამშრომლობისთვის

